

K 256-952
3

ისტორიული
მდგრადი მეცნიერებები



მერაბ ვაჩერებე, ვახტანგ გურული

რუსეთის ეკლესიის ისტორია

I

(1988-1801)



ମେରାକ ତାହିନାପା
ତାବେତୁବାଦି ପ୍ରାଣଶ୍ଵର

ରୂପାତିଥିର କମ୍ପ୍ୟୁଟରର ଉପକରଣ

(სალექტიო კურსი)

**ନାଟ୍ୟଲୀଳି ପିଲୁରୁଷେଣ
(988-1801)**

ଗ୍ରାମପାଳୀରେ କାନ୍ତିରୁଷାର
ଟଙ୍କିଲ୍ଲିରୁ 2007

ნაშრომში განხილულია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები X საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. ნაშრომი წარმოადგენს სალექციო კურსს და განკუთვნილია სტუდენტთათვის.

დოკომენტური კურსის კოდექსი

(იმპრეს ღია მეცნიერებები)

რედაქტორი პროფ. გიორგი პაპუაშვილი
რეცენზენტი პროფ. დიმიტრი შველიძე

(1081-882)

ISBN 978-99940-59-83-6 (ტომეულის)
ISBN 978-99940-59-84-3 (რუსეთის ეკლესიის ისტორია)

© მ. ვაჩაძე, ვ. გურული, 2007.

აქართველოს
აკადემიუმის
2002 იდეალის
ეროვნული
გიგალიონი

ნინასიტება

„რუსეთის ეკლესიის ისტორია (სალექციო კურსი). ნაწილი პირველი. (988-1801)“ ნარმოადგენს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის გაბმულ თხრობას. წიგნის მოცულობის სიმცირის გამო გადავწყვიტეთ ნარმოგვედგინა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი საკითხები. ეს საკითხები (თავები) დალაგებულია ქრონოლოგიურად და მთლიანობაში აღებული ნარმოდგნას იძლევა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის რვასაუკუნოვანი პერიოდის (988-1801 წწ.) შესახებ. მომავალში განზრახული გვაქვს გამოვაქვეყნოთ ნაშრომის მეორე და მესამე ნაწილები.

პროფ. მერაბ ვაჩინაძე
პროფ. ვახტანგ გურული

4 დეკემბერი, 2007 წელი.

თავი პირველი

რუსეთის გაძრისათვალიდან პირველი სამიტროპოლიტოს
 დაარსება (X ს.)

ძველი რუსეთის სახელმწიფო ცენტრით კიევში – კიევის რუსეთი – წარმართი (კერპთაყვანისმცემელი) აღმოსავლეთ სლავური ტომების დაპყრობის შემდეგ შექმნეს სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან მოსულმა ნორმანებმა (ვარიაგებმა). ეს პროცესი IX საუკუნის შემორე ნახევრიდან იღებს სათავეს. ძველი რუსეთის სახელმწიფოს შექმნა დაიწყო ჩრდილოეთში (იზობორსკი, ბელოზერო, ლადოგა, ნოვგოროდი) ვრცელ ტერიტორიაზე. 862 წელს რუსეთში მოსული პირველი ნორმანი მთავარი რიურიკი (862-879) წარმართი იყო. რიურიკის მემკვიდრემ, ასევე წარმართმა, ოლეგმა (879-912) 882 წელს კიევი დაიკავა და რუსეთის ჩრდილოეთი და სამხრეთი გააერთიანა. ძველი რუსეთის სახელმწიფოს დედაქალაქი კიევი იყო. ოლეგის შემდეგ კიევის რუსეთის მთავარი გახდა იგორი (912-945). კიევის რუსეთის წარმართ მთავრებს ოლეგსა და იგორს გამუდმებული ომები ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიასთან. ბიზანტიასთან ომებს აგრძელებდა კიევის რუსეთის მესამე მთავარი წარმართი სვიატოსლავი (945-972). სვიატოსლავი 964 წლიდან სიკვდილამდე (972 ნ.) კიევში არ იმყოფებოდა. მას გამუდმებული ომები ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (ბულგარეთის ტერიტორიაზე). სწორედ აქ, დუნაის ბულგარეთში, აპირებდა სვიატოსლავი დიდი სლავური სახელმწიფოს ცენტრის – პერიიასლავლის – დაარსებას.

სვიატოსლავმა ბალკანეთში ომის დროს ტყვედ ჩაიგდო ულამაზესი ბერძენი ქალი, ერთი ცნობით – მონაზონი, სხვა ცნობით – სამონაზვნე. სვიატოსლავისა და დედამისის – ოლგას სურვილის თანახმად, სვიატოსლავის ვაჟი, ტახტის მემკ-

ვიდრე იაროპოლკი, ტყვე ბერძენ ქალზე დაქორწინდა. ხმები დადიოდა, რომ მაღლე იაროპოლკიც გაქრისტიანდებოდა. ამ ხმები მა რომამდეც კი მიაღწია.

972 წელს სვიატოსლავი ბრძოლაში დაიღუპა. კიევის რუსეთის მთავარი გახდა იაროპოლკი (972-973). სვიატოსლავის უმცროსი ვაჟი ვლადიმირი ნოვგოროდის უფლისწული მთავარი იყო. რუსეთის ჩრდილოეთში ნარმართობა ძალზე ძლიერი იყო. ნარმართებმა ჩათვალეს, რომ კიევში ქრისტიანობამ სერიოზული ნარმატებები მოიპოვა და გადაწყვიტეს შური ეძიებინათ. ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლის წინამძღოლად მათი ნარმართული ნოვგოროდის უფლისწული მთავარი, სვიატოსლავის ვაჟი მეორე ცოლისაგან, ვლადიმირი დასახეს. ნარმართთა გეგმის თანახმად, ვლადიმირს კიევი უნდა დაეკავებინა და იქ ნარმართობა თავის ძველ უფლებებში აღედგინა.

ვლადიმირი და ბიძამისი (დედის ძმა) დობრინია შიშობდნენ, რომ ნოვგოროდელთა ჯარი საკმარისა არ იქნებოდა კიევის დასაკავებლად. მალე ისინი სკანდინავიის ნახევარკუნძულზე ნორმანებთან (ვარიაგებთან) გაემგზავრნენ და ნოვგოროდში სერიოზული სამხედრო ძალა ჩამოიყვანეს. ვლადიმირი კიევისაკენ დაიძრა. 978 წელს ვლადიმირმა კიევი დაიკავა და კიევის რუსეთის დიდი მთავარი გახდა. ვლადიმირმა ტყვედ ჩაიგდო მასთან ბრძოლაში დაიღუპული კიევის რუსეთის მთავრის იაროპოლკის ქრისტიანი მეუღლე.

კიევში ნარმართებმა ქრისტიანების დევნა დაიწყეს. ვლადიმირმა მოაწესრიგა ნარმართული კერპების პანთეონი, რომელიც ძველი სლავური და ნორმანული (ვარიაგული) კერპებისაგან შედგებოდა. ეს კერპები იყო: პერუნი, პორსი, დაუბოგი, სტრიბოგი, სიმბარგლი, მოკუში. ნარმართობის გაძლიერება კიევის რუსეთში, რასაც ნარმართი კერპებისადმი ქრისტიანების მასობრივი მსხვერპლად შენირვა ახლდა თან, იმის მაუწყებელი იყო, რომ ახალი დიდი მთავარი ვლადიმირი (978-1015) ანტიბიზანტიურ პოლიტიკას გაატარებდა. თუმცა, როგორც გაირკვა, კიევის რუსეთის ისტორიის ნარმართული პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა.

ბიზანტიის იმპერატორს ბასილი II-ს 987 წელს აუჯანყდა სარდალი ბარდა ფოკა. იმპერატორის ჯარი აჯანყებულებს ვერ უმკლავდებოდა, ბასილი II მძიმე მდგომარეობაში აღმოჩ-

ნდა. მიუხედავად იმისა, რომ კიევის რუსეთი ბიზანტიისათან გამუდმებულ ომებს აწარმოებდა, ხოლო დიდი მთავარი ვლადიმირი ქრისტიანებს სდევნიდა, ბიზანტიის იმპერატორი იძულებული გახდა დახმარება კიევის რუსეთის წარმართი დიდი მთავრისათვის – ვლადიმირისათვის ეთხოვა. ვლადიმირმა დახმარების სანაცვლოდ ბასილი II-ს მისი და ანნა ზოთხოვა ცოლად. ბიზანტიის საიმპერატორო კარშა ვლადიმირს ქორწინების აუცილებელ პირობად გაჟრისტიანება წაუყენა. ვლადიმირმა პირობა მიიღო და ჩაუსთა ჯარი ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა. დახმარების მიუხედავად, ბასილი II-მ ვლადიმირს დის მითხოვებაზე უარი უთხრა. შეურაცხყოფილმა და განრისხებულმა; ვლადიმირმა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოების მთავარ ცენტრს, ქალაქ კონსუს (ხერსონესს), ალყა შემოარტყა და მალე აიღო კიდევც. ბასილი II-მ კიევის რუსეთან ომს ისევ ვლადიმირისათვის დის მითხოვება ამჯობინა. ძველი პირობა ძალაში რჩებოდა: ვლადიმირი უნდა გაქრისტიანებულიყო. კონსუსში მყოფ ვლადიმირს ბასილი II-მ მიტროპოლიტი და ეპისკოპოსები გაუგზავნა. ვლადიმირი და მისი ამაღლა 988 წელს კონსუსშივე მოინათლა. ბასილი II-მ პირობა ამჯერადაც დაარღვია და ანნას კიევში გაგზავნისაგან თავი შეიკავა. 989 წელს ვლადიმირმა კვლავ გაილაშქრა კონსუსზე და ხანგრძლივი ალყის შემდეგ წეტ წელს ქალაქი აიღო. იმავე წელს ბიზანტიის იმპერატორმა ანნა კიევში გააგზავნა. 990 წელს ვლადიმირშა და ანნამ იქორწინეს.

კიევის დიდი მთავრის ვლადიმირის გაქრისტიანების (988 წ.) შემდეგ დაიწყო კიევის რუსეთის მოსახლეობის გაქრისტიანება. ბერძენმა მიტროპოლიტმა მიხეილმა და დიდი მთავრის ბიძამ – დობრინიამ პირველად კიევში და კიევის მახლობელ ქალაქებსა და სოფლებში მონათლეს წარმართები. კიევში დაამსეს პერუნის კერპი. 990 წელს მიტროპოლიტი მიხეილი და დობრინია ნოვგოროდში ჩავიდნენ და იქაური წარმართები მონათლეს. ნოვგოროდში აღმართული პერუნის კერპი მდ. ვოლხოვში გადააგდეს. ნოვგოროდიდან მიტროპოლიტი მიხეილ და დობრინია სუზდალის როსტოვის მხარეში გაემგზავრნენ და იქ მოქციეს წარმართები. ვოლინის ვლადიმირში წარმართთა შოცევის საქმეს პირადად დიდი მთავარი ვლადიმირი ხელმძღვანელობდა. დიდი მთავრის შვილები თავიანთ საუფლისწულო

მამულებში ავრცელებდნენ ქრისტიანობას. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობამ რუსეთში ერთბაშად ვერ მოიკიდა ფეხი. ძირი-თადად, ქრისტიანობა გავრცელდა კიევში, კიევის გარშემო და ნოვგოროდიდან კიევისაკენ მიმავალ სანაოსნო გზაზე (მდ. დნეპრის სანაოსნო გზაზე) მდებარე ქალაქებ-სა და სოფლებში წარმართობას კვლავ საფუძვლიანად ჰქონდა ფეს-ვები გადგმული. ძლიერი იყო წარმართობა: ნოვგოროდში, სუზდალის როსტოვში, მურომაში, პოლოცკში, ვოლინის ვლადიმირში, სმოლენსკში, ფსკოვში, ლუცეში. 992 წელს ნოვგოროდის მოსახლეობა მტრულად შეხვდა იქ ჩასულ პირველ ეპისკოპოსს ოთაკიმეს. ნოვგორიდის მთავრის ათასისთავმა პუ-ტიატამ და ეპისკოპოსის თანმხლებმა დობრინიამ ქალაქი დაარ-ბის (მისი ნანილი გადაწვეს) და მოსახლეობა დააშინეს. ნოვ-გოროდში დიდხანს შემორჩა გამოთქმა: „პუტიატა წათლავდა ხმლით, ხოლო დობრინია – ცეცხლითო“. სუზდალის როსტო-ვიდან წარმართებმა გააძვევეს იქ ჩასული პირველი ეპისკოპო-სები თევდორე და ილარიონი. მურომაში წარმართებმა დიდი მთავრის ვაჟი გლები აიძულეს ქალაქს გასცლოდა.

ქრისტიანობა რუსეთში მტკიცედ დამკვიდრდა ვლადიმირის მემკვიდრების მთავრობის პერიოდში.

* * *

კიევის რუსეთის ეკლესია ჩამოყალიბდა, როგორც კონს-ტანტინეპოლის საპატრიიარქოს სამიტროპოლიტო. კიევის პირველი მიტროპოლიტი იყო კორსუნიდან კიევში ვლადიმირთან ერთად ჩასული ბერძენი მიტროპოლიტი მიხეილი (988-992). მართალია მიხეილი კიევის პირველ მიტროპოლიტად ითვლება, მაგრამ პრაქტიკულად კიევის სამიტროპოლიტო მის სიცოცხ-ლეში არ ჩამოყალიბებულა. კიევის სამიტროპოლიტო ჩამოყა-ლიბდა მეორე მიტროპოლიტის ლეონიდის (992-1008) დროს. 992 წელს მიტროპოლიტმა ლეონიდმა სამიტროპოლიტო დაჰყო ეპარქიებად და დანიშნა ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსები. კიევის სამიტროპოლიტოს კათედრა იაროსლავ ბრძენის (1019-1054) მთავრობამდე ქალაქ პერეისალავლში იმყოფე-ბოდა. მას შემდეგ, რაც კიევის რუსეთის დიდმა მთავარმა

იაროსლავ ბრძენმა კიევში სოფიის ტაძარი ააგო, მიტრო-
პოლიტი საცხოვრებლად კიევში გადავიდა და სამიტროპოლი-
ტოს საკათედრო ტაძრად სოფიის ტაძარი იქცა.

კიევის მიტროპოლიტები ბერძენი იერარქებიდან გამოირ-
ჩეოდნენ და ისინი კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ ინიშ-
ნებოდნენ. კანდიდატურა ბიზანტიის იმპერატორთან თანხმ-
დებოდა. კიევის სამიტროპოლიტოს დაარსებიდან 450 წლის
განმავლობაში რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელი სულ 25
მიტროპოლიტი იყო და ყველანი (ორის გარდა) ბერძნები. მათ-
თვის რუსეთი უცხო ქვეყანა იყო, არ იცოდნენ მოსახლეობის
ენა, ზნე-ჩვეულებანი და ა. შ. 25 მიტროპოლიტიდან სულ რამ-
დენიმემ დაიმსახურა მრევლის სიყვარული და პატივისცემა.
ესენი იყვნენ: გიორგი (მიტროპოლიტი გახდა 1062 წ.), იოანე
II (მიტროპოლიტი გახდა 1077 წ.), ნიკიფორე I (ვლადიმერ
მონომახის თანამედროვე). სხვა მიტროპოლიტების შესახებ
მატიანეებში ძალზე მნირი ცნობებია შემონახული.

კიევის მიტროპოლიტები ამ თანმიმდევრობით განაგებდნენ
რუსეთის ეკლესიას: მიხეილი (988 წლიდან), ლეონიდი (992
წლიდან), იოანე (1008 წლიდან), თეოპეტიტი (1036 წლიდან),
ილარიონი (1051 წლიდან), გიორგი (1062 წლიდან), იოანე II
(1077 წლიდან), იოანე III (1089 წლიდან), ეფრემი (1089 წლი-
დან), ნიკოლოზი (1097 წლიდან), ნიკიფორე (1104 წლიდან),
ნიკიტა (1122 წლიდან), მიხეილი (1130 წლიდან), კლიმენტი
სმოლიატიჩი (1147 წლიდან), კონსტანტინე (1156 წლიდან),
თევდორე (1161 წლიდან), იოანე IV (1164 წლიდან), კონს-
ტანტინე II (1167 წლიდან), ნიკიფორე (1182 წლიდან), მათე
(1201 წლიდან), კირილე (1224 წლიდან), იოსები (1237 წლიდან).

კიევის რუსეთში იყო ცდა მიტროპოლიტად რუსი აერჩიათ.
მიტროპოლიტ თეოპეტიტის გარდაცვალების შემდეგ სამი წლის
განმავლობაში კონსტანტინეპოლის პატრიარქს კიევში ახალი
მიტროპოლიტი არ გაუგზავნია. ეს ის დრო იყო, როცა კიევის
რუსეთის დიდმა მთავარმა იაროსლავ ბრძენმა (1019-1054) ბი-
ზანტიის იმპერიასთან ომი დაასრულა. ბერძნებმა 800 რუს
ტყვეს თვალები დათხარეს. რუსეთისა და ბიზანტიის ურთი-
ერთობა ომის შემდგომაც დაძაბული რჩებოდა. 1051 წელს ია-
როსლავ ბრძენის ინიციატივით კიევის რუსეთის ეპისკოპოსებმა
თავად აირჩიეს მიტროპოლიტი. ეს პატივი წილად ხვდა სოფელ

ბერესტოვოს მღვდელს ილარიონს. ილარიონმა იმავე 1051 წელს მიტროპოლიტად ხელდასხმა სთხოვა კონსტანტინეპოლის პატრიარქს. XI საუკუნის ბოლოს (1089 წელს) მიტროპოლიტი გახდა რუსი, პერვიასლავის ეპისკოპოსი ეფრემი. ეფრემი მიტროპოლიტად რუს ეპისკოპოსებს არ აურჩევიათ, იგი კონსტანტინეპოლის პატრიარქმა დანიშნა.

ილარიონის გარდა, კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნების გარეშე კიევის მიტროპოლიტი გახდა კლიმენტი სმოლიატიჩი. მისმა წინამორბედმა მიტროპოლიტმა მიხეილმა თვითნებურად დატოვა რუსეთი და ბიზანტიაში დაბრუნდა. კიევის დიდმა მთავარმა იზიასლავმა 1147 წელს კიევში რუსეთის ეპისკოპოსების კრება მოიწვია, რომელმაც კიევის მიტროპოლიტად კლიმენტი სმოლიატიჩი აირჩია. უნდა აღინიშნოს, რომ ნოვგოროდის ეპისკოპოსმა ნიკიფორემ, სმოლენსკის ეპისკოპოსმა მანუილმა და პოლოცკის ეპისკოპოსმა კოსმამ კანონიერად არ მიიჩნიეს კონსტანტინეპოლის პატრიარქის გვერდის ავლით რუსეთის ეპისკოპოსების მიერ მიტროპოლიტის არჩევა. სამაგიეროდ, კრების მონაწილე ექვსმა ეპისკოპოსმა მხარი დაუჭირა რუსეთის ეპისკოპოსების კრების მიერ მიტროპოლიტის არჩევას.

კიევის მიტროპოლიტმა უმაღლესი საეკლესიო იერარქის უფლება შეინარჩუნა კიევის რუსეთის დაშლის (XII ს.) შემდეგ აღმოცენებულ რუსულ სამთავროებში.

მიუხედავად ურჩობის ცალკეული შემთხვევებისა, კიევის რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს არსებობის მანძილზე (IX-XII სს) კიევის სამიტროპოლიტო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში რჩებოდა.

თავი მეორე

რუსეთის ეკლესია მონღოლთა პატონობის პერიოდი (XIII-XV სს.)

მძიმე იყო რუსეთის ეკლესიისათვის მონღოლთა ლაშქრობებისა და რუსეთში მონღოლთა ბატონობის პერიოდი.

1237-1242 წლებში მონღოლებმა კიევის რუსეთი დაიპყრეს. მონღოლებს დაემორჩილა რუსეთის ის ტერიტორიებიც, სადაც მონღოლთა ჯარი არ შესულა.

სამიტროპოლიტოს ცენტრი კიევი მონღოლებმა 1240 წელს აიღეს და დაარბიეს. დარბევას ვერ გადაურჩა ვერც რუსეთის ეკლესია. კიევის დარბევის დროს უკვალოდ გაქრა ბიზანტიიდან ახლად ჩამოსული მიტროპოლიტი იოსები (მიტროპოლიტი გახდა 1237 წელს). 1243 წელს დიდი მთავრის დანილა რომანის ძის (1221-1264) ინიციატივით მიტროპოლიტად არჩეული იქნა რუსი ეპისკოპოსი კირილე II. ახალმა მიტროპოლიტმა კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან ხელდასხმა 1247 წელს მიიღო.

მიტროპოლიტ კირილე II-ს დარბეულ და გავერანებულ კიევში აღარ ედგომებოდა. სამიტროპოლიტოს ცენტრი უნდა გადაეტანათ ან სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის ქალაქ გალიჩში (გალიჩ-ვოლინის სამთავრო ცენტრში) ან ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის ქალაქ ვლადიმირში (ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს ცენტრში). მიტროპოლიტმა კირილე II-მ არჩევანი ვერ გააკეთა. სამიტროპოლიტოს ახალი ცენტრის შერჩევამდე იგი თავისი მიტროპოლიტობის 33 წლის განმავლობაში ხან ერთ, ხან მეორე ეპარქიაში იმყოფებოდა. მიტროპოლიტი კირილე II უფრო მეტ დროს ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთში, კერძოდ კი, ქალაქ ვლადიმირში ატარებდა. ვლადიმირში მას დიდხანს ეპისკოპოსის ხელდასხმაც კი არ მოუხდენია და ეპის-

კოპოსის მოვალეობასაც თავად ასრულებდა. ვლადიმირის ეპისკოპოსად სერაპიონის ხელდასხმა მხოლოდ 1274 წელს მოხდა:

მოგზაურობისას მიტროპოლიტი კირილე II ხედავდა იმ უწყესობას, რომელიც სამიტროპოლიტოს ეპარქიებში სუფევდა. 1274 წელს ვლადიმირში მოწვეული იქნა რუსეთის საეკლესიო კრება. კრებაზე მიტროპოლიტმა კირილე II-მ ამხილა ის უწესრიგობაზი, რომელიც ეკლესიაში მონღოლთა ბატონობის წლებში დამკვიდრდა. საეკლესიო სამართლის ნორმების მასობრივად დარღვევამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის ეკლესია. ამიტომ იყო, რომ კირილე II-მ საეკლესიო კრებას შესთავაზა ახალი ეპისკოპოსის ხელდასხმა, რომელიც საეკლესიო სამართლის ნორმების დაცვას უზრუნველყოფდა. საეკლესიო კრებამდე კირილე II-მ ბულგარეთიდან (იმხანად ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა) ჩამოატანინა „დიდი სჯულის კანონი“ და რუსეთში მანამდე უცნობი საეკლესიო სამართლის ძეგლები და მათი განმარტებანი. საეკლესიო კრების დადგენილებით, რუსეთის ეკლესიას საეკლესიო სამართლის ნორმებით უნდა ეხელმძღვანელა. 1274 წლის საეკლესიო კრებამ განსაზღვრა მონღოლებთან (ოქროს ურდოსთან) დამოკიდებულება.

მიტროპოლიტი კირილე II 1280 წელს გარდაიცვალა. იგი კიევში დაკრძალეს.

კირილე II-ის შემდეგ მიტროპოლიტი გახდა ბერძენი მაქსიმე. მან ხელდასხმა კონსტანტინეპოლიტის პატრიარქისაგან მიიღო და რუსეთში მხოლოდ 1283 წელს ჩამოვიდა. ჩამოსვლისთანავე მიტროპოლიტი მაქსიმე ოქროლს ურდოში გაემგზავრა, რათა მონღოლთა ხანიდან მიტროპოლიტის მოვალეობის შესრულების ნებართვა მიეღო.

მაქსიმეს მიტროპოლიტად ხელდასხმის დროისათვის სამიტროპოლიტოს ცენტრად კვლავ კიევი რჩებოდა. ახალი მიტროპოლიტი ხან კიევში იმყოფებოდა, ხან ვლადიმირში. 1299 წლიდან მიტროპოლიტი მაქსიმე უკვე მუდმივად ვლადიმირში ცხოვრობდა. იგი 1305 წელს გარდაიცვალა. მაქსიმეს სიცოცხლეში კიევსა და ვლადიმირს შორის მეტოქეობა გრძელდებოდა – კიევი არ თმობდა სამიტროპოლიტოს ცენტრის უფლებას. ეს მეტოქეობა ამის შემდეგაც დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ

იმით დამთავრდა, რომ რუსეთის ეკლესია ორ სამიტროპოლიტოდ გაიყო.

ჯერ კიდევ მიტროპოლიტ მაქსიმეს სიცოცხლეში, 1303 წელს, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში, ქალაქ გალიჩში, ახალი სამიტროპოლიტო დააარსა. პირველი მიტროპოლიტი იყო ნიფონტი. ახალი სამიტროპოლიტოს დაარსების ინიციატორად მიიჩნევენ გალიჩ-ვოლინის მაშინდელ მთავარს იურის (დიდი მთავრის დანილა რომანის ძის შვილიშვილს). მიტროპოლიტ ნიფონტის გარდაცვალების შემდეგ მთავარმა იურიმ კონსტანტინეპოლში მიტროპოლიტად ხელდასხმისათვის გაგზავნა პეტრე. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ათანასემ 1308 წელს პეტრე გალიჩის მიტროპოლიტად კი არ დაადგინა, არამედ კიევის (ანუ მთელი რუსეთის) მიტროპოლიტად. ეს იმას ნიშნავდა, რომ პეტრე გარდაცვლილი მიტროპოლიტის მაქსიმეს მეკვიდრე გახდა.

მიტროპოლიტი პეტრე სამხრეთ-დასავლეთ რუსეთიდან, ვოლინიდან, იყო. მიტროპოლიტად ხელდასხმის შემდეგ იგი კიევში არც კი გაჩერებულა, ისე გაემართა ვლადიმირისაკენ. XIV საუკუნის დამდეგისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთში დიდი შინა ომები მიმდინარეობდა. მოსკოვის მთავარი იური დანიელის ძე (1303-1325) და ტვერის მთავარი მიხეილიაროსლავის ძე (1304-1317) დიდი მთავრის ტიტულისათვის ებრძოდნენ ერთმანეთს. ქალაქი ვლადიმირი, სადაც ბოლო პეტრიოდში კიევის სამიტროპოლიტოს ცენტრი იყო, მოსკოვის სამთავროში შედიოდა. მიტროპოლიტმა პეტრემ მხარი მოსკოვის მთავარს იური დანიელის ძეს დაუჭირა. ამის გამო ტვერის ეპისკოპოსმა ანდრიამ მიტროპოლიტი პეტრე კონსტანტინეპოლის პატრიარქთან დაასმინა. 1311 წელს ქალაქ პეტრისას სასლავლეში მონვეულ იქნა რუსეთის (კიევის სამიტროპოლიტოს) საეკლესიო კრება. კრების მონაწილეთათვის ნათელი გახდა ტვერის ეპისკოპოსის ანდრიას ულიცის საქციელი. მიტროპოლიტმა პეტრემ ეპისკოპოსს სულგრძელად შეუნდო.

მიტროპოლიტ პეტრეს არ უყვარდა ტვერში ცხოვრება და უმეტესად მოსკოვში, მოსკოვის მთავრის იური დანიელის ძის ძმასთან – ივანესთან ცხოვრობდა.

მოსკოვის მთავრის იური დანიელის ძისა და ტვერის მთავრის მიხეილიაროსლავის ძის სიკვდილის შემდეგ ოქროს ურდოს

ხანმა დიდი მთავრის ტიტული ტევერის მთავრის მემკვიდრეს ალექსანდრე მიხეილის ძეს უბოძა. მოსკოვის მთავარმა ივანე დანიელის ძემ – ივანე კალიტამ (1325-1340) მართალია, დიდი მთავრის ტიტული ვერ მიიღო, მაგრამ სამაგიეროდ, მას გვერდში ედგა მიტროპოლიტი პეტრე. მთავარსა და მიტროპოლიტს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მიტროპოლიტი პეტრეს თხოვნით, ივანე კალიტამ მოსკოვში ააგო ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. მიტროპოლიტი პეტრე დიდებული ტაძრის მშენებლობის დასრულებას ვერ მოესწრო. იგი 1326 წლის 21 დეკემბერს გარდაიცვალა. მიტროპოლიტი პეტრე ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს. ამ ფაქტს მოსკოვის მთავართათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მართალია, სამიტროპოლიტოს ცენტრი უკვე მოსკოვი იყო, მაგრამ თვით სამიტროპოლიტოს კიევის სამიტროპოლიტო ენოდებოდა და არა მოსკოვის სამიტროპოლიტო. პრაქტიკულად ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. მოსკოვი რუსეთის გაერთიანებას ესწრაფოდა, ამ ბრძოლაში მას დიდი უპირატესობა ჰქონდა – მოსკოვი რუსეთის საეკლესიო ცენტრი იყო.

1315 წელს ლიტვის დიდი მთავარი გახდა გედიმინი. ჯერ კიდევ მიტროპოლიტ პეტრეს სიცოცხლეში ლიტვამ დაიპყრო სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის დიდი ნაწილი – ვოლინის სამთავრო და ქ. კიევი. მიტროპოლიტ პეტრეს და მის შემდგომ მიტროპოლიტებს უკვე ორ დამპყრობელთან – მონღოლებთან და ლიტველებთან – უხდებოდათ ურთიერთობის მოვარება. ლიტვის დიდი სამთავროს, ხოლო შემდეგ ლიტვა-პოლონეთის გაერთიანებული სახელმწიფოს მიერ რუსეთის ტერიტორიის დაპყრობას თან ახლდა კათოლიკობის გავრცელების საფრთხე.

პეტრეს შემდეგ მიტროპოლიტი გახდა ბერძენი თეოგნოსტი. კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან მან ხელდასხმა 1328 წელს მიიღო. ხელდასხმის შემდეგ მიტროპოლიტი თეოგნოსტი პირდაპირ მოსკოვში, დიდ მთავარ ივანე კალიტასთან, ჩავიდა. იმავე 1328 წელს ივანე კალიტამ ოქროს ურდოს ხანისაგან დიდი მთავრის ტიტული მიიღო.

ამ პერიოდისათვის მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ჯერ კიდევ მიტროპოლიტ პეტრეს სიცოცხლეში გალიჩის მიტრო-

პოლიტიად დაადგინა გავრილი, ხოლო თეოგნოსტის მიტრო-პოლიტობის უამს გალიჩის მიტროპოლიტიად ხელდასხმა მიიღო თეოდორემ. კიევში იჯდა ცრუმიტროპოლიტი თეოდორეტი. მართალია, კონსტანტინეპოლის პატრიარქი არ აღიარებდა კიევის ცრუმიტროპოლიტს, მაგრამ ამას პრაქტიკულად შედეგი არ მოჰყოლია.

მიტროპოლიტი თეოგნოსტი, როგორც წესი, ხელდასხმის შემდეგ ოქროს ურდოს ხანთან გაემგზავრა დასტურის მისა-ლებად. 1342 წელს თეოგნოსტი მეორედ იმყოფებოდა ოქროს ურდოში. ამჯერად მიტროპოლიტი დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ბოროტგანმზრახველმა ოქროს ურდოს ხანს მოახ-სენა, რომ მიტროპოლიტს დიდი შემოსავალი აქვს და დიდ სიმდიდრეს ფლობსო. ხანმა თეოგნოსტის მოსთხოვა, რომ გადა-სახადი გადაეხადა მთელ სამღვდელოებას. მიტროპოლიტი იძუ-ლებული გახდა ოქროს ურდოს დიდყაცობისათვის 600 მანეთის საერთო ღირებულების საჩუქრები დაერიგებინა. ოქროს ურდოს ხანმა რუსეთის ეკლესიას ძველი შეღავათები დაუტოვა და ახალი სიგელიც (იარლიყიც) უბოძა.

მიტროპოლიტი თეოგნოსტი 1353 წელს გარდაიცვალა.

მიტროპოლიტ თეოგნოსტის სიცოცხლეშივე მისი მემკვიდ-რედ აღიარებული იყო ალექსი. იგი ბოიარ პლეშჩევების საგვა-რეულოდან იყო. ალექსიმ კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან მიტროპოლიტად ხელდასხმა 1354 წელს მიიღო. ალექსის მიტ-როპოლიტად ხელდასხმის დროს კონსტანტინეპოლში გამარ-თულ საეკლესიო კრებაზე პირდაპირ იყო გაცხადებული, რომ ალექსის მიტროპოლიტად ხელდასხმა ხდება გამონაკლისის სახით, მისი პირადი თვისებებიდან გამომდინარე, ხოლო შემ-დგომი მიტროპოლიტები იქნებოდნენ მხოლოდ ბერძნები. საეკ-ლესიო კრებამ ასევე დაადგინა, რომ, მართალია, მიტროპო-ლიტი ცხოვრობს მოსკოვში, მაგრამ სამიტროპოლიტოს ცენ-ტრია ქალაქი კიევი და სამიტროპოლიტოსაც კიევის სამიტროპოლიტო ენოდებოდა.

მიტროპოლიტად ხელდასხმული ალექსი ჯერ კიდევ კონს-ტანტინეპოლში იმყოფებოდა, როცა იქ ჩავიდა მიტროპოლი-ტობის კანდიდატი სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის (გალიჩ-ვო-ლინის) მთავართა საგვარეულოდან – რომანი. რომანი ლიტვის დიდი მთავრის ოლგერდის მეორე მეუღლის იულია ტვე-

რელის ნათესავი იყო. ოლგერდმა კონსტანტინეპოლის პატრიარქს დიდი ძლვენი გაუგზავნა და თანაც შეუთვალა: თუ რომანს მიტროპოლიტად არ დაადგენდა, ლიტვაში მართლმადიდებლების დევნა დაიწყებოდა. რომანი ლიტვისა და ვოლინის მიტროპოლიტად იქნა ხელდასხმული. ახალი სამიტროპოლიტოს ცენტრი ლიტვის ქალაქ ნოვოგროდეკაში უნდა ყოფილიყო. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა და საეკლესიო კრებამ ოლგერდის მოთხოვნის მიუხედავად, ქალაქი კიევი ახალი სამიტროპოლიტოს (ლიტვისა და ვოლინის სამიტროპოლიტოს) ფარგლებს გარეთ დასტოვა, ე. ი. მიტროპოლიტ ალექსის დაუკვემდებარა.

მიტროპოლიტი ალექსი ემორჩილებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის გადაწყვეტილებას. მიტროპოლიტი რომანი უკმაყოფილი იყო და ლიტვისა და ტვერის მთავრების მხარდაჭერით ცდილობდა კიევისა და ბრიანსკის ეპარქიების მიტაცებას. მიტროპოლიტთა დაპირისპირება შეწყდა რომანის გარდაცვალებით (1368 წ.). კონსტანტინეპოლის პატრიარქმა და საეკლესიო კრებამ დაადასტურეს, რომ ლიტვა არ იყო გამოყოფილი კიევის (რუსეთის) სამიტროპოლიტოდან. ეს გადაწყვეტილება პრაქტიკულად არ განხორციელებულა, უფრო მეტიც იგი არც გამოქვეყნებულა.

მიტროპოლიტ ალექსის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ის მთავრები, რომელთაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ მოსკოვის მთავართან. ჯერ კიდევ მიტროპოლიტი იოანე II-ის სიცოცხლეში ალექსი იყო მოსკოვის დიდი მთავრის უახლოესი მრჩეველი. ოქროს ურდოს ხანები დიდ პატივს სცემდნენ ალექსის, რასაც მოხერხებულად იყენებდნენ მოსკოვის მთავრები სიმონ ამაყი (1340-1353) და ივანე II ლამაზი (1353-1359). 1357 წელს ავად გახდა ოქროს ურდოს დედოფალი (ხანის მეუღლე). იგი ვერ განკურნეს ადგილობრივმა ექიმებმა. ოქროს ურდოს ხანმა მოსკოვის მთავარს მისწერა: ან მიტროპოლიტი ალექსი ჩამოვიდეს და განკურნოს დედოფალი, ან თქვენ ქვეყანას გავავერანებო. მიტროპოლიტი ალექსი ურდოში გაემგზავრა და ავადმყოფი განკურნა. ამის შემდეგ ალექსის ავტორიტეტი ოქროს ურდოში კიდევ უფრო ამაღლდა. იმავე 1357 წელს ოქროს ურდოს ხანი გარდაიცვალა. ახალმა ხანმა მოსკოვის მთავარს ხარკის გაზრდა მოსთხოვა. მიტროპოლიტი ალექსი

ურდოში გაემგზავრა, ხანი ხარკის შემცირებაზე დაიყოლია და მოსკოვის მთავრისათვის დიდი მთავრობის დამადასტურებელი სიგელიც (იარლიყიც) ჩაიტანა მოსკოვში.

მოსკოვის დიდი მთავრის დიმიტრი ივანეს ძე დონელის (1359-1328) მცირენლოვანების დროს ქვეყანას მიტროპოლიტი ალექსი განაგებდა და ბევრჯერ იხსნა რუსეთი სხვადასხვა საფრთხისაგან.

XIV საუკუნის 70-იან წლებში კვლავ გართულდა ვითარება სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ვერ გაუძლო პოლონეთის მეფის კაზიმირის დაწოლას და შესცვალა კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებისა და პირადად მისი გადაწყვეტილება. პატრიარქმა 1371 წელს გალიჩის მიტროპოლიტად დაადგინა ანტონი. იმავე 1371 წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ლიტვის დიდი მთავრის ოლგერდის წერილი მიიღო. ოლგერდი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მიტროპოლიტ ალექსის მოღვაწეობის გამო და დასძენდა: ალექსი კიევსა და ლიტვაში საერთოდ არ ჩადის, მოსკოვს არ სტოვებს და მისი ლოცვა-კურთხევა მხოლოდ მოსკოვის დიდ მთავარს აქვსო. ოლგერდი პატრიარქს სთხოვდა: მალოროსის, ლიტვის, ქალაქების: კიევის, სმოლენსკის, ტვერის და საერთოდ, მოსკოვის დიდ მთავართან დაპირისპირებული სამთავროებისა და ქალაქებისათვის დაედგინა ცალკე მიტროპოლიტი. პატრიარქი დათმობაზე წავიდა და 1376 წელს კიევის მიტროპოლიტად დაადგინა ბულგარელი კიპრიანი. ასე რომ, რუსეთში სამი მიტროპოლიტი მოღვაწეობდა: ალექსი (მოსკოვში), ანტონი (გალიჩში) და კიპრიანი (კიევში). კონსტანტინეპოლის პატრიარქმა განაცხადა, რომ მიტროპოლიტ ალექსის გარდაცვალების შემდეგ კიევის მიტროპოლიტი კიპრიანი სამად გაყოფილ სამიტროპოლიტოს ისევ გააერთიანებდა.

მოსკოვის დიდი მთავარი დიმიტრი ივანეს ძე, ცხადია, უკმაყოფილი იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქის გადაწყვეტილებით. პატრიარქმა მოსკოვის დიდ მთავართან შეთანხმების გარეშე დაადგინა მომავალი გაერთიანებული სამიტროპოლიტოს უმაღლესი იერარქი. მოხუც მიტროპოლიტ ალექსის სურდა თავის მეგვიდრედ დაესახელებინა ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწე სერგი, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავი შეიკავა. მაშინ მოსკოვის დიდმა მთავარმა დიმიტრიმ მიტროპოლიტ ალექსის

მემკვიდრედ თავის მოძღვრის, მღვდელ მიხეილის დასახელება გადაწყვიტა. დიდმა მთავარმა მღვდელი მიხეილი დაითანხმა, მიხეილი ბერად უნდა აღკვეცილიყო. იმავე დღეს იგი მიღებდა არქიმანდრიტად ხელდასხმას და დაინიშნებოდა მოსკოვის მინისტრის მონასტრის წინამძღვრად. მიტროპოლიტმა ალექსიმ მღვდელ მიხეილის კანდიდატურა არ მოიწონა. 1378 წელს მიტროპოლიტი ალექსი გარდაიცვალა. მღვდელმა მიხეილმა მიტროპოლიტის რეზიდენცია დაიკავა და შეუდგა სამიტროპოლიტოს საქმეთა განგებას. დიდი მთავრის განკარგულებით, მოსკოვში შეიკრიბა რუსი ეპისკოპოსების კრება. საეკლესიო კრებას მიხეილი მიტროპოლიტად უნდა აერჩია. საეკლესიო კრების მონაწილეების ნაწილი მიხეილის მიტროპოლიტად არჩევის წინააღმდეგი იყო. განსაკუთრებით გამოიდო თავი სუზდალის ეპისკოპოსმა დიონისიმ.

მოსკოვის დიდ მთავარს დიმიტრის და მიტროპოლიტობის კანდიდატს მღვდელ მიხეილს ჰქონდათ ცნობა, რომ სუზდალის ეპისკოპოსი თავად აპირებდა კონსტანტინეპოლში გამგზავრებასა და მიტროპოლიტობის კანდიდატის ძიებას. ეპისკოპოსი დიონისი მიხეილის განკარგულებით დააპატიმრეს. დიონისიმ პირობა დადო, რომ კონსტანტინეპოლში არ წავიდოდა. იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მაინც გაემგზავრა კონსტანტინეპოლში. იმავდროულად კიევიდან მოსკოვში გაემგზავრა მიტროპოლიტობის კანდიდატი კიპრიანი, რომელიც კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებისა (1376 წ.) და პატრიარქის გადაწყვეტილების თანახმად, მიტროპოლიტ ალექსის შემდეგ მიტროპოლიტი უნდა გამხდარიყო. დიდი მთავრის დიმიტრის წების თანახმად, მღვდელი მიხეილიც მრავალრიცხვანი ამაღლითა და დიდი ძღვენით მოსკოვიდან კონსტანტინეპოლში გაემგზავრა, რათა პატრიარქისაგან მიტროპოლიტად ხელდასხმა მიეღო. კონსტანტინეპოლში ჩასვლას მიხეილი ვერ მოესწრო. 1379 წელს ბიზანტიის დედაქალაქიდან სულ ახლოს, გზაში, მოულოდნელად გარდაიცვალა.

მიხეილის გარდაცვალების შემდეგ მისი ამაღლის წევრებმა მოსკოვის დიდი მთავრის სახელით შეადგინეს ყალბი წერილი და კონსტანტინეპოლის პატრიარქ არქიმანდრიტ პიმენის მიტროპოლიტად ხელდასხმა სთხოვეს. კონსტანტინეპოლის პატრიარქი და ბიზანტიის იმპერატორი წინააღმდეგნი იყვნენ პიმენის

მიტროპოლიტად ხელდასხმისა და აცხადებდნენ, რომ რუსეთს უკვე ჰყავდა მიტროპოლიტი – კიპრიანი. რუსებმა 20 000-მანეთამდე ქრთამი გაიღეს და პიმენის მიტროპოლიტად ხელდასხმას მიაღწიეს. მოსკოვის დიდმა მთავარმა დიმიტრიმ გაიგოთ არა პიმენის მიტროპოლიტად ხელდასხმის თაობაზე, მაშინვე მოსკოვში მიიწვია მის მიერვე გაძევებული მიტროპოლიტი კიპრიანი, ხოლო პიმენი, მოსკოვში დაბრუნებისთანავე ციხეში ჩაასმევინა.

მიტროპოლიტი კიპრიანი ღირსეული პიროვნება არ აღმოჩნდა. 1382 წელს, მოსკოვზე ოქროს ურდოს ხანის თოხთამიშის ლაშქრობის დროს, მიტროპოლიტმა კიპრიანმა მოსკოვი დატოვა და ლიტვის დიდ მთავართან კავშირში მყოფ ტვერის მთავარს შეაფარა თავი. განრისხებულმა მოსკოვის დიდმა მთავარმა დიმიტრიმ მიტროპოლიტი კიპრიანი გააძევა. რუსეთის მიტროპოლიტი ციხიდან გათავისუფლებული პიმენი გახდა. არც პიმენი აღმოჩნდა ღირსეული პიროვნება. ამიტომ იყო, რომ დიდმა მთავარმა დიმიტრიმ კონსტანტინეპოლის პატრიარქს სთხოვა მიტროპოლიტად დიონისი დადგენა. პატრიარქმა დიონისი მართლაც დაადგინა მიტროპოლიტად, მაგრამ კონსტანტინეპოლიდან მოსკოვში მიმავალი მიტროპოლიტი კიევში ლიტველებმა შეიპყრეს. 1385 წელს დიონისი ციხეში გარდაიცვალა.

კონსტანტინეპოლში ჩასული კიპრიანი და პიმენი პატრიარქისაგან მიტროპოლიდან ხელდასხმის მიღებას ცდილობდნენ. პატრიარქმა კიპრიანი გამოარჩია. კიპრიანის მდგომარეობა მყარი გახდა მას შემდეგ, რაც 1389 წელს მისი მოძულე მოსკოვის დიდი მთავარი დიმიტრი ივანეს ძე დონელი გარდაიცვალა. გარდაიცვალა პიმენიც. რუსეთის მიტროპოლიტმა კიპრიანმა მეტოქებს კი აჯობა, მაგრამ ერთმართველობა მაინც ვერ დაამყარა – გალიჩში კვლავ რჩებოდა მიტროპოლიტი ანტონი.

მიტროპოლიტ კიპრიანს ხელსაყრელ ვითარებაში მოუხდა რუსეთის ეკლესიის მართვა. მიტროპოლიტს არც ერთხელ არ მოსვლია უთანხმოება მოსკოვის დიდ მთავარ ვასილ I დიმიტრის ძესთან (1389-1425). მეფე ვასილი I დაქორწინებული იყო ლიტვის დიდი მთავრის ვიტოვტის ქალიშვილზე. სიძე და სიმამრი დაზავდნენ – რუსეთსა და ლიტვას შორის მშვიდობა დამყარდა. ამან განაპირობა ისიც, რომ ვიტოვტი ლიტვისათვის ცალკე მიტროპოლიტის ხელდასხმას აღარ სთხოვდა კონსტან-

ტინეპოლის პატრიარქეს. მიტროპოლიტ კიპრიანს ოქროს ურდოსთან ურთიერთობის მოგვარება აღარ სჭირდებოდა. 1380 წელს დიდი მთავრის დიმიტრი დონელის მიერ კულიკოვოს ფელიცე მონალოლთა დამარცხების შემდეგ ოქროს ურდო რუსეთისათვის საშიშ ძალას აღარ წარმოადგენდა.

ამ პერიოდიდან მიტროპოლიტობის დამადასტურებელ სიგელს (იარლიყს) რუსები ოქროს ურდოში აღარ ეძიებდნენ. ხელდასხმის შემდეგ მიტროპოლიტობის დამადასტურებელ სიგელს დიდი მთავარი იძლეოდა. ასეთი სიგელი 1404 წელს მოსკოვის დიდმა მთავარმა ვასილი I-მა უბორა მიტროპოლიტ კიპრიანს.

1404 წელს დიდი მთავრის ვასილი I-ის მიერ გაცემული სიგელი, ასევე მომდევნო ხანებში გაცემული სიგელები, ზღუდავდა ეკლესიის ჩარევას სახელმწიფო საქმეებში. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საქმეებში ჩარევის უფლებას რუსეთის მიტროპოლიტებს ოქროს ურდოს ხანების მიერ ნაბოძები სიგელები (იარლიყები) აძლევდა. 1404 წლის სიგელის ძალით: 1) ეკლესია, ისევე, როგორც წინათ, ამჯერადაც გათავისუფლებული იყო გადასახადებისაგან; 2) ეკლესიაზე არ ვრცელდებოდა დიდი მთავრის სასამართლო ანუ საერო სასამართლო; 3) ეკლესიას კვლავინდებურად უნდა გაეღო თავისი წილი ოქროს ურდოში გასაგზავნი ხარკისათვის; 4) ეკლესია ვალდებული იყო გადასახადის სახით სახელმწიფო ხაზინისათვის მიეცა ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლის ნანილი (ეს არ ეხებოდა თვით ეკლესიის მიერ დამზადებული ნივთების გაყიდვით მიღებულ შემოსავალს); 5) ომის დროს მიტროპოლიტი ვალდებული იყო გამოეყვანა ჯარი ვოევოდით სათავეში, რომელიც დიდი მთავრის განკარგულებაში იქნებოდა; 6) ღვთისმსახურები (თეთრი და შავი სამღვდელოება), ასევე ბერები და მონაზვნები უნდა გასამართლებულიყვნენ მიტროპოლიტის სასამართლოში. თუ ერთსა და იმავე საქმეზე განსასჯელთა შორის იყვნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები, მაშინ ინიშნებოდა შერეული სასამართლო – მიტროპოლიტისა და დიდი მთავრისა; 7) მიტროპოლიტს არ შეეძლო მღვდლად და დიაკვნად დაედგინა დიდი მთავრის სამსახურში მყოფი ადამიანები (ამით იყო გაპირობებული ის, რომ რუსეთში სასულიერო ფენა ისევ სასულიერო პირთა ოჯახებიდან გამოსულთა ხარჯზე იზრდებოდა).

მიტროპოლიტმა კიბრიანმა ბევრი გააკეთა ეკლესიაში წეს-რიგის აღდგენის მიზნით. მის დროს შესწორდა და გადაიწერა ბევრი საეკლესიო წიგნი, მიმდინარეობდა ბერძნულიდან საეკლესიო წიგნების რუსულად თარგმნა და სხვ.

მიტროპოლიტი კიბრიანი გარდაცვალა 1406 წელს. იგი და-კრძალეს მოსკოვში, მიძინების ტაძარში.

მიტროპოლიტ კიბრიანის გარდაცვალების შემდეგ ისევ შეიქმნა სამიტროპოლიტოს ორად გაყოფის საშიშროება. რუსეთსა და ლიტვას შორის ომები განახლდა. დიდი მთავრის ვასილი I-ის თხოვნით კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მოსკოვში გაგზავნა მიტროპოლიტი ფოტი. ლიტვის დიდ მთავარს ვიტოვტს თავდაპირველად არ სურდა ეცნო ფოტის მიტროპოლიტობა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. ვიტოვტმა ასეთი პირობა წამოაყენა: ლიტვა ცნობდა მიტროპოლიტ ფოტის იმ შემთხვევაში თუ იგი კიევში იცხოვრებდა და არა მოსკოვში. მიტროპოლიტმა ფოტიმ ნახევარი წელი მართლაც კიევში იცხოვრა, მაგრამ 1410 წელს მოსკოვში გადავიდა.

მიტროპოლიტი ფოტი იყო საეკლესიო წესების განუხრელად დაცვისათვის შეუდრეველი მებრძოლი, კარგად ერკვეოდა სამეურნეო საქმეებში. 1410 წელს შესრულდა ოთხი წელი, რაც მოსკოვში მიტროპოლიტს აღარ უმოლვანია. ამ გარემოებამ გარკვეული დაღი დაასვა რუსეთის საეკლესიო ცხოვრებას, დაგროვდა ბევრი პრობლემა. ფოტის მიტროპოლიტის სასახლეც კი გაძარცვული დაუხვდა. მიტროპოლიტის სასახლეში დაცული სიმდიდრის ნაწილი დიდი მთავრის ხაზინაში გადაეტანათ, ნაწილი ბოიარებს მიეტაცებინათ. ფოტიმ ქონების უპირობოდ დაბრუნება მოითხოვა, რითაც ბევრი მტერი გაიჩინა.

1411 წელს მიტროპოლიტი ფოტი ვიტოვტის დასამშვიდებლად ლიტვაში გაემგზავრა. მიტროპოლიტმა ლიტვაში ეკლესიაში არსებული უწესრიგობის აღმოფხვრა მოინდომა, დაიწყო ეკლესიებისათვის წართმეული სიმდიდრის უკან დაბრუნებისათვის ბრძოლა. ყოველივე ამან მიტროპოლიტს ლიტვაშიც მტრები გაუმრავლა.

1411 წელს ლიტვის დიდმა მთავარმა ვიტოვტმა ლიტვის ეპარქიების მმართველი ეპისკოპოსების კრება მოიწვია და ლიტვისათვის დამოუკიდებელი მიტროპოლიტის არჩევა მოითხოვა. საეკლესიო კრებამ ლიტვის მიტროპოლიტად მიტროპო-

ლიტ კიპრიანის ნათესავი გრიგოლ ცამბლაკი აირჩია. ილუმენი გრიგოლ ცამბლაკი 1406 წელს მოსკოვში ჩავიდა, მაგრამ ბიძა-მისი, მიტროპოლიტი კიპრიანი ცოცხალი აღარ დახვდა. მოსკო-ვიდან იგი ლატვიაში გაემგზავრა და იქ გააგრძელა მოღვაწე-ობა.

კონსტანტინეპოლის პატრიარქს და ბიზანტიის იმპერატო-რს მოსკოვის დიდ მთავართან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდათ, ამიტომ ლიტვის დიდ მთავარს უარი უთხრეს გრიგოლ ცამბლაკის მიტროპოლიტად ხელდასხმაზე. ვიტოვტმა ისევ მოიწვია ლიტვის საეკლესიო კრება. კრებაზე მან აუგად მოიხ-სენია კონსტანტინეპოლის პატრიარქი და რუსეთის მიტრო-პოლიტები. ვიტოვტმა ეპისკოპოსებს მოსთხოვა თავად აერჩიათ ლიტვის მიტროპოლიტი. მიტროპოლიტი ფოტი სასწრაფოდ გაემგზავრა ლიტვაში, რათა იქაური საქმეები მოეგვარებინა. ვიტოვტმა მიტროპოლიტი ფოტი არც კი მიიღო. მოსკოვისაკენ მიმავალ მიტროპოლიტს ვიტოვტის ბრძანებით წაართვეს ლიტ-ვაში აკრეფილდი გადასახადი.

კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ლიტვის დიდ მთავარს ვი-ტოვტს მეორედაც უარი უთხრა ლიტველი ეპისკოპოსების მიერ არჩეული გრიგოლ ცამბლაკის მიტროპოლიტად ხელდასხმაზე. 1415 წელს ვიტოვტის მოთხოვნით მესამედ შეიკრიბა ლიტვის საეკლესიო კრება და კონსტანტინეპოლის პატრიარქის წინააღ-მდეგობის მიუხედავად ლიტვის მიტროპოლიტად გრიგოლ ცამ-ბლაკი აირჩია. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა გრიგოლ ცამ-ბლაკი ეკლესიიდან განკვეთა, მაგრამ 1418 წლამდე იგი ლიტვის მიტროპოლიტად მაინც რჩებოდა. 1418 წელს გრიგოლ ცამ-ბლაკმა თავად თქვა უარი მიტროპოლიტობაზე და ლიტვა და-ტოვა.

1425 წელს გარდაიცვალა მოსკოვის დიდი მთავარი ვასილი I დიმიტრის ძე. მთავარს დარჩა მცირენლოვანი მექვიდრე ვა-სილი ვასილის ძე. მოსკოვში დიდი მთავრის ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. მცირენლოვან ვასილის ტახტს ბიძამისი იური დიმიტრის ძე ეცილებოდა. მიტროპოლიტი ფოტი მტკიცედ დადგა მცირენლოვანი ვასილის მხარეზე და ბევრი გააკეთა დი-დი სისხლისლვრის თავიდან ასაცილებლად. 1431 წელს მიტრო-პოლიტი ფოტი გარდაიცვალა. რუსეთში დიდი მთავრის ტახტისათვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა და დიდი სისხლიც

დაიღვარა. ეს ნაწილობრივ იმითაც იყო გაპირობებული, რომ რუსეთი დიდი ხნით დარჩა უმიტროპოლიტოდ.

1433 წელს დიდმა მთავარმა და საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტი რიაზანის ეპისკოპოსი იოანე გამოარჩია. იმავდროულად ლიტვის საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტად სმოლენსკის ეპისკოპოსი გერასიმე აირჩია. 1435 წელს ლალატის ბრალდებით ლიტვის დიდმა მთავარმა იგაილომ გერასიმე ქ. ვიტებსკში კოცონზე დააწვევინა.

ხელდასხმის მისაღებად კონსტანტინეპოლიში ჩასულ იოანეს ბიზანტიის იმპერატორმა და პატრიარქმა იოსებმა განუცხადეს, რომ მან დააგვიანა და რუსეთში უკვე გაიგზავნა მიტროპოლიტი ისიდორე. იოანეს მიტროპოლიტად ხელდასხმას ისიდორეს შემდეგ დაპირდნენ.

მიტროპოლიტი ისიდორე ბიზანტიის იმპერატორსა და კონსტანტინეპოლის პატრიარქს შემთხვევით არ შეურჩევიათ. ოსმალეთის მხრიდან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, იმპერატორი იოანე პალეოლოგი და პატრიარქი იოსები ემზადებოდნენ რომის პაპთან უნიის დასაღებად. უნიის საკითხს იხილავდა 1437-1439 წლებში ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე (უნია ფლორენციაში 1439 წელს დაიდო). საეკლესიო კრებაზე მიტროპოლიტი ისიდორე უნიის თავგამოდებულ მომხრეთა შორის იყო. ამ დამსახურებისათვის რომის პაპმა ევგენი IV-მ მიტროპოლიტ ისიდორეს კარდინალობა და ლეგატობა უბოძა და ლიფლანდია, ლიტვა და რუსეთი მისცა სამწყსოდ. მოსკოვისკენ მიმავალმა მიტროპოლიტმა ისიდორემ ეპარქიებში სიგელები დააგზავნა. იგი მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს მოუწოდებდა ღვთისმსახურებას დასწრებოდნენ, როგორც მართლმადიდებლურ, ისე კათოლიკურ ეკალესიებში. მოსკოვში ჩასვლის შემდეგ, მიძინების ტაძარში პირველსავე საღმრთო ლიტურგიაზე ისიდორე კათოლიკური ჯვრით გამოცხადდა და აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქების ნაცვლად ღვთისმსახურებისას რომის პაპი მოიხსენია. ლიტურგიის შემდეგ მიტროპოლიტმა ისიდორემ ფლორენციაში მიღებული უნიის ტექსტის წაკითხვა უბრძანა. უნიის ტექსტი მრევლს ფილიოკვეს საკითხს კათოლიკური რწმენის მიხედვით განუმარტავდა. ტაძარში მყოფი მოსკოვის დიდი მთავარი ვასილი II (1425-1462) ძლიერ აღმფოთდა და მიტ-

როპოლიტი ისიდორე იქვე დააპატიმრებინა. 1441 წელს რუსეთის ეპისკოპოსების კრებამ ისიდორე გაასამართლა და მიტროპოლიტიდან გადააყენა. ისიდორემ პატიმრობიდან გაუცევა მოახერხა და რომში ჩააღნია. ისიდორე იყო რუსეთის უკანასკნელი ბერძენი მიტროპოლიტი.

ისიდორეს გადაყენების შემდეგ დიდმა მთავარმა ვასილი II ხელდასხმისათვის კონსტანტინეპოლში გაგზავნა ეპისკოპოსი იონა. მას შემდეგ, რაც დიდმა მთავარმა გაიგო, რომ ბიზანტიის იმპერატორმა და კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ფლორენციის უნია მიიღეს, მიტროპოლიტი იონა და მისი თანმხლები პირები უკან გამოიწვია. მიტროპოლიტის არჩევა გაჭიანურდა. ამის მიზეზი იყო რუსეთში დიდი მთავრის ტახტისათვის ბრძოლა. სამღვდელოება და მიტროპოლიტი იონა ერთგულად ედგნენ მხარში ტახტის კანონიერ მემკვიდრეს ვასილი II-ს. დიდი მთავრის ტახტისათვის მებრძოლი დიმიტრი იურის ძე შემიაკა (ვასილ II-ის ბიძაშვილი) მიტროპოლიტ იონას მიმხრობას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. 1446 წელს დიმიტრი შემიაკამ შეიძყრო და თვალები დათხარა ვასილ II-ს. მალე დიმიტრი შემიკამ მიტყუებით შეიძყრო მიტროპოლიტი იონა. დიდი მთავრის ტახტისათვის ბრძოლაში ეკლესიის მხარდაჭერით ვასილი II-მ გაიმარჯვა. 1448 წელს რუსეთის საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტად, ამჯერად საბოლოოდ, იონას არჩევის შემდეგ მოსკოვიდან კონსტანტინეპოლის პატრიარქს წერილი გაუგზავნა. წერილში აღნიშნული იყო: მიტროპოლიტის დამოუკიდებლად არჩევის მიუხედავად, რუსეთის ეკლესია არ ემიჯნებოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს; მიტროპოლიტის არჩევა კი მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ოსმალებისაგან მომდინარე საფრთხის გამო მოსკოვიდან კონსტანტინეპოლში მგზავრობა მეტად საშიში იყო; მოსკოვში ისიც კი არ იცოდნენ დანამდვილებით, იმყოფებოდა თუ არა პატრიარქი კონსტანტინეპოლში.

1453 წელს კონსტანტინეპოლი ოსმალებმა აიღეს. მიტროპოლიტმა იონამ პატრიარქ გენადის საჩუქრები გაუგზავნა და კურთხევა სთხოვა.

ბიზანტიის იმპერიის დაცემას (1453 წ.) შემდეგ კონსტანტინეპოლის პატრიარქის გავლენა რუსეთის ეკლესიაზე შესუსტდა. მიუხედავად ამისა, იურიდიულად რუსეთის ეკლესია

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სამიტროპოლიტოს
ნარმოადგენდა.

რთული ვითარება იყო ლიტვაში და პოლონეთისა და უკრაინის მიერ დაპყრობილ რუსეთის ტერიტორიაზე. 1385 წელს ქ. კრევოში პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის დიდ სამთავროს შორის დაიდო დინასტიური უნია. ლიტვის დიდი მთავარი იაგაილო პოლონეთის მეფის ასულზე დაქორწინდა და პოლონეთ-ლიტვის მეფე გახდა. იაგაილოს შვილი კაზიმირ IV (1427-1492) რუსეთის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას არ მაღავდა.

1458 წელს კონსტანტინეპოლიტი რომში გადასულმა უნის მომხრე პატრიარქმა გრიგოლმა ლიტვის მიტროპოლიტად დაადგინა მიტროპოლიტი ისიდორეს მონაფე გრიგოლი. ამ ფაქტმა მოსკოვში დიდი შეშფოთება გამოიწვია. 1459 წელს შეიკრიბა რუსეთის საეკლესიო კრება. კრებამ დაადგინა, რომ ამიერიდან მიტროპოლიტი აერჩიათ რუსეთის საეკლესიო კრებაზე. კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან ხელდასხმა საჭიროდ აღარ იქნა მიჩნეული. 1459 წლის რუსეთის საეკლესიო კრებაზე პირველად გაესვა ხაზი განსხვავებას მოსკოვის სამიტროპოლიტოსა და კიევის სამიტროპოლიტოს შორის. ამით იურიდიულად დაკანონდა კიევის სამიტროპოლიტოს ორად გაყოფა. სამიტროპოლიტოები იწოდებოდნენ მთავარი ქალაქების (მოსკოვისა და კიევის) მიხედით.

მიტროპოლიტი იონა 1461 წელს გარდაიცვალა.

219 წელი (1240-1459 წწ.) მიმდინარეობდა ბრძოლა მოსკოვის სამიტროპოლიტოს ჩამოყალიბებისათვის. 1459 წელს ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა.

თავის მიერ სამიტო და განაკვეთი მიერ მომდევნობის დროის მიზანი იყო მართლმადიდებლობა იყო გაბატონებული რელიგია, რომელსაც რუსეთის (მოსკოვის) დიდი მთავრები აქტიურად უჭერდნენ მხარს. თითქმის ყველა დიდი მთავარი ორმადმორნებულება მართლმადიდებელი იყო. ისინი მედგრად იცავდნენ რუსეთის ეკლესიას როგორც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან დაპირისპირების დროს, ისე რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავი გესახე

პიევის სამიტო აოლიტო. უნიატური ეკლესიის შექმნა (1459-1654)

მოსკოვის (რუსეთის) სამიტო პოლიტოში კათოლიკობამ ფეხი ვერ მოიკიდა. რუსეთში მართლმადიდებლობა იყო გაბატონებული რელიგია, რომელსაც რუსეთის (მოსკოვის) დიდი მთავრები აქტიურად უჭერდნენ მხარს. თითქმის ყველა დიდი მთავარი ორმადმორნებულება მართლმადიდებელი იყო. ისინი მედგრად იცავდნენ რუსეთის ეკლესიას როგორც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან დაპირისპირების დროს, ისე რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კიევის სამიტო პოლიტოს ორად – კიევისა და მოსკოვის სამიტო პოლიტოებად – გაყოფის შემდეგ (1459 წ.) კიევის სამიტო პოლიტო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. კიევის სამიტო პოლიტოს ტერიტორია XIII-XIV საუკუნეებში ლიტვის დიდმა სამთავრომ და პოლონეთის სამეფომ დაიპყრეს. 1385 წელს პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებული სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ კიევის სამიტო პოლიტოს ტერიტორია ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. პოლონეთსა და ლიტვას მიტაცებული ჰქონდა ძველი რუსული ქალაქები: კიევი, ვოლინი, ჩერნიგოვი, ვიტებსკი, სმოლენსკი, ფსკოვი და მრავალი სხვა (დღევანდელი უკრაინისა და ბელორუსის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, ასევე რუსეთის ფედერაციის დასავლეთი ნაწილი).

კიევის სამიტო პოლიტო სრულიად დაუცველი აღმოჩნდა რომის კათოლიკური ეკლესიის პირისპირ. მოსკოვის დიდ მთავარსა და მოსკოვის მიტო პოლიტოს არც იურიდიული უფლება

და არც პრაქტიკული შესაძლებლობა არ ჰქონდა რომ დაეცვათ კიევის მიტროპოლიტი, ღვთისმსახურები და მრევლი.

1385 წლის კრევოს უნიის შემდეგ პოლონეთ-ლიტვის სამეფო ტახტზე ასული ლიტვის დიდი მთავარი იაგაილი ცდილობდა ლიტვა კათოლიციზმის მძაფრი შემოტევისაგან დაეცვა. ასეთივე პოლიტიკას ატარებდნენ მისი მემკვიდრეებიც. მოგვიანებით ვითარება შეიცვალა.

კიევის პირველი მიტროპოლიტი გრიგოლი ფლორენციის უნიის (1439 წ.) მომხრე და მიტროპოლიტად კონსტანტინეპოლის უნიატი პატრიარქის ხელდასმული, ცხადია, მართლმადიდებლობის დამცველად ვერ გამოდგებოდა. პირიქით, მიტროპოლიტი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ლიტვაში უნიის პრინციპები დაემკვიდრებინა. მიტროპოლიტი უნიის მოწინააღმდეგე მართლმადიდებელ სამლენელოებას სასტიკად სდევნიდა. მიტროპოლიტ გრიგოლის მოქმედებას წინ აღუდგა პოლონეთ-ლიტვის მეფე. მოღვაწეობის ათი წლის თავზე (1469 წ.) ერთ დროს უნიის თავგამოდებულმა მომხრე მიტროპოლიტმა გრიგოლმა ისევ მართლმადიდებლობა არჩია. სამაგიეროდ, რომის პაპის მოთხოვნით მართლმადიდებლების შევინწყოვება დაიწყეს პოლონეთ-ლიტვის მეფეებმა. 1413 წლიდან პოლონეთ-ლიტვის სამეფომი უმაღლეს სახელმწიფოში თანამდებობებზე მართლმადიდებლის დანიშვნა აიკრძალა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ 1413 წლის შემდეგაც პოლონეთ-ლიტვის მეფეთა დამოკიდებულება მართლმადიდებლებისადმი ერთგვაროვანი არ ყოფილა. ისინი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ხან ავინწყოვებდნენ, ხან მფარველობდნენ მართლმადიდებლებს. მართლმადიდებლობას დიდი დარტყმა მიაყენა პოლონეთ-ლიტვის მეფის მიერ ეკლესიის „პატრიონის“ უფლების მიტაცებამ. მეფემ მიიტაცა საეკლესიო თანამდებობების ბოძების უფლება. მეფე წყვეტდა საარქიეპისკოპოსო და საეპისკოპოსო კათედრების გახსნას და არქიეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების დანიშვნას, ეკლესიებში მღვდლებისა და მონასტრებში წინამძღვრების დანიშვნას და ა. შ. ყოველივე ამას ბევრი ბოროტება მოჰყვა. მართლმადიდებელთა მონასტრები ხშირად საერთ პირებს ეძლეოდათ სამართავად. მართალია, ისინი მონასტრებს მართლმადიდებელი სასულიერო პირის მეშვეობით განაგებდნენ, მაგრამ ეს ვითარებას სულაც არ ამსუბუქებდა. ხშირად

საერო პირები, არისტოკრატიის წარმომადგენლები (მართლმა-დიდებელი პანები) საარქიეპიკოპოსო და საეპისკოპოსო კათედ-რებს იკავებდნენ. მათ წოდებულ ეპისკოპოსებად იხსენი-ებდნენ. იყო შემთხვევები, როცა წოდებულმა ეპისკოპოსმა მთელი ეპარქია გაჰყიდა. სწორედ ამგვარი პოლიტიკის შემდეგ იყო ის, რომ პოლონეთ-ლიტვის სამეფოს ტერიტორიაზე მართლმადიდებელი ეკლესია (კიევის სამიტროპოლიტო) გაღატაკდა, მართლმადიდებელი სამღვდელოება უკიდურესად მძიმე მატე-რიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

კიევის სამიტროპოლიტომ ხსნის ერთადერთ მზად კონსტანტინეპოლის პატრიარქთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება მიიჩნია. მაშინ, როდესაც მოსკოვის მიტროპოლიტს კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან დამოუკიდებლად რუსეთის საეკლესიო კრება ირჩევდა, კიევის მიტროპოლიტის ხელდასხმა კონსტანტინეპოლში ხდებოდა.

1495 წელს ვილნოში გამართულმა ეპისკოპოსების კრებამ კიევის მიტროპოლიტად აირჩია მაკარიოსი. არჩევის შემდეგ მიტროპოლიტი მაკარიოსი კონსტანტინეპოლში ჩავიდა პატრიარქისაგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად. პატრიარქი გაბრაზდა და ცხადად მიანიშნა, რომ მასთან წინასწარ შეთანხმების გარეშე კიევის მიტროპოლიტი არ აერჩიათ. თუმცა პოლონეთ-ლიტვის მეფესთან შეთანხმებისა და სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსთა კრების თანხმობის გარეშე არც პატრიარქს შეეძლო კიევის მიტროპოლიტის დანიშვნა. 1476 წელს ლიტვაში არ მიიღეს კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ გაგზავნილი მიტროპოლიტი სპირიდონი. სპირიდონი რუსეთში გაემგზავრა და სოლოვეცის მონასტრებში დამკვიდრდა.

კიევის სამიტროპოლიტოში საეკლესიო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო მეფისა და სხვა საერო პირების (მართლმადიდებელი არისტოკრატიის) აქტიური მონაწილეობა ეპარქიებისა და სამიტროპოლიტოს მართვა-გამგეობაში. მეფე ითვლებოდა მთელი სამიტროპოლიტოს „პატრონად“, ხოლო მართლმადიდებელი არისტოკრატები (პანები) თავიანთ მამულებში არსებული ეკლესიებისა და მონასტრების „პატრონებად“.

1492 წელს გარდაიცვალა პოლონეთ-ლიტვის მეფე კაზიმირ IV. ტახტზე ავიდა მისი მემკვიდრე ალექსანდრე. ალექსანდრეს მეფობის უამს კიევის მიტროპოლიტი იყო ფლორენციის

უნიის მომხრე იოსებ ბოლგარინოვიჩი. მიტროპოლიტი იოსები დაუფარავად სდევნიდა მართლმადიდებლობას. შევიწროვებას განიცდიდა მეფე ალექსანდრეს მეუღლე, დედოფალი ელენე, რომელიც რუსეთის დიდი მთავრის ივანე III-ის (1462-1405) ქალიშვილი იყო. დედოფალ ელენეს მოაშორეს მისი მოძღვარი, მართლმადიდებელი მღვდელი და არ მისცეს უფლება სასახლეში ჰქონდა მართლმადიდებლური სამლოცველო.

მართლმადიდებელთა დევნა იყო ლიტვა-რუსეთის ომის ერთ-ერთი მიზეზი. 1492 წელს მოსკოვის დიდმა მთავარმა ივანე III-მ ლიტვასთან ომი დაიწყო და მალე რუსთა ჯარმა ლიტვის დიდი სამთავროს აღმოსავლეთ რაიონები (ძირითადად დღევანდელი რუსეთის ფედერაციის დასავლეთი ნაწილი, უკრაინისა და ბელორუსის ნაწილი) დაიკავა. ომი 1494 წელს ლიტვის დამარცხებით დასრულდა. ლიტვის დიდმა მთავარმა აღიარა ივანე III-ის მიერ დაკავებული ტერიტორიის მოსკოვის დიდი სამთავროს შემადგენლობაში გადასვლა. სამაგიეროდ, ივანე III-მ ქალიშვილი ელენე ლიტვის დიდ მთავარს მიათხოვა. ამ ქორწინებას ხელი არ შეუშლია 1500 წელს ლიტვასა და მოსკოვის სამთავროს შორის ომის დაწყებისათვის. 1503 წელს ომი კვლავ ლიტვის დამარცხებით დასრულდა. მოსკოვის სამთავრომ 1494 წლის ზავით მიღებული ტერიტორია შეინარჩუნა. ომი მოსკოვის სამთავროსა და ლიტვას შორის გაგრძელდა პოლონეთ-ლიტვის მომდევნო მეფის სიგიზმუნდ I-ის (1506-1548) დროსაც. 1514 წელს მოსკოვის დიდმა მთავარმა ვასილი III-მ (1505-1533) ქალაქი სმოლენსკი დაიბრუნა. მოსკოვის დიდი მთავრების ივანე III-ის და ვასილ III-ის აქტიური პოლიტიკის (ომების) შედეგი იყო ის, რომ პოლონეთ-ლიტვის მეფის სიგიზმუნდ I-ის დროს მართლმადიდებელთა შევიწროვება ნაკლებად იგრძნობოდა. სამაგიეროდ, სიგიზმუნდ I ფართოდ იყენებდა საეკლესიო თანამდებობების ბოძების უფლებას. ამ საძრახის საქმეში მას გვერდში ედგა დედოფალი ბონა, რომელიც საეკლესიო თანამდებობების ბოძების სანაცვლოდ უხვად იღებდა ქრთამს. ამის გამო უმნიშვნელოვანეს საეკლესიო თანამდებობაზე აღმოჩნდნენ ულირსი ადამიანები, რაც თავისთავად სცემდა მართლმადიდებელი სამღვდელოების ავტორიტეტს. გალიციაში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა პოლონეთს, ეპარქია გაუქმდა. იქაურ ეკლესიებსა და მონასტრებს კიევის მიტროპო-

ლიტის მიერ დანიშნული სასულიერო პირი (ნაცვალი) განავებდა. 1509 წელს პოლონეთ-ლიტვის მეფემ სიგიზმუნდ I-მა გალიციაში ნაცვლის დანიშვნის უფლება მისცა ლვოვის კათოლიკე არქიტექტონის. გალიჩიელები არ დაემორჩილნენ ლვოვის კათოლიკე არქიეპისკოპოსის მიერ დანიშნულ ნაცვალს და თვითონ აირჩიეს მართლმადიდებელი ნაცვალი. თავის მშრივ არც კათოლიკეებმა დათმეს და მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შორის დაიწყო ნაცვლის თანამდებობისათვის ხანგრძლივი დაპირისპირება. 1539 წელს გალიჩის მართლმადიდებლური ეპარქია აღდგა და ეპისკოპოსად დაინიშნა მაკარ ტუჩიაშვილი. ეპისკოპოსმა მაკარ ტუჩიაშვილმ ბევრი გააკეთა გალიჩის ეპარქიაში მართლმადიდებლობის პოზიციების გაძლიერების მიზნით.

1509 წელს და მიტროპოლიტ იოსებ სოლტანის ინიციატივით ქალაქ ვილნოში შეიკრიბა კიევის სამიტროპოლიტოს საეკლესიო კრება. კრების მიზანი იყო ლიტვაში მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უკეთესი პირობების შექმნა, მეფისა და სხვა საერო პირების ეკლესიის საქმეებში ჩარევის შეზღუდვა. საეკლესიო კრებამ დაადგინა: 1) საეკლესიო თანამდებობებზე უნდა დაენიშნათ ღირსეული ადამიანები; 2) საეკლესიო თანამდებობებზე დასანიშნავი პირები უნდა ბერძნული სჯულის კანონის მიხედვით შეერჩიათ ეპარქის მმართველსა (ეპისკოპოსს, არქიეპისკოპოსს) და იმ მართლმადიდებელ პანს, რომლის მამულშიც მდებარეობდა ეკლესია ან მონასტერი; 3) ულირსი ადამიანი საეკლესიო თანამდებობაზე არ უნდა დაენიშნათ, თუნდაც იგი მეფის ნარდეგნილი ყოფილიყო; 4) მღვდელს, რომელიც ეკლესიაში ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსის თანხმობის გარეშე, მხოლოდ ადგილობრივი პანის გადაწყვეტილებით მსახურებდა, ღვთისმსახურების უფლება უნდა ჩამორთმეოდა; 5) ადგილობრივ პანს ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსის თანხმობის გარეშე აეკრძალა მის მამულში არსებული ეკლესიიდან მღვდლის დათხოვნის უფლება; 6) ეკლესიაში, რომელშიც სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ღვთისმსახურება შეწყვეტილი იყო, ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი მღვდელს დანიშნავდა მრევლთან შეთანხმების გარეშე.

ვილნოს საეკლესიო კრების დადგენილებას პრაქტიკული მნიშვნელობა თითქმის არ ჰქონდა.

კუევის სამიტროპოლიტოსა და საერთოდ, ლიტვის მართლ-
მადიდებელი სამღვდელოებისა და მრევლის მდგომარეობა კი
დევ უფრო გაუარესდა პოლონეთ-ლიტვის მეფის სიგიზმუნდ
II-ის (1548-1572) მმართველობის დროს. ამ პერიოდში პოლო-
ნეთში ფართოდ გავრცელდა პროტესტანტიზმი. 1563 წელს
პოლონეთ-ლიტვის სამეფოში კვლავ შეიზღუდა მართლმადიდე-
ბელთა უფლებები. 1569 წელს ქალაქ ლიტვინში ლიტვასა და
პოლონეთს შორის დაიდო უნია. პოლონეთი და ლიტვა ერთ
სახელმწიფოდ – უეჩ პოსპოლიტად – გაერთიანდა. უნიის შემ-
დეგ კათოლიკე პოლონელებს შეეძლოთ ლიტვაში დამკვიდრება,
ასევე ლიტვის მიერ მიტაცებულ რუსეთის მიწებზე დასახლება.
სიგიზმუნდ II-ს მემკვიდრე არ ჰყავდა. ლიტვინის უნიის დადე-
ბიდან სამი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა. პოლონეთ-ლიტვის
სამეფოს (უეჩ პოსპოლიტას) ტახტზე მეფე უკვე მემკვიდრე-
ობით კი აღარ ადიოდა, არამედ სეიმი (პარლამენტი) ირჩევდა.
პოლონეთის ტახტზე შეიძლებოდა უცხოელიც კი ასულიყო.

პოლონეთ-ლიტვის სამეფოში სიგიზმუნდ II-ის მეფობის
პერიოდში (1548-1572) ფართოდ გავრცელდა პროტესტანტიზმი.
ამის საპასუხოდ პოლონეთსა და ლიტვაში მოღვაწეობა დაიწყო
იეზუიტთა ორდენმა. იეზუიტების მიზანი იყო კათოლიციზმის
მთავარი მეტოქის – პროტესტანტიზმის ამოძირვა პოლონეთ-
სა და ლიტვაში.

1570 წელს ლიტვის ცენტრში, ქალაქ ვილნოში, იეზუიტებმა
დააარსეს კოლეგია. კოლეგიის პირად შემადგენლობა შეივსო
იეზუიტთა ორდენის ყველაზე უფრო განათლებული წევრები-
საგან. იეზუიტთა კოლეგიას კათოლიკური ეკლესია განსაკუთ-
რებულ ყურადღებას უთმობდა, მის განკარგულებაში იყო დიდი
რაოდენობითი ფული. ამიტომ იყო, რომ იეზუიტთა კოლეგია
იქცა სანიმუშო სასწავლებლად, როგორც კათოლიკე, ისე მართ-
ლმადიდებელი არისტოკრატიის შვილებისათვის. 1579 წელს
ვილნოს იეზუიტთა კოლეგიას უეჩ პოსპოლიტას მეფემ სტეფა-
ნე ბატორმა უმაღლესი სასწავლებლის – აკადემიის – სტა-
ტუსი მიანიჭა. იეზუიტთა აკადემიაში ასწავლიდნენ: გრამატი-
კას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ლიტერატურულებას და
სხვ. სწავლება მხოლოდ ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. აკა-
დემიაში აღმზრდელობითი მუშაობა დამყარებული იყო იეზუ-
იტიზმის საწყისებზე – მასწავლებლების მიმართ უსიტყვო

მორჩილებაზე. იეზუიტთა აკადემიას უნდა აღეზიარდა იეზუიტთა ორდენისადმი და საბოლოო ჯამში რომის პაპისადმი ფანატიკურად მორჩილი ადამიანები. ვილნოს იეზუიტთა აკადემიის პირველი რექტორი იყო პეტრე სკარგი, უგანათლებულესი და დიდი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული იეზუიტი. პეტრე ამავე დროს იყო ძალზე ეშმაკი ადამიანი. მან სანიმუშოდ მოაწყო სწავლისა და აღზრდის პროცესი აკადემიაში. მის დროს შემოილეს აკადემიაში საჯარო დისპეტჩები. ლიტველ და რუს მართლმადიდებელ არისტოკრატებს დიდი სიამოვნებით შეკუავდათ შვილები ვილნოს იეზუიტთა აკადემიაში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ეს ბავშვები მომავალში კათოლიკეები გახდებოდნენ. ასე დაიწყო კიევის ეპარქიის მრევლის, ძირითად არისტოკრატიის (ლიტველებისა და რუსების) გაეთოლიკება.

ვილნოს იეზუიტთა აკადემიის მოსწავლეთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. 1586 წელს აკადემიაში სწავლობდა 700 ბავშვი, მათი სწავლისა და აღზრდის საქმეს უძლვებოდა 50 იეზუიტი მასწავლებელი.

კიევის სამიტროპოლიტოს ტერიტორიაზე მოღვაწე იეზუიტები მალე მიხვდნენ, რომ მართლმადიდებელთა გაკათოლიკება ძნელი იყო. იეზუიტებმა ხერხი იხმარეს და კათოლიკობის პროპაგანდის ნაცვლად კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის უნიის აუცილებლობის პროპაგანდა დაიწყეს. იეზუიტები ადიდებდნენ მართლმადიდებლობას, რითაც მრევლის კეთილგანწყობილებას იმსახურებდნენ. ამის შემდეგ ისინი საუბარს იწყებდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის უმძიმეს მდგომარეობაზე და მრევლს არწმუნებდნენ რომ მართლმადიდებელთათვის ერთადერთი გამოსავალი რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნია იყო. 1577 წელს გამოიცა ღვთისმეტყველ პეტრე სკარგის წიგნი „ეკლესიის ერთიანის შესახებ“. სკარგი აღნერდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში (მოსკოვის სამიტროპოლიტომ) არსებულ უნესრიგობას და ამ უნესრიგობის მიზეზად ასახელებდა: 1) მართლმადიდებელი მღვდლების ცოლიანობას. ცოლიანობის გამო მღვდელს მისწრაფება პქონდა საერო ცხოვრებისაკენ, რაც მას ამ ქვეყნიურის მონად აქცევდა; 2) სლავური (რუსული) ენის გამოყენებას ღვთისმსახურებისას. სლავური ენა ბიზანტიელებმა გაქრისტიანების შემდეგ თითქოს განგებ დაუტოვეს

რუსებს ლვთისამსახურების ენად. ამ გზით რუსები უმეცრებაში უნდა დარჩენილიყვნენ, რადგან ცოდნის მიღება მხოლოდ ლათინური და ბერძნული ენის წყალობით შეიძლებოდა; 3) ეკლესიის საქმეებში ჩარევით მართლმადიდებელი სამღვდელოების უკიდურეს დამცირებას საერო პირების მიერ.

იეზუიტები ამტკიცებდნენ, რომ უნგესრიგობა მართლმადიდებელ ეკლესიაში მხოლოდ რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნის შემდეგ აღმოიფხვრებოდა.

რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენა კიევის სამიტროლიტოს ტერიტორიაზე (დღევანდველი უკრაინა, ბელორუსია და რუსეთის ფედერაციის დასავლეთი ნაწილი) განსაკუთრებით გაძლიერდა უეჩ პოსპოლიტას მეფეების სტეფანე ბატორისა და სიგიზმუნდ III-ის (ტახტზე ავიდა 1587 წ.) დროს. სიგუზმუნდ III-ს აღზრდისა და განათლების საქმე ბავშვობიდანვე იეზუიტები ხელმძღვანელობდნენ.

კიევის სამიტროპოლიტოში მართლმადიდებლობის დაცვა საკუთარ თავზე აიღეს მოსკოვიდან გადახვეწილმა თავადებმა ანდრია კურბასკიმ და კონსტანტინე ოსტროშვილმა. ანდრია კურბასკიმ მას შემდეგ, რაც მოსკოვიდან ლიტვაში გაიქცა, მთელი ძალლონე მართლმადიდებლობის დაცვას შეალია. მან კავშირი დაამყარა რუსეთის სამეფოდან ჩამოცილებულ მიწებზე მცხოვრებ რუს თავადებთან და აფრთხილებდა მათ როგორც პროტესტატინზმიდან, ისე კათოლიკობიდან მიმდინარე საფრთხის თაობაზე. ანდრია კურბასკი თვლიდა, რომ კათოლიკობის ნინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო იარაღი იყო ლათინურ ენაზე ძველი რუსული საეკლესიო წიგნების თარგმნა. მან უკვე მოხუცებულობის უამს შეისწავლა ლათინური და თვითონ დაიწყო ძველი რუსული საეკლესიო წიგნების თარგმნა ლათინურად. ანდრია კურბასკის თხოვნით, მისი ნათესავი თავადი მიხეილ ობოლენსკი სამი წელი სწავლობდა კრაკოვის აკადემიაში და შემდეგ ანდრია კურბასკის თარგმნაში ეხმარებოდა. ანდრია კურბასკის ასევე ეხმარებოდნენ ვინმე ამბროსი და სოლოვეცკის მონასტრიდან ლიტვაში ჩასული ბერი არტემი. თავადმა კონსტანტინე ოსტროშვილმ დაახლოებით 1580 წელს თავის მამულში (დასავლეთ რუსეთში) გახსნა უმაღლესი სკოლა. სკოლასთან დაარსდა სტამბა, რომელშიც მუშაობდა პირვე-

ლი რუსი მესტამბე ივანე ფიოდოროვი. ანდრია კურბესკის მოღვაწეობის ყველაზე დიდი შედეგი იყო ბიბლიის (ოსტროვსკის ბიბლიის) სტამბურად გამოცემა (1580-1581 წწ.). ეს იყო ბიბლიის პირველი რუსული სტამბური გამოცემა.

იეზუიტებისათვის წინააღმდეგობის განევა ძალზე ძნელი იყო, ისინი უაღრესად დახვეწილი მეთოდებით მოქმედებდნენ. ასე მაგალითად, მართლმადიდებლობისათვის თავდადებულ მებრძოლთა ანდრია კურბესკისა და კონსტანტინე ოსტროვსკის შვილები დიმიტრი და იანუში კათოლიკები გახდნენ.

მართლმადიდებლობის დაცვაში დიდი როლი შეასრულეს მართლმადიდებელთა საამონებმა. სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში მოგზაურობისას ანტიოქიის პატრიარქმა იოაკიმემ 1586 წელს სიგელი უბოძა ლვოვის მართლმადიდებლურ საამოს. ეს ერთ-ერთი უძველესი საამო, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი მართლმადიდებლობის განმტკიცებას.

1588-1589 წლებში რუსეთში იმოგზაურა კონსტანტინე-პოლის პატრიარქმა იერემიამ. 1589 წელს მან პოლონეთ-ლიტვის სამეფოს მიერ მიტაცებულ რუსეთის რაიონები (კიევის სამიტროპოლიტოს ტერიტორია) მოინახულა. პატრიარქ იერემიას მართლმადიდებლური ეკლესიები და მონასტრები უმძიმეს მდგომარეობაში დახვდა. თეთრი და შავი სამღვდელოების ავტორიტეტი უკიდურესად შეღახული იყო. კიევის მიტროპოლიტი ონისიფორი ორჯერ იყო დაქორწინებული. პერემიშლის ეპისკოპოსი მიხეილ კოპისტენსკი, ხოლმის ეპისკოპოსი დიონისი ზბირუსკი და პინსკის ეპისკოპოსი ლეონტი პელჩინსკი ცოლიანები იყვნენ. დიონისი და ლეონტი ეპისკოპოსად დადგენის შემდეგაც ცოლებთან ერთად ცხოვრობდნენ. პანური (თავადური) ნარმოშობის ეპისკოპოსები თავიანთ ციხე-დარბაზში აგრძელებდნენ პანურ ცხოვრებას. მათ მუდამ თან ახლდა შეიარაღებული რაზმი. ამ რაზმებთან ერთად ეპისკოპოსები ძარცვავადნენ მეზობელი პანების მამულებს. ეპარქიების მმართველმა ეპისკოპოსებმა ეპარქიის ტერიტორია საკუთარ ვოტჩინად (მამულად) გადააქციეს. ეპარქიიდან მიღებული შემოსავალი ეკლესიას არ ხმარდებოდა. ლუცკის ეპისკოპოსი კირილე ტერლეცკი მემამულეთა წოდებიდან იყო. მას კარგი განათლება ჰქონდა, მაგრამ ეპისკოპოსისათვის აუცილებელი ლირსება არ გააჩნდა. მეზობელი მემამულები მას ხშირად

უჩიოდნენ მათი მამულების ძარცვისა და ძარცვის დროს, ჩადენილი მკვლელობებისათვის.

მართლმადიდებლობის დაცვის მიზნით კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იერემიამ კიევის სამიტროპოლიტოში დააარსა ახალი საძმო – ვილნოს მართლმადიდებლური საძმო. საძმოსთან გაიხსნა სკოლა და სტამბა.

კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იერემიამ გადააყენა კიევის მიტროპოლიტი ონისიფორი და მის ნაცვლად მიტროპოლიტად დაადგინა მიხეილ როგოზა. ახალი მიტროპოლიტი სუსტი ხასიათის ადამიანი იყო და იმ ურთულეს დროში თავის მოვალეობას ვერ შეასრულებდა. ეს ცხადად იგრძნო პატრიარქმა იერემიამ. პატრიარქმა ასეთი გამოსავალი იპოვა: ლუცკის ეპისკოპოსი კირილე ტერლეცკი დანიშნა თავის წარმომადგენლად (ეგზარქოსად) სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში. კირილე ტერლეცკის დაევალა ეპისკოპოსთა გასამართლებაც. ამით მიტროპოლიტ მიხეილ როგოზას უფლებები შეიზღუდა. პატრიარქ იერემიას მოღვაწეობით კიევის სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსები დიდად უქმაყოფილონი დარჩნენ.

კონსტანტინეპოლის პატრიარქის მოგზაურობის შემდეგ კიევის სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსების დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნიას. ეპისკოპოსებს ორი მიზანი ამოძრავებდათ: 1) კონსტანტინეპოლის პატრიარქის დაქვემდებარებიდან გამოსვლა; 2) კათოლიკე ეპისკოპოსებთან გათანაბრება. 1591 წელს კიევის სამიტროპოლიტოს ოთხმა ეპისკოპოსმა: კირილე ლუცკელმა, გედეონ ლვოველმა, დიონისი ხოლმელმა და ლეონტი პინსკელმა თხოვნით მიმართეს უეჩ პოსპოლიტას მეფეს, რათა რუსული ეკლესია (კიევის სამიტროპოლიტო) რომის პაპისათვის დაქვემდებარებინა. ეპისკოპოსები შემდეგ პირობას აყენებდნენ: უნდა შენარჩუნებულიყო მართლმადიდებლური ლვისმასახურება და ეპისკოპოსების იერარქიული მდგომარეობა. მეფე სიგიზმუნდ III, ცხადია, კმაყოფილი დარჩა და ეპისკოპოსებს დახმარება აღუთქვა. მიუხედავად ამისა, მეფე ამ საკითხის რომის პაპის წინაშე დაყენებას არ ჩეარობდა. ეპისკოპოსებმა მალე სხვა მოკავშირე იპოვეს. ეს იყო 1593 წელს ვოლინის ვლადიმირის ეპისკოპოსად დანიშნული იპატი პოცეი (ერისკაცობაში ადამ პოცეი). იპატი მართლმადიდებელი იყო, მაგრამ

კალვინსტურ სკოლაში აღიზუდა, შემდეგ დაამთავრა კრაკოვის იქზუიტთა აკადემია. იპატი კალვინისტი გახდა, შემდეგ ისევ მართლმადიდებლობას დაუბრუნდა. კირილე ტერლეცკისთან და სხვა ეპისკოპოსებთან ერთად იგი რომის კაიოლიკურ ეკლესიასთან უნიის თავგამოდებული მომხრე იყო. 1594 წელს სიგიზმუნდ III-მ ეპისკოპოსები კირილე ტერლეცკი და იპატი პოცეი უნიის დასადებად რომში გავზივნა. მანამდე კი კირილემ და იპატიმ კიევის მიტროპოლიტი დაითანხმეს და რომის პაპთან ნარსადგენი უნიის ტექსტიც შეიმუშავეს. უნიის შინაარსი ასეთი უნდა ყოფილიყო: 1) უნიატურ ეკლესიაში უცვლელად უნდა შენარჩუნებულიყო მართლმადიდებლური ღოგმები და მართლმადიდებლური ღვთისმსახურება; 2) უნიატური ეკლესიის ეპისკოპოსებს უნდა შეენარჩუნებინათ თავიანთი უფლებები; 3) უნიატური ეკლესია დაცული უნდა ყოფილიყო საეკლესიო საქმეებში არისტოკრატის (პანების) ჩარევისაგან, ასევე მართლმადიდებლურ საძმოთაგან; 4) უნიატური ეკლესია დაცული უნდა ყოფილიყო კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან. მიტროპოლიტმა მიხეილ როგოზამ აღნიშნულ პირობებს ხელი კი მოაწერა, მაგრამ შემდეგ მერყეობა დაეტყო. ამის გამო ეპისკოპოსებმა კირილე ტერლეცკიმ და იპატი პოცეიმ ყველაფერი თავის თავზე აიღეს და მოგვიანებით, რომში მოლაპარაკების დროს კათოლიკურ ეკლესიას დამატებით კიდევ ბევრი რამ დაუთმეს. მიტროპოლიტმა მიხეილ როგოზამ ამ დათმობების შესახებ რომ გაიგო სასონარკვეთილებაში ჩავარდა. მართლმადიდებლურ სამყაროში მისი ავტორიტეტი უკიდურესად შეილახა.

უნიის წინააღმდეგ პირველი გამოვიდა თავადი კონსტანტინე ოსტროჟსკი. მან სასწრაფოდ დაგზივნა წერილები, სადაც მართლმადიდებლებს განუმარტავდა უნიატური ეკლესიის არსა. მთელი დასავლეთ რუსეთი მღელვარებამ მოიცვა. ერთ დროს უნიის თავგამოდებული მომხრე ლვოვის ეპისკოპოსი გედეონი შეშინდა და ყველაფერი კირილე ტერლეცკის გადააპრალა. შეშინდა უნიის მეორე მომხრე – პერემიშლის ეპისკოპოსი მიხეილ კოპისტენსკი. ეპისკოპოსები კირილე ტერლეცკი და იპატი პოცეი აჩქარდნენ და 1595 წლის შემოდგომაზე რომში გაემგზავრნენ. რომში კირილემ და იპატიმ მოლაპარაკების დროს მიიღეს კათოლიკური ღოგმატები

სულინმიდის წარმოშობის, ინდულიგენციების, განსაწმენდელისა და პაპის პრიმატის თაობაზე. უნის მიხედვით, უნიატურ ეკლესიაში მართლმადიდებლური რჩებოდა მხოლოდ ღვთისმსახურების გარეგნული მხარე. პაპი კლიმენტი VIII გახარებული იყო. უნის ხელმონერასთან დაკავშირებით რომში დიდი ზეიმი გაიმართა.

1596 წლის მიწურულს ქალაქ ბრესტში, უნის დადებასთან დაკავშირებით, დიდი საეკლესიო კრება გაიმართა. კრებას, ეპისკოპოსების, თეთრი სამღვდელოებისა და საერო პირების გარდა, დაესწრო პატრიარქის ორი ეგზარქოსი: კონსტანტინეპოლის პატრიარქის ეგზარქოსი ნიკიფორე და ალექსანდრიის პატრიარქის ეგზარქოსი კირილე ლუკარისი.

საეკლესიო კრება თავიდანვე გაიყო ორად – უნის მომხრებად და მართლმადიდებლებად. უნიატური ეკლესის მომხრებმა სხდომები გამართეს ბრესტის ტაძარში, მართლმადიდებლებმა – ჩვეულებრივ შენობაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ ეპისკოპოს იპატი პოცეის განკარგულებით მართლმადიდებლები არ შეუშეს ბრესტის არცერთ ეკლესიაში. ეგზარქოსმა ნიკიფორემ სამგზის მიინვია მართლმადიდებელთა საეკლესიო კრებაზე მიტროპოლიტი მიხეილ როგოზა და ოთხი ეპისკოპოსი. არც ერთი მათგანი კრებაზე არ გამოცხადდა. მაშინ მართლმადიდებელთა საეკლესიო კრებამ ოთხივე იერარქი გადააყენა და უნია უარყო. ბრესტის ტაძარში მიმდინარე უნიატების საეკლესიო კრებამ დაწყევლა მართლმადიდებელთა საეკლესიო კრება და დიდი ზარ-ზეიმით მიიღო უნია. უნია მაშივე დაამტკიცა უეჩ პოსპოლიტას მეფემ. უნიატების საეკლესიო კრებამ მართლმადიდებელი ეპისკოპოსები ეკლესიის მოღალატებად გამოაცხადა, ხოლო პატრიარქთა ეგზარქოსები – ოსმალეთის სულთნის აგენტებად.

უნიატური ეკლესიის დაფუძნების შემდეგ მართლმადიდებელთა დევნა-შევინწოება კიდევ უფრო გაძლიერდა. შემცირდა მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა რიცხვი. 1607 წელს გარდაიცვალა ეპისკოპოსი გედეონ ბოლობანი, 1612 წელს – მიხეილ კოპისტენსკი. მიხეილ კოპისტენსკის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ რუსეთის მრევლი ლვოვის ეპისკოპოსს იერემია ტისსაროვსკის სამწყსოს შეუერთდა. 1620 წელს მალოროსიაში (უკრაინაში) იმოგზაურა იერუსალიმის პატრი-

არქმა თეოფანემ. პატრიარქ თეოფანეს საეკლესიო საქმეთა გადაწყვეტის თაობაზე რწმუნება მისცა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა. პატრიარქმა თეოფანემ კიევის მიტროპოლიტად დაადგინა იღუმენი იობ ბორეცკი. ხელდასხმულნი იქნენ პოლოცკის, ვოლინის ვლადიმირის, ლუცკის, პერემიშლის, ხოლმისა და პინსკის ეპისკოპოსები. უეჩ პოსპოლიტას მეფემ არ სცნო ეპარქიებში ეპისკოპოსების დანიშვნა, რადგან ამ საეპისკოპოსოებში უნიატი ეპისკოპოსები მოღვაწეობდნენ. პატრიარქი თეოფანე თვითმარქვიად გამოაცხადეს და მის მიერ ხელდასხმული ეპისკოპოსების დაპატიმრების ბრძანება გასცეს. პოლონეთის მეფე მხოლოდ კიევში მყოფ მიტროპოლიტ იობ ბორეცკის ვერ შეეხო. დევნილი ეპისკოპოსები ეპარქიებში ვერ ჩავიდნენ და მდინარე დნეპრზე, ზაპოროჟიეს სეჩში, კაზაკებს შეაფარეს თავი.

1607 წელს პოლონეთის ქალაქ სანდომირის მახლობლად შეიკრიბა მართლმადიდებელი საერო არისტოკრატიის ყრილობა. ყრილობამ თხოვნით მიმართა უეჩ პოსპოლიტას მეფეს გაუქმებინა საეკლესიო უნია, ხოლო უნიატი მიტროპოლიტებისა და ეპისკოპოსებისათვის სამწყსო ჩამოერთმია. მეფემ, ცხადია, ყრილობის თხოვნა არ შეიწყნარა, უნიატმა ეპისკოპოსებმა სამწყსოები შეინარჩუნეს. ამავე დროს მეფემ პირობა დასდო დაცვა აღმსარებლობის თავისუფლება. 1607 წელს ვარშავში გამართულმა პოლონეთის სეიმმა კონსტიტუციაში შეიტანა განსაკუთრებული მუხლი – „ბერძნული რელიგიის შესახებ“, რომელიც მართლმადიდებლობას ეხებოდა. მიუხედავად ამისა, უეჩ პოსპოლიტას მეფისა და უნიატების მიერ მართლმადიდებელთა შევიწროვება შემდგომ ხანებშიც გრძელდებოდა, თუმცა მართლმადიდებლური ეკლესიები და მონასტრები, მართლმადიდებლური ღვთისმსახურება კიევის სამიტროპოლიტოში (უკრაინისა და ბელოროსიის ტერიტორია, რუსეთის ფედერაციის დასავლეთი რაიონები) კვლავინდებურად დარჩა. კიევის სამიტროპოლიტოში ვითარება შეიცვალა 1654 წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც უკრაინის ნაწილი რუსეთს შეუერთდა.



სამთავროს და განვითარების უკანონობის შემთხვევაში მოსკოვის დიდი მთავრების მიერ რუსეთის გაერთიანების პროცესის (XIV-XV სს.) პარალელურად იზრდებოდა მოსკოვის მიტროპოლიტის როლიც. მოსკოვის სამიტროპოლიტოს გაძლიერებას მხოლოდ საშინაო ფაქტორი (მოსკოვის სამთავროს გაძლიერება) არ უწყობდა ხელს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო ფაქტორსაც – ბიზანტიის იმპერიის დასუსტებასა და დაცემას (1453 წ.). მოჟყვა კონსტანტინეპოლის პატრიარქის გავლენის შესუსტება. მიტროპოლიტი იონას დროიდან მოსკოვის მიტროპოლიტებს უკვე რუსი ეპისკოპოსების კრება (რუსეთის საეკლესიო კრება) იწევდა. 1448 წელს მიტროპოლიტი იონა (1448-1451) სწორედ რუსეთის საეკლესიო კრებამ აირჩია. 1480 წელს რუსეთის საეკლესიო კრებამ დაადგინა ბერძენი აღარ აერჩიათ არც მიტროპოლიტად და არც ეპისკოპოსად, რადგან საბერძნეთი (ბიზანტია) ოსმალეთის სულთნის უღელქვეშ იმყოფებოდა. მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III (1462-1505) პოლიტიკა გაგრძელდა მისი შვილის, დიდი მთავრის ვასილ III-ს (1505-1533) დროს.

მიტროპოლიტი იონას მემკვიდრე თეოდოსი 1451 წელს მიტროპოლიტი გახდა კონსტანტინეპოლის პატრიარქთან შეთანხმების გარეშე. 1454 წელს მიტროპოლიტი ფილარეტ I ასევე კონსტანტინეპოლის პატრიარქთან შეთანხმების გარეშე აირჩია რუსეთის საეკლესიო კრებამ. კონსტანტინეპოლის პატრიარქთან შეთანხმების გარეშე აირჩიეს მიტროპოლიტებად, გერმოგენი (1472 წელს), ზოსიმი (1490 წელს) და სიმონი (1495 წელს).

მოსკოვის დიდი მთავრის ვასილი III-ის დროს მიტროპოლიტის ასარჩევად უკვე საეკლესიო კრებასაც აღარ ინვევდნენ.

თავი მეოთხე

რუსეთის ეპლესი XVI საუკუნეები

მიტროპოლის უშუალოდ ვასილ III ნიშნავდა. მიტროპოლიტ სიმონის მემკვიდრე ვარლამი 1511 წელს მიტროპოლიტიად სწორედ ვასილ III-მ დანიშნა. მოგვიანებით, ვასილ III-მ ვარლამი მიტროპოლიტობიდან გადააყენა და მონასტერში გაგზავნა, ხოლო 1522 წელს მიტროპოლიტად იღუმენი დანიელი დანიშნა.

ვასილ III-ის მიერ რუსეთის საეკლესიო კრების გარეშე მიტროპოლიტების დანიშნვნა და გადააყენება საეკლესიო ხელისუფლების სისუსტის დამადასტურებელი იყო. მიტროპოლიტის ხელისუფლება იმდენად სუსტი იყო, რომ მიტროპოლიტი დანიელი წინ ვერ აღუდგა დიდი მთავრის სურვილს და ვასილ III-ს სრულიად უკანონოდ პირველ ცოლთან განქორწინების უფლება მისცა, ხოლო დედოფალი მონაზვნად აღკვეცა და სუზდალის ამაღლების მონასტერში გაგზავნა. ვასილ III-მ მეორედ იქორნინა. ამჯერად დედოფალი გახდა ელენე გლინასკაია. ამ ქორწინების შემდეგ დაიბადა რუსეთის მომავალი მეფე ივანე IV მრისხანე.

ივანე ვასილის ძე 1533 წელს დიდი მთავრის ტახტზე მცირენლოვანი ავიდა. 1547 წელს დიდი მთავარი ივანე ვასილის ძე მიძინების ტაძარში მეფედ ეკურთხა. 1557 წელს ივანე IV-მ ბერძენ მღვდელმთავართა საეკლესიო კრებისაგან მეფედ კურთხევის დადასტურება მიიღო.

ივანე IV სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას ესწრაფვოდა. ეკლესიის როლი სახელმწიფოში მეფეს თავისებურად ჰქონდა გააზრებული. 1551 წელს ივანე IV-მ მოიწვია რუსეთის საეკლესიო კრება, რომლის დადგენილება ასი მუხლის სახის იქნა ჩამოყალიბებული. ივანე IV საეკლესიო კრებაზე საუბრობდა ეკლესიის დიდ მნიშვნელობაზე სახელმწიფოსათვის. ყველას ეგონა, რომ დადგა საეკლესიო ხელისუფლების გაძლიერების დრო.

მეფის სულიერი მოძღვარი მიტროპოლიტ მაკარისთან ერთად გახდა ნოვგოროდელი მღვდელი სიღვესტრი. მიუხედავად იმისა, რომ ივანე IV აღიარებდა ეკლესიის დიდ მნიშვნელობას სახელმწიფოს ცხოვრებაში, მიტროპოლიტს ფრთხილი და წინდახედული მოქმედება მართებდა. მეფის ხასიათიდან გამომდინარე შეიძლებოდა ყველაფერი კარდინალურად შეცვლილიყო. ეს ნათლად დადასტურდა მეფისა და მის სულიერი მოძღვრის ურთიერთობიდან. ივანე IV-მ ვერ აიტანა სიღვესტ-

რის ჭკუისდამრიგებლური ტონი. მეფეს მოეჩვენა, რომ როგორც ბავშვს ისე ექცეოდნენ. სილვესტრი მალე პოლიც ტიკაშიც ჩაერია. სილვესტრმა მის გარშემო შემოკრებილთა ჩაგონებით მეფეს ურჩია, რომ ლივონიის ორდენის ნაცვლად ომი ყირიმის სახანოს წინააღმდეგ დაეწყო. მეფემ ეს რჩევა არ მიიღო. 1553 წელს ივანე IV მძიმედ გახდა ავად. დადგა ტახტის მემკვიდრის საკითხი. სილვესტრმა, ისევ მის გარშემო შემოკრებილთა გავლენით, ივანე IV-ის ვაჟის გამეფებას კი არ დაუჭირა მხარი, არამედ ტახტზე მთავარ ვლადიმირ ანდრიას ძის ასვლა მიიჩნია სწორად. ეს უკვე მეფემ აღარ მოითმინა და თავის მოძღვარი სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე ბოიარებს მიაკუთვნა. 1565 წლიდან ივანე IV-მ წვრილ აზნაურებზე დაყრდნობით ბოიარებს შეურიგებელი ომი გამოუცხადა – ოპრიჩინია დაარსა. მეფის მოთხოვნით რუსეთი გაიყო ორად – ოპრიჩინიად და ზემშჩინად. ოპრიჩინიაში მეფემ განუსაზღვრელი ძალაუფლება მიიღო. ოპრიჩინიაში დაიწყო ბოიარების დევნაშევიწროვება. წვრილი აზნაურები (ოპრიჩინიკები) ხოცავდნენ ბოიარებს, მათი ოჯახის წევრებს. ცოცხლად გადარჩენილი ბოიარები სტოვებდნენ თავიანთ მამულებს და ქვეყნის მეორე ნაწილში – ზემშჩინაში გარბოდნენ. კარგი დღე მათ არც იქ ელოდათ. ამასთან ერთად ივანე IV-მ ეჭვის თვალით შეხედა სამღვდელოებასაც. ეკლესიის მხრიდან სახელმწიფო საქმეებში ჩარევის ნებისმიერი მცდელობა მეფეს ძალზე აღიზიანებდა, მოკრძალებით გამოთქმულ რჩევასაც კი მისი ძალაუფლების ხელყოფად მიიჩნევდა. 1565 წელს მეფემ პირდაპირ დასდო ბრალი სამღვდელოებას. ივანე IV-მ განაცხადა: როგორც კი მეფე ბოიარების დასჯას მოინდომებს, სამღვდელოება მაშინვე ბოიარებს მფარველობსო.

მიტროპოლიტმა მაკარიმ ოპრიჩინიის დაარსებამდე ვერ იცოცხლა, იგი 1563 წელს გარდაიცვალა. 1564 წელს მიტროპოლიტად არჩეული იქნა მეფის მოძღვარი ათანასე. ერთი წლის შემდეგ მან ავადმყოფობის გამო მიტროპოლიტის ტახტი დასტოვა. ივანე IV-მ გადაწყვიტა მიტროპოლიტად ყაზანის არქიეპისკოპოსი გერმანი აერჩიათ. გერმანმა ივანე IV-ს ასეთი პირობა ნაუყენა: იგი მიტროპოლიტობას იმ შემთხვევაში დასთანხმდებოდა, თუ მეფე ოპრიჩინიას გააუქმებდა. განრისხებულმა ივანე IV-მ გერმანი მიტროპოლიტის სასახლიდან გააძევა და

1566 მიტროპოლიტად სოლოვეცკის მონასტრის იღუმენი ფილიპე აარჩევინა. იღუმენი ფილიპე ბოიართა ერთ-ერთი ძირმველი საგვარეულოს ეკუთვნოდა. იგი ძლივს დაითანხმეს მიეღო შეიფის შეთავაზება და მიტროპოლიტის ტახტი დაეკავებინა. ამავე დროს ფილიპე გააფრთხილეს, რომ მეფესთან ოპრიჩნინის გაუქმების შესახებ სიტყვა არ დაეძრა. გავიდა სულ რამდენიმე თვე და ბოიარების უსასტიკესი დევნისა და ხოცვა-ულეტის შემყურე მიტროპოლიტმა ხმა აღიმაღლა. მეფე თავდაპირველად საჯაროდ არ დაპირისპირებია მიტროპოლიტს, მხოლოდ თავის უკმაყოფილებას აგრძნობინებდა. 1568 წელს ივანე IV-მ გადაწყვიტა ბოლო მოელო მიტროპოლიტის ოპოზიციისათვის. 1568 წელს, ჯვრის თაყვანისცემის კვირაძალში, ივანე IV მიძინების ტაძარში მივიდა და მიტროპოლიტს ლოცვა-კურთხევა სთხოვა. ათანასემ მეფე არ დალოცა და მას ასეთი სიტყვებით მიმართა: „ვერ შევიცანი მეფე ასეთ საქმეთა შემოქმედი. გეშინოდეს ღვთის სამსჯავროსი! ჩევნ აქ ღმერთს უსისხლო მსხვერპლს ვნირავთ, საკურთხევლის მიღმა კი უდანაშაულოთა სისხლი იღვრება!“ ივანე IV-ის მუქარას მიტროპოლიტმა ასე უპასუხა: „მე ამ ქვეყნად მოსული მნირი ვარ და მზად ვარ ვენამო სიმართლისათვის. ჩემი რწმენა მავალებს ხმა აღვიმაღლო!“ მეფისა და მიტროპოლიტის მეორე შეჯახება ნოვოდევიჩის მონასტერში მოხდა. ბიბლიის კითხვისას მიტროპოლიტმა ათანასემ შენიშვნა, რომ ერთ-ერთ ოპრიჩნიკს ქუდი არ მოეხადა. ათანასემ ოპრიჩნიკის საქციელის გამო მეფეს შესჩივლა. ივანე IV-მ გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა ურჩი მიტროპოლიტი. საეკლესიო კრებამ შეთითხნილი დასმენების საფუძველზე ათანასე მიტროპოლიტობიდან გადააყენა. 1568 წლის 8 ნოემბერს ოპრიჩნიკი შეცვიდნენ ტაძარში, საღმრთო ლიტურგიის დროს ათანასეს მიტროპოლიტის შესამოსელი შემოახიერა და ტაძრიდან გააძევეს.

მეფის ბრძანებით, ათანესე ტვერის ერთ-ერთ მოანასტერში გამოკეტეს. ერთი წლის შემდეგ ტვერისაკენ გზად მიმავალმა ივანე IV-მ მონასტერში მისი ფავორიტი ოპრიჩნიკი მალიუტა სკურატოვი შეგზავნა და ათანასესაგან ლოცვა-კურთხევა ითხოვა. უშიშარმა ღვთისმსახურმა მეფეს ლოცვა-კურთხევაზე უარი უთხრა. განრისხებულმა ოპრიჩნიკმა ათანასე თავისი ხელით დაახრჩო.


შემდეგი მიტროპოლიტები – კირილე და ანტონი – მეფეს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

ივანე IV მრისხანეს გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი თევდორე (1584-1598). თევდორე ორმადმორ-ნმუნე მართლმადიდებელი, თუმცა მეფისათვის აუცილებელი სხვა თვისებები მას არ გააჩნდა. რუსეთს ბოიარი ბორის გო-დუნოვი განავებდა. ბორის გოდუნოვის თვითნებობის წინააღ-მდეგ ხმა აღიმაღლა მიტროპოლიტმა დიონისიმ. ბორის გოდუ-ნოვმა და მისმა მომხრე ბოიარებმა მიტროპოლიტის გადაყენება შესძლეს. 1587 წელს მიტროპოლიტი გახდა როსტოვის არქიე-პისკოპოსი იობი. იობი იყო მოსკოვის უკანასკნელი მიტრო-პოლიტი და პირველი პატრიარქი.

XVI საუკუნის მიწურულისათვის (ავტოკეფალის მოპოვე-ბამდე) მოსკოვის სამიტროპოლიტოში ეპარქიათა რიცხვი ათამ-დე გაიზარდა. 1555 წელს დაარსდა ყაზანის ეპარქია. ჯერ კიდევ XVI საუკუნის დამდეგს პერმას ეპოქის კათედრა ვოლოგდაში გადაიტანეს და ეპარქიასაც ვოლოგდის ეპარქია ეწოდა. დიდმა მთავარმა ვასილი III-მ (1505-1533) მოსკოვის სამთავროს სმო-ლენსკი შეუერთა. სმოლენსკის ეპარქია მოსკოვის სამიტ-როპოლიტოს შემადგენელი ნაწილი გახდა. მას შემდეგ, რაც ივანე IV მრისხანემ (1533-1584) პოლოცკი შეიერთა პოლოცკის ეპარქია მოსკოვის მიტროპოლიტს დაექვემდებარა. ლივონიის ომის (1558-1583 წ.) დროს ივანე IV მრისხანემ გერმანელ რაინდებს ქალაქი იურიევი წაართვა. ამის შემდეგ მალე შეიქმნა იურიევის ეპარქია. უერთის პოლოცკის მეფემ სტეფანე ბატორმა (XVI საუკუნის მეორე ნახევარი) ქალაქები იურიევი და პოლოცკი დაიკავა. პოლიცკის ეპარქია კიევის სამიტროპოლიტოს დაექვემდებარა, ხოლო იურიევის ეპარქია გაუქმდა.

კიევის სამიტროპოლიტოსაგან მოსკოვის სამიტროპოლიტოს გამოყოფის დროისათვის მოსკოვის სამიტროპოლიტოში შემდე-ვი ეპარქიები შედიოდა: მოსკოვის, კოსტრომის, ნიჟნი ნოვ-გოროდის, ორიოლის, ვლადიმირის, არხანგელსკის, ნოვ-გოროდისა და ტამბოვის. ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ, 1454 წლიდან, სარანსკის ეპისკოპოსი მოსკოვში გადასახლდა და მოსკოვის მიტროპოლიტის ქორეპისკოპოსი გახდა.

რუსეთის ეკლესიის ეპარქიათა რაოდენობა შეიცვალა მოს-კოვის საპატრიარქოს დაარსების შემდეგ.



თავი ესჯოთ

ავტოკავალის მოამვება რუსეთის ეპლესის მიერ და
მოსკოვის საკატრიანებოს დაარსება (1586-1593 წ.)

რუსეთის ეკლესია დაარსების დღიდან (X საუკუნიდან) კონსტანტინეპოლის პატრიარქის იურისდიქციაში იმყოფებოდა. რუსეთის ეკლესის სათავეში იდგა მიტროპოლიტი, რომლის რეზიდენცია X საუკუნიდან პერეიასლავლში, XI საუკუნიდან – კიევში, XIII საუკუნიდან – ვლადიმირში, ხოლო XIV საუკუნიდან – მოსკოვში იყო.

რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს (მოსკოვის რუსეთის) წარმოქმნის პროცესში (XV-XVI სს.) მოსკოვისა და სრულიად რუსეთის დიდი მთავრები და მეფები ივანე III (1462-1505), ვასილ III (1505-1533), ივანე IV (1533-1584) და თევდორე (1584-1598) პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე რუსეთისათვის მიუღებლად მიიჩნევდნენ რუსეთის ეკლესიის კონსტანტინეპოლის პატრიარქის იურისდიქციაში ყოფნას. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) რუსეთმა მალე „მესამე რომის“ მისია იკისრა და ამდენად, რუსეთის ეკლესიის კონსტანტინეპოლის პატრიარქის იურისდიქციაში დარჩენა უკვე პოლიტიკური თვალსაზრისით უხერხულიც კი იყო. მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკლესიას ავტოკეფალიის მოპოვება ძალზე გაუძნელდა. ეს იყო საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა მეფე თევდორეს (1584-1598) დროს.

კონსტანტინეპოლის პატრიარქს, ცხადია, არ სურდა რუსეთის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ბოძება, მაგრამ 1453 წლიდან კონსტანტინეპოლის პატრიარქის გავლენა რუსეთის ეკლესიაზე სულ უფრო სუსტდებოდა. ამას ხელს უწყობდა

ოსმალეთის მიერ კონსტანტინეპოლის აღება და ბიზანტიის იმპერიის დაცემა (1453 წ.), მოსკვის გარშემო რუსეთის მიწების გაერთიანება და რუსეთის ძლიერი სახელმწიფოს (მოსკვის რუსეთის) ჩამოყალიბება (XIV-XVI სს.). მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკლესიამ ვერ შესძლო ავტოკეფალის მოპოვება. ნომინალურად მოსკვის მიტროპოლიტი კონსტანტინეპოლის პატრიარქის იურისდიქციაში რჩებოდა.

1586 წელს შენირულებათა შესაგროვებლად მოსკვში ჩავიდა ანტიოქიის პატრიარქი იოაკიმე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთში ჩავიდა მართლმადიდებელი პატრიარქი. მოსკვში ანტიოქიის პატრიარქის ჩასვლა კარგად გამოიყენა მეფე თევდორემ. მეფემ შეკრიბა ბოიარები და სამღვდელოება. საერო და საეკლესიო ელიტის საბჭოზე დაისვა საკითხი: ხომ არ შეიძლებოდა ანტიოქიის პატრიარქის ვიზიტის მოსკვის საპატრიარქოს დაარსების მიზნით გამოყენება? მეფის წინადადება მოწონებული იქნა. მოსკვის საპატრიარქოვის დაარსების იდეას მხარი დაუჭირა ანტიოქიის პატრიარქმა იოაკიმემ. ამასთან ერთად პატრიარქმა დასძინა, რომ მოსკვის საპატრიარქოს დაარსება უნდა ეცნო აღმოსავლეთის ყველა მართლმადიდებელ პატრიარქს და პირველ რიგში კონსტანტინეპოლის პატრიარქს. პატრიარქი იოაკიმე რუსეთის მეფესა და სამღვდელოებას აღმოსავლეთის მართლმადიდებელ საპატრიარქოებთან შუამდგომლობასაც დაპირდა.

1588 წელს მოსკვში ჩავიდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია. რუსეთის მეფემ თევდორემ, ქვეყნის ფაქტობრივმა გამგებელმა ბოიარმა ბორის გოდუნოვმა და სამღვდელოებამ ეს ვიზიტიც კარგად გამოიყენა. მოსკვის საპატრიარქოს დაარსების თხოვნასთან ერთად კონსტანტინეპოლის პატრიარქს იერემიას სთხოვეს თავად ყოფილიყო მოსკვის პირველი პატრიარქი. ეს იყო გარკვეული დიპლომატიური მანევრი. სინამდვილეში არც მეფე თევდორეს და არც ბორის გოდუნოვს მოსკვის პატრიარქად ბერძენი არ სურდათ ეხილათ. ისინი დიდი ნდობით ეკიდებოდნენ და მხარს უჭერდნენ მოსკვის მიტროპოლიტს იობს, რომელიც რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალის მოპოვებისათვის იბრძოდა. ამიტომ იყო, რომ მოსკვის პატრიარქის ტახტის შეთავაზებასთან ერთად კონსტანტინეპოლის პატრიარქს იერემიას მიანიშნეს, რომ თანხ-

მობის შემთხვევაში მისი რეზიდენცია იქნებოდა არა მოსკოვში, არამედ ვლადიმირში. პატრიარქმა იერემიამ ამ შეთავაზებას ასე უპასუხა: ეს რაღა საპატრიარქო იქნება თუ პატრიარქი ხელმწიფესთან ერთად არ იცხოვრებსო? ეს იმას ნიშნავდა, რომ პატრიარქი იერემია ვლადიმირში ცხოვრებაზე უარს ამბობდა. ამის შემდეგ კონსტანტინეპოლის პატრიარქს სთხოვეს მოსკოვის პატრიარქად მიტროპოლიტ იობის ხელდასხმა. მიტროპოლიტ იობის მოსკოვის პატრიარქად ხელდასხმა შედგა 1589 წლის 26 იანვარს. მოსკოვიდან გამგზავრების ნინკონისტანტინეპოლის პატრიარქმა იერემიამ ხელი მოაწერა სიგელს მის მიერ მოსკოვის საპატრიარქოს დაარსების თაობაზე. ამასთან ერთად პატრიარქი დაპირდა, რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაარსების საკითხს დაადასტურებდა აღმოსავლეთის მართლმადიდებელი საპატრიარქოების იერარქების საეკლესიო კრება. ეს საეკლესიო კრება გაიმართა კონსტანტინეპოლში 1590 წელს, მაგრამ მოსკოვის საპატრიარქოს დაარსების საკითხის გადაწყვეტა შეფერხდა. საეკლესიო კრებას არ ესწრებოდა აღექსანდრიის პატრიარქი მელეტი პილასი, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს დაარსების ნინააღმდეგი იყო. შემდეგი საეკლესიო კრება კონსტანტინეპოლში 1593 წელს გაიმართა. კრებას ამჯერად ესწრებოდა ალექსანდრიის პატრიარქი მელეტი. კრებამ მხარი დაუჭირა მოსკოვის საპატრიარქოს დაარსებას და მას მართლმადიდებელ საპატრიარქოთა შორის მიაკუთვნა მესუთე ადგილი (იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ). ამიერიდან მოსკოვის პატრიარქს აირჩივდა რუსეთის ეპისკოპოსთა კრება (საეკლესიო კრება). რუსეთის ავტოკეფალური ეკლესიის პირველი პატრიარქი იყო იობი.

* * *

რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებამ (მოსკოვის საპატრიარქოს დაარსებამ) აუცილებელი გახადა ეპარქიების გამრავლება. ნოვგოროდის, ყაზანის, როსტოვის და კრიუტიცკის საეპისკოპოსოებში დაარსდა სამიტროპოლიტო კათედრები და აღნიშნული ეპარქიების მღვდელმთავრები ამიერიდან იწოდებოდნენ მიტროპოლიტებად. სუზდალის, რიაზანის, ტვერის, ვოლოგდისა და სმოლენსკის საეპისკოპოსოებში

დაარსდა საარქიეპისკოპოსო კათედრები და აღნიშნული ეპარქიების მღვდელმთავრები ამიერიდან იწოდებოდნენ არქიეპისკოპოსოებად. ნიუნი ნოვგოროდში დაარსდა მურეკვესე საარქიეპისკოპოსო კათედრა და ამ ეპარქის მაღვდელმთავარი იწოდებოდა არქიეპისკოპოსად.

საეპისკოპოსოების რიცხვი შემდეგში კიდევ უფრო გაიზარდა. 1602 წელს დაარსდა ასტრახანის ეპარქია, 1620 წელს - ციმბირის (ტობოლკის) ეპარქია. XVII საუკუნის დამდეგს ადგილი ჰქონდა ეპარქიების რიცხვის შემცირებასაც. შვედების მიერ ბალტიისპირეთისა და ჩრდილოეთ რუსეთის დაპყრობის შემდეგ დაიხურა კორელის ეპარქია. პოლონელების მიერ დასავლეთ რუსეთის დაპყრობის შემდეგ სმოლენსკის საარქიეპისკოპოსო რუსეთის საზღვრების გარეთ აღმოჩნდა. ალექსი მიხეილის ძის მეფობის პერიოდში (1645-1676) რუსეთის ეკლესიას დაუპრუნდა სმოლენსკის ეპარქია. 1657 წელს გაიხსნა ვიატკის ეპარქია, მაგრამ დაიხურა კოლომნის ეპარქია. 1667 წელს რუსეთის საეკლესიო კრებამ დაადგინა: მოქმედი 13 ეპარქიის გარდა კიდევ გაეხსნათ 10 ახალი ეპარქია, ხოლო სამიტროპოლიტოების რიცხვი რვამდე გაეზარდათ. სინამდვილეში ახალი ეპარქიები ვერ გაიხსნა, აღსდგა მხოლოდ კოლომნის ეპარქია. ასტრახანის, რიაზანისა და ციმბირის (ტობოლკის) საარქიეპისკოპოსო კათედრები გარდაიქმნა სამიტროპოლიტო კათედრებად, ხოლო ბელგოროდში დაარსდა სამიტროპოლიტო კათედრა. ფსკოვის საეპისკოპოსო გარდაიქმნა საარქიეპისკოპოსოდ. 1672 წელს ნიუნი ნოვგოროდში დაარსდა სამიტროპოლიტო კათედრა.

ახალი ეპარქიების დაარსების ნინააღმდეგი იყო პატრიარქი და საეკლესიო ოერარქები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები), რადგან ეს პროცესი ხელს უწყობდა დიდი ეპარქიების ტერიტორიის დანაწევრებას. 1682 წელს საეკლესიო კრებაზე მეფე თევდორე ალექსისი ძემ (1676-1682) ეპარქიების რიცხვის გაზრდა მოითხოვა. მეფის მიერ ნარდგენილი პროექტის მიხედვით რუსეთში უნდა ყოფილიყო 12 სამიტროპოლიტო და 72 საეპისკოპოსო. 72 საეპისკოპოსო უნდა განაწილებულიყო სამიტროპოლიტო ოკრუგებში და ეპისკოპოსები უნდა დამორჩილებოდნენ მიტროპოლიტებს. საეკლესიო კრებამ 72 საეპისკოპოსოს ნაცვლად 34 საეპისკოპოსოს შექმნა მიიჩნია

მიზანშეწონილად. 1683 წელს საეპისკოპოსოების რიცხვი კი დევ შეამცირეს და მხოლოდ 22 საეპისკოპოსოს გახსნა გააღანეს ყვიტეს. შემდეგი შემცირების შედეგად რუსეთში მხოლოდ 14 ახალი საეპისკოპოსოს გახსნა მიიჩნიეს მიზანშეწონილად. შემცირების მიზეზად საეპისკოპოსო კათედრების შესანახი თანხების უკმარისობა დასახელდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში არც 14 ახალი საეპისკოპოსო შეუქმნიათ. გაიხსნა მხოლოდ 4 საეპისკოპოსო: უსტიუკეის, ხოლმოგორის, ვორონეჟისა და ტამბოვის. პატრიარქობის გაუქმების დროისათვის (1700 წ.) რუსეთში მოქმედებდა: 13 სამიტროპოლიტო, 7 საარქიეპისკოპოსო და 2 საეპისკოპოსო.

კონსტანტინეპოლის პატრიარქი და აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელი პატრიარქები როცა რუსეთის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ბოძებამ დასთანხმდნენ სხვა მოსაზრებებთან ერთად ერთი მოსაზრებითაც ხელმძღვანელობდნენ: რუსეთის ავტოკეფალური ეკლესია პატრიარქით სათავეში უფრო ენერგიულ ნინააღმდეგობას გაუწევდა კათოლიციზმისა და უნიატიზმის გავრცელებას აღმოსავლეთში. ეს მისია რუსეთის ეკლესიამ შეასრულა კიდეც.

თავი მეექვსე

**რუსეთის ეკლესია რიურიკების დინასტიის
დასასრულიდან რომანვების გამაფებამდე
(1598-1613)**

1598 წლის 7 იანვარს გარდაიცვალა რუსეთის მეფე თევ-
დორე ივანეს ძე. მეფე თევდორეს გარდაცვალებით შეწყდა
რიურიკების დინასტია – ივანე IV მრისხანის შთამომავლობაში
ტახტის მემკვიდრე აღარ იყო. მეფე თევდორეს მიერ გარდაც-
ვალების ნინ შედგენილი ანდერძის მიხედვით სამეფო ტახტზე
უნდა ასულიყო დედოფალი ირინე (რუსეთის ფაქტობრივი
გამგებლის ბოიარ ბორის გოდუნოვის და). იმავე ანდერძის
მიხედვით მეფის სათათბიროს (დუმის) შემადგენლობა ასე
განისაზღვრა: პატრიარქი იობი, ბოიარი ბორის გოდუნოვი და
ბოიარი თევდორე ზახარინ-იურინი. დედოფალმა ირინემ არ
ისურვა რუსეთის სახელმწიფოს მართვა და მონაზვნად აღიკ-
ვეცა ალექსანდრას სახელით. ამიტომ იყო, რომ ხალხი დაა-
ფიცეს არა დედოფალ ირინეს ერთგულებაზე, არამედ მეფის
სათათბიროს ერთგულებაზე. დედოფალ ირინეს უარი და მონაზ-
ვნად აღიკვეცა გაპირობებული იყო მისი ძმის – ბოიარ ბორის
გოდუნოვის მისწრაფებით გამხდარიყო რუსეთის მეფე. ამ დრო-
ისათვის რუსეთს ბორის გოდუნოვი მართავდა და მის გამე-
ფებას ხელს არაფერი უშლიდა. მიუხედავად ამისა, ბორის გო-
დუნოვმა ტახტზე უარი განაცხადა. ამის მიზეზი იყო შემდეგი:
ბორის გოდუნოვს ბრალს სდებდნენ ივანე IV მრისხანის ვაჟის
(მეფე თევდორეს უმცროსი ძმის) დიმიტრის მკვლელობაში. მე-
ფე თევდორე უმემკვიდროდ გადადიოდა და უფლისწულ დი-
მიტრის მკვლელობით ბორის გოდუნოვი ტახტისაკენ იკავავდა
გზას. საბოლოოდ, როგორც ეს ჩაფიქრებული ჰქონდა, ბორის
გოდუნოვი დასთანხმდა. 1598 წელს სასწრაფოდ შეიკრიბა

რუსეთის საერობო კრება. კრებას მხოლოდ მოსკოვის დელფინიური გატები (470 კაცი) დაესწრო. საერობო კრებამ რუსეთის მეფების ბორის გოდუნოვი აირჩია.

ბორის გოდუნოვის მეფობა (1598-1605) უმძიმეს პერიოდს დაემთხვა. 1603 წელს პოლონეთში გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ იყო იყო მეფე ივანე IV მრისხანის ვაჟი დიმიტრი. გავრცელდა ხმები, რომ უფლისნულ დიმიტრის ნაცვლად ბორის გოდუნოვის მიერ მიგზავნილმა მკვლელებმა შეცდომით სხვა ვინმე მოკლეს, უფლისნული კი გადარჩა. ადამიანი, რომელიც თავს უფლისნულ დიმიტრი ივანეს ძეს უნიდებდა რუსეთის ისტორიაში ცრუ დიმიტრის სახელით შევიდა (ისტორიკოსების ნაწილი დღესაც ამტკიცებს, რომ ის, ვისაც ცრუ დიმიტრის უნიდებენ სინამდვილეში თვითმარქვია კი არ იყო, არამედ ივანე IV მრისხანის ნამდვილი შვილი, უფლისნული დიმიტრი).

ცრუ დიმიტრის გამოჩენამ მორალურად გატეხა მეფე ბორის გოდუნოვი. მეფე სასახლეში ჩაიკეტა, ბრძოლის უნარი დაჰკარგა. ცრუ დიმიტრის გამოჩენისთანავე მოხუცი პატრიარქი იობი მეფე ბორის გოდუნოვის გვერდით დადგა. პატრიარქმა წერილი მისწერა ჟეჩ პოსპოლიტას მეფეს. წერილში აღნიშნული იყო, რომ ის, ვინც თავს უფლისნულ დიმიტრის უნიდებს სინამდვილეში ყოფილი ბერი და დიაკონი გრიგოლ ოტრეპიევი იყო. პატრიარქმა მეორე წერილი გაუგზავნა პოლონეთს მეფის სარდალს თავად კონსტანტინე ოსტროვსკის. თავადი პირადად იცნობდა გრიგოლ ოტრეპიევს. ამიტომ იყო, რომ პატრიარქი იობი კონსტანტინე ოსტროვსკის თხოვდა ჟეჩ პოსპოლიტას მეფის ნინაშე ემხილებინა თვითმარქვია.

ჟეჩ პოსპოლიტას მეფემ, ცხადია, შანსი ხელიდან არ გაუშვა და ცრუ დიმიტრის მეშვეობით თავისი მიზნების რეალიზებას შეუდგა. ცრუ დიმიტრიმ ჟეჩ პოსპოლიტასა და კაზაკების ჯარით რუსეთის დასავლეთი რაიონებიდან სწრაფად წაინია მოსკოვისაკენ. ბორის გოლდუნოვის ჯარები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. გზაში ცრუ დიმიტრის ბევრი ადამიანი შეუერთდა. ამ კრიტიკულ ვითარებაში 1605 წლის 13 აპრილს მოულოდნელად გარდაიცვალა მეფე ბორის გოდუნოვი. მეფის სიკვდილის შემდეგ ხალხი ბორის გოდუნოვის ქვრივის მართა-სა და შვილების – თევდორესა და ქსენიას ერთგულებაზე

დააფიცეს. მიუხედავად ამისა, 1605 წლის 1 ივნისს ბორიტებმა ქალაქ ტულაში მდგარ ცრუ დიმიტრის მოსკოვიდან მორჩილების დამადასტურებელი სიგელი გაუგზავნეს. ცრუ დიმიტრიმ მოსკოველებს მისი მტრების დახოცვა მოსთხოვა. მოსკოველებმა მოკლეს ბორის გოლდუნოვის ქვრივი მართა და ვაჟი თევ-დორე. ხოლო ქალიშვილი ქსენია ცრუ დიმიტრის გადასცეს. ცრუ დიმიტრიმ ქსენია მონასტერში გაგზავნა.

მოსკოველები პატრიარქ იობის მოკვლის მიზნით მიძინების ტაძარში შეიჭრნენ. იობი მედგრად დახვდა ბრძოს. პატრიარქი ლვისმშობლის ხატის წინ იდგა და ლოცულობდა. იობი ტაძრიდან ცემით გამოიყვანეს. პატრიარქის სასახლე გაძარცვეს. საბოლოოდ პატრიარქ იობის სიცოცხლე შეუნარჩუნეს და მისივე თხოვნით, მონასტერში გაგზავნეს არქიმანდრიტ დიონისის მეთვალყურეობის ქვეშ. პატრიარქი იობი მონასტერშივე გარდაიცვალა 1607 წლის 19 ივნისს.

ცრუ დიმიტრის ბრძანებით რუსეთის ახალი პატრიარქი გახდა რიაზანის არქიეპისკოპოსი, ეროვნებით ბერძენი იგნატი. 1605 წლის 30 ივნისს პატრიარქმა იგნატიმ მთელს რუსეთში დაგზავნა სიგელები და მოსახლეობას ტახტზე მეფე დიმიტრი ივანეს ძის ასვლა აუწყა.

ცრუ დიმიტრი ტახტზე უეჩ პოსპოლიტას მეფის წყალობით ავიდა. ამიტომაც იყო, რომ მეფობის პირველი დღეებიდანვე იგი პოლონელთა გავლენის ქვეშ მოექცა და მათი ნების აღსრულება დაიწყო. ამასთან ერთად, ცრუ დიმიტრიმ გადასახლების ადგილებიდან დააბრუნა მეფე ბორის გოლძუნოვის მიერ დასჯილები: ბოიარი თევდორე რომანოვი (მომავალი პატრიარქი ფილარეტი), ბოიარი თევდორე იურინი, ბოიარი ნიკიტა იურინი. ცრუ დიმიტრიმ გადააყენა როსტოვის მიტროპოლიტი კირილე და მის ნაცვლად მიტროპოლიტად დანიშნა ფილარეტ რომანოვი.

1605 წლის 21 ივნისს მოსკოვის მიძინების ტაძარში შედგა ცრუ დიმიტრის მეფედ კურთხევა. ტაძარი სავსე იყო პოლონელებით. იეზუიტი ნიკოლოზ ჩერნიკოვსკი პოლონურ ენაზე მიესალმა მეფეს. მოსკოვის ბლაგოვეშჩენსკის ტაძრის დეკანზმა თევდორე ტერენტიევმა სიტყვა რუსულად კი წარმოთქვა, მაგრამ აშეარად ცრუ დიმიტრისა და პოლონელთა სიამოვნებას ცდილობდა.

რომის პაპი პავლე V ცდილობდა ცრუ დიმიტრის კათოლიკური ეკლესიის სასარგებლოდ გამოყენებას. რომის პაპის მიზანი რუსეთში უნიატური ეკლესიის შექმნა იყო. ცრუ დიმიტრის კარზე მომრავლდნენ იეზუიტები, თუმცა დიმიტრის მართლმადიდებელი მოძღვარიც ჰყავდა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ტახტის მპყრობელ თვითმარქვიას არც მართლმადიდებლურ და არც კათოლიკური ეკლესიის დაცვა არ აინტერესებდა. იგი გულგრილი იყო უნიატური ეკლესიისადმი. ამიტომ იყო, რომ მეფობის თერთმეტი თვის განმავლობაში ცრუ დიმიტრის მართლმადიდებლები არ შეუვინწროებია.

რომის პაპი დიდ იმედებს ამყარებდა ცრუ დიმიტრისა და პოლონელი თავადის (პანის) ქალის, კათოლიკე მარინა მნიშვერის ქორნინებაზე. ჯვრისნერა 1606 წლის 8 მაისს შედგა. გადაწყდა 8 მაისს ერთად ჩაეტარებინათ: 1) მარინა მნიშვერის მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევა, 2) ჯვრისნერა, 3) კორონაცია. მარინა მნიშვერი ემთხვია მართლმადიდებლურ ჯვარს, რომელიც ხელში დეკანოზ თევდორე ტერენტიევს ეპყრა. ნიშნობაზე სიტყვა ნარმოთქვა ბოიარმა ვასილ შუისკიმ. ტაძარში შესული მარინა მნიშვერი ემთხვია ხატებს და სხვა სიწმინდეებს. ამის შემდეგ პატრიარქმა იგნატიმ კორონაციის ცერემონიალი ჩაატარა. მარინა მნიშვერს დაადგეს დედოფლის გვირგვინი. ჯვრისნერის დღეს მიძინების ტაძარში იმყოფებოდა მარინა მნიშვერის კათოლიკე მოძღვარი, იეზუიტი სავიცე. კათოლიკე მოძღვარმა, იეზუიტმა ნიკოლოზ ჩერნიკოვსკიმ მეფესა და დედოფლალს ლათინურად მიმართა.

მიძინების ტაძარში ცრუ დიმიტრის მეფედ კურთხევასა და ჯვრისნერაზე კათოლიკე ღვთისმსახურთა და პოლონელთა დასწრებამ, პოლონურად და ლათინურად სიტყვების ნარმოთქმამ რუსი სამღვდელოებისა და მართლმადიდებელი მრევლის აღფუოთება გამოიწვია.

1606 წლის 17 მაისს ბოიარ ვასილ შუისკის მეთაურობით მოსკოვში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა ცრუ დიმიტრი მოკლეს. 18 მაისს ვადააყენეს და ჩუდის მონასტერში გამოკეტეს პატრიარქი იგნატი. იმავე მონასტერში ჩაკეტეს მის მიერ ხელდასხმული ყველა ეპისკოპოსი. პატრიარქი იგნატი ჩუდის მონასტერში დარჩა 1612 წლამდე. შემდეგ იგი ცოტა ხნით კვლავ რუსეთის პატრიარქი გახდა.

1606 წელს რუსეთის მეფე ბოიარი ვასილ შუისკი გახდა. 1606 წლის 26 მაისს ნოვოროდის მიტროპოლიტმა ისიდორემ მიძინების ტაძარში ვასილ შეისკის სამეფო გვირგვიში დაადგა. 1606 წლის ივნისის მინურულს რუსეთის საეკლესიო კრებამ პატრიარქად აირჩია ცრუ დიმიტრისაგან დევნილი ყაზანის არქიეპისკოპოსი გერმოგენი.

ვასილ შუისკის მეფობა მძიმე ვითარებაში დაიწყო. რუსეთში ძალას იკრებდა გლეხთა ამბოხება ივანე ბოლოფნიკოს წინამძღოლობით. მოსკოვსა და მთელს რუსეთში გავრცელდა ხმა, რომ მოსკოვში აჯანყების დროს ცრუ დიმიტრი არ მოუკლავთ, იგი გაიქცა და ტახტის დასაბრუნებლად ემზადებაო. პატრიარქმა გერმოგენმა მთელს რუსეთში დაგზავნა სიგელები. პატრიარქი ცრუ დიმიტრის დალუპვის ფაქტს ადასტურებდა და ხალხს მეფე ვასილ შუისკის ერთგულებისაკენ მოუწოდებდა. ვასილ შუისკის მდგომარეობა მაინც მძიმე რჩებოდა. ხმები იმის შესახებ, რომ ცრუ დიმიტრი ცოცხალია სულ უფრო მეტ ადამიანს სჯეროდა. გადაწყვდა ხალხის დასამშვიდებლად პატრიარქობიდან გადაყენებული იობი გამოეყენებინათ. პატრიარქმა გერმოგენმა ყოფილი პატრიარქი ჩუდის მონასტრიდან მიძინების ტაძარში მოაყვანინა. 1607 წლის 20 თებერვალს გერმოგენმა და იობმა დაადასტურეს, რომ უფლისწული დიმიტრი ჯერ კიდევ მეფე თევზორეს სიცოცხლეში დაიღუპა. ამასთან ერთად, იობმა ხალხს მეფე ვასილ შუისკის ერთგულებისაკენ მოუწოდა.

1607 წლის 1 აგვისტოს ქალაქ სტაროდუბში ახალი თვითმარქვია - ცრუ დიმიტრი II გამოჩნდა და მოსკოვისაკენ დაიძრა. 1608 წლის 1 ივლისს ცრუ დიმიტრი მოსკოვიდან 12 ვერსზე სოფელ ტუშინოში შეჩერდა. ტუშინოდან თვითმარქვიამ სიგელები დააგზავნა მთელს რუსეთში.

რუსმა სამღვდელოებამ მხარი არ დაუჭირა ახალ თვითმარქვიას. ფსკოვის ეპისკოპოსი გენადი, ისე გარდაიცვალა არ სცნო თვითმარქვია; თვითმარქვიასაგან დეკნილი გარდაიცვალა სუზდალის ეპისკოპოსი გალაკტიონი. კოლომენსკოეს ეპისკოპოსი იოსები ცრუ დიმიტრიმ შეაპყრობინა. ეპისკოპოსი ანამეს, მაგრამ მან ცრუ დიმიტრი მეფედ არ აღიარა. ნანამები ეპისკოპოსი საპყრობილიდან ვასილ შუისკის ჯარმა გაათავისუფლა. ტვერის არქიეპისკოპოსი ფეოდატისტი შეიძყრეს და ტუშინოში ჩაიყვანეს. აქ იგი ანამეს და მოკლეს. 1608 წლის 11

ოქტომბერს ცრუ დიმიტრის ჯარი სუბდალის როსტოვს მიადგა. მოსახლეობა ქალაქიდან გაიხიზნა. მიტროპოლიტი ფილათ-რეტი (ერისკაცობაში თევდორე ნიკიტას ძე რომანოვ-ზახარინიურინი) მრევლთან ერთად ტაძარში ჩაიკეტა. ჯარი ტაძარში შეიჭრა, მიტროპოლიტი ფილარეტი დაატყვევეს და ტუშინოში წაიყვანეს.

მიტროპოლიტი ფილარეტი თავისი ნატურით ნამდვილი ერისკაცი, სახელმწიფო მოღვაწის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო. ტუშინოში იგი აიძულეს „წოდებული პატრიარქის“ ტიტული მიეღო. ამ დროს საეკლესიო კრების მიერ რუსეთის პატრიარქად არჩეული კანონიერი გერმოგენი ცოცხალი იყო.

სოფელი ტუშინო, სადაც ცრუ დიმიტრის ბანაკი იყო, სერგი სამების მონასტრის მამულის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ცრუ დიმიტრის მომხრე პოლონელთა რაზმა სერგი სამების მონასტრის დაკავება გადაწყვიტა. მონასტრის ალყა 1608 წლის 23 სექტემბერს დაიწყო და 1610 წლის 10 იანვრამდე გაგრძელდა. პოლონელებს 15 ათასი მებრძოლი ჰყავდათ, მონასტერს კი 2400 კაცი იცავდა. 1609 წლის 31 ივნისს პოლონელებმა სერგი სამების მონასტერზე დიდი შეტევა განახორციელეს. ამ დროისათვის მონასტერს მხოლოდ 200 მებრძოლილა იცავდა. პოლონელებმა მონასტერის ტერიტორიაზე შეღწევა მაინც ვერ შესძლეს.

მეფე ვასილ შუისკი აშკარად ვერ უმკლავდებოდა ვერც შინააშლილობას და ვერც პოლონელთა მიერ ზურგგამაგრებულ ცრუ დიმიტრის. 1609 წლის 17 ნოემბერს მოსკოვში ვასილ შუისკის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. მიძინების ტაძართან შეკრებილი ამბოხებულების დამშვიდება პატრიარქმა გერმოგენმა შესძლო. ვასილ შუისკის მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა ივანე ბოლოგნიკოვის ამბოხების ჩაბმობის შემდეგ, მაგრამ მალე ისევ კატასტროფული გახდა – რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყეს უერთ პოსპოლიტიმ და შვეციამ. 1609 წლის სექტემბერში უერთ პოსპოლიტი მეფემ სიგიზმუნდმა სმოლნის შემოარტყა ალყა. მეფე ვასილ შუისკის ჯარები ვერც პოლონელებს და ვერც შვედებს წინააღმდეგობას ვერ უწევდა.

უერთ პრისპოლეტის მეფეს ცრუ დიმიტრი უკვე აღარ სჭირდებოდა. პოლონელებმა ტუშინის ბანაკი გადაწვეს, ხოლო „წოდებული პატრიარქი“ ფილარეტი ვოლოკოლამსკში წაიყვანეს.

პოლონელთა ნინააღმდეგ მებრძოლმა რუსთა ჯარმა შემთხვევით ფილარეტის განთავისუფლება შესძლო და იგი მოსკოვში ჩაიყვანეს.

1610 წლის ივნისში აჯანყებულმა მოსკოველებმა მეფე ვასილ შუისკი ტახტიდან ჩამოაგდეს. ამ დროისათვის პოლონელთა არმიის ერთი ნაწილი მეფე სიგიზმუნდის სარდლობით სმოლენსკის აღებას ცდილობდა, მეორე ნაწილი კი მოსკოვის ახლოს ქალაქ მოჟაისკთან იდგა. 1610 წლის 31 ივლისს პოლონელებმა მოსკოვში ულტიმატუმი გაგზავნეს. მოსკოვში ვასილ შუისკის ჩამოგდების შემდეგ ძალაუფლება შვიდი ბოიარის ხელში იყო. პოლონელებმა მოითხოვეს იმ პირობების შესრულება, რომელიც ჯერ კიდევ 1609 წელს სმოლენსკთან მდგარ ჟეჩ პოსპოლიტის მეფესა და ტუშინოში მყოფ ცრუ დიმიტრის შორის მოლაპარაკების დროს იქნა შემუშავებული. ამ პირობების შემუშავებაში იმხანად ტუშინოში მყოფი „წოდებული პატრიარქი“ ფილარეტიც მონაწილეობდა. მოლაპარაკების თანახმად, რუსეთის ტახტზე ჟეჩ პოსპოლიტას მეფის ვაჟი ვლადისლავი უნდა ასულიყო. პოლონელთა პირობა შვიდივე ბოიარმა მიიღო, ნინააღმდეგი იყო მხოლოდ პატრიარქი გერმოგენი. პატრიარქმა ნამოაყენა ნინადადება მეფედ აერჩიათ რუსი – მიტროპოლიტ ფილარეტის ვაჟი, ოთხმეტი წლის მიხეილ რომანოვი. მიხეილ რომანოვს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იგი ივანე IV მრისხანის ცოლის, დედოფალ ანასტასიას ნათესავი იყო. მიხეილ რომანოვის კანდიდატურა ბოიარებისათვისაც მისაღები იყო, მაგრამ პოლონელებისაგან მოსკოვის დაცვისათვის აუცილებელი ჯარი ბოიარებს არ ჰყავდათ. სმოლენსკს-ტუშინოს შეთანხმების შესრულება გარდაუვალი გახდა. მოსკოვის პირობა ასეთი იყო: რუსეთში მართლმადიდებლობა შეურყევლად უნდა ყოფილიყო დაცული. მეფობის კანდიდატმა ვლადისლავმა ეს პირობა მიიღო. 1610 წლის 27 აგვისტოს მოსკოვის ახლოს, ქალწულის მინდორზე მოსკოველებმა ვლადისლავს ერთგულება შეპირცეს (ამ დროს ვლადისლავი სმოლენსკთან იმყოფებოდა, რომელსაც რუსები მედგრად იცავდნენ). 18 აგვისტოს მოსკოვში, მიძინების ტაძარში, პატრიარქ გერმოგენის თანდასწრებით ბოიარებმა და სამღვდელოებამ მეფე ვლადისლავის ერთგულებაზე დაიფიცეს. ვლადის-

ლავის ერთგულებაზე დაიფიცეს ტუშინოდან გაქცეული ცორუ დიმიტრის მომხრეებმაც.

მაღლე სმოლენსკთან მყოფ უეჩ პოსპოლიტას მეფე სიგიზმუნდი და რუსეთის მეფედ არჩეული ვლადისლავთან ელჩობა გაემგზავრა. ელჩობა სათავეში ედგა მიტროპოლიტი (ყოფილი „ნოდებული პატრიარქი“) ფილარეტი. ელჩობას უეჩ პოსპოლიტას მეფესთან ასეთი პირობებით მიემგზავრებოდა: 1) უეჩ პოსპოლიტას მეფის სიგიზმუნდის ვაჟი ვლადისლავი სმოლენსკშივე მართლმადიდებლური წესით უნდა მოენათლა მიტროპოლიტ ფილარეტსა და სმოლენსკის ეპისკოპოსს ხერგის. ვლადისლავი მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შესულიყო მოსკოვში; 2) არც ვლადისლავს და არც მის მთავრობას ონმენის საკითხებზე ურთიერთობა არ უნდა ჰქონოდათ რომის პაპთან; 3) კათოლიკედ მოქცეული რუსი მართლმადიდებლები სიკვდილით დაისჯებოდნენ; 4) ვლადისლავი უნდა დაქორწინებულიყო მართლმადიდებლური წესით.

1610 წლის ოქტომბერში სმოლენსკთან მეფე სიგიზმუნდის ბანაკში ჩასულ რუსეთის ელჩობას სიგიზმუნდმა სმოლენსკის ჩაბარება და მოსკოვთან მდგარი პოლონელთა ჯარის ქალაქში უპირობოდ შეშვება მოსთხოვა. დაიწყო მძიმე და ხანგრძლივი მოლაპარაკებები. პოლონეთის მეფესთან გაგზავნილი ელჩობა დათმობას არ პირებდა, არც სმოლენსკის ვოევოდა (სარდალი) აპირებდა ქალაქის ჩაბარებას. სამაგიეროდ, შეშინდნენ მოსკოვში მყოფი ბოიარები და პოლონელთა ჯარი ქალაქში შეუშვეს. რუსების ხელში დარჩა მხოლოდ მოსკოვის ცენტრი – კრემლი. პოლონელებმა დაიწყეს მოსკოველების განიარაღება. შეშინებულმა ბოიარებმა შეადგინეს სმოლენსკთან, უეჩ პოსპოლიტას მეფის ბანაკში, მყოფ ელჩობისათვის გასაგზავნი წერილი. წერილში აღნიშნული იყო, რომ ელჩობა დამორჩილებოდა უეჩ პოსპოლიტას მეფის სიგიზმუნდის ნებას. ბოიარებმა ელჩობისათვის გასაგზავნი წერილი 1610 წლის 6 დეკემბერს ხელმოსაწერად მიუტანეს პატრიარქ გერმოგენს. პატრიარქი აღშფოთდა და წერილს ხელი არ მოაწერა. 1610 წელს წერილი პატრიარქის ნების ნინააღმდეგ, მისი ხელმოწერის გარეშე გაიგზავნა. ელჩობის მეთაურმა მიტროპოლიტმა ფილარეტმა მოსკოვიდან მიღებული წერილი უკანონოდ სცნო, რადგან მას ხელს არ აწერდა პატრიარქი გერმოგენი. მიტროპოლიტ ფილა-

რეტისა და ელჩობის წევრი სხვა სასულიერო პირების გამბედაობამ ელჩობაში შემავალ საერო პირებზეც იქონია გაფლუნა: მოსკოვიდან უეჩ პოსპოლიტას მეფესთან გაგზავნიდა ელჩობაში შედიოდა ბერად აღკვეცილი ბოიარი ვასილ შუისკი. ერთ-ერთ წყაროში ასეთი ამბავია მოთხოვნილი. ელჩობის წევრები გააფრთხილეს, რომ აუდიენციის დროს მეფე სიგიზმუნდს ხელზე უნდა მთხვეოდნენ. რუსებს აშკარად აგრძნობინეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საფრთხე ემუქრებოდათ. ვასილ შუისკი არ შეშინდა და განაცხადა: მე მართლმადიდებელი ვარ და კათოლიკეს, თუნდაც მეფეს, ხელზე არ ვემთხვევიო. ბოლოს ელჩობის წევრებმა ვასილ შუისკი დაიყოლიეს. ვასილ შუისკი მეფე სიგიზმუნდს მიუახლოვდა, დაიჩოქა, სამჯერ ემთხვია მინას, ფეხზე წამოდგა და ამის შემდეგ ემთხვია ხელზე მეფეს. სიგიზმუნდი აღმფოთდა, მაგრამ წყენა არ შეიმჩნია.

1610 წლის 11 დეკემბერს მოკლეს ცრუ დიმიტრი II. მალე რუსეთის ქალაქებში პოლონელთა წინააღმდეგ დიდი სახალხო მოძრაობა დაიწყო. ალყაშემორტყმული სმოლენსკიც კი ჩაება ამ მოძრაობაში.

მოსკოვში მოკალათებულ პოლონელებს მათი ყველაზე დიდი მონინააღმდეგე პატრიარქი გერმოგენი შინა პატიმრობაში ჰყავდათ – პატრიარქის სასახლიდან არ უშვებდნენ.

1611 წლის 17 მარტს, ბზობის კვირის, პატრიარქი გერმოგენი ტრადიციულ ღვთისმსახურებისათვის (ქალაქში საზეიმო მსვლელობისათვის) ემზადებოდა. პატრიარქის მსვლელობის დროს ქუჩის ორივე მხარეს პოლონელი ჯარისკაცები იდგნენ. მათი ჩვეულებრივი შეიარაღების (თოფების, დაშნების) გარდა არტილერიაც ჰქონდათ. შეშინებული მრევლი ქალაქის ქუჩებში ვერ გამოვიდა, რადგან ხმა გავრცელდა პატრიარქს მოკლავენო.

1611 წლის 19 მარტს, ვნების კვირის სამშაბათ დღეს, მოსკოვში პოლონელთა წინააღმდეგ ამბოხება დაიწყო. პოლონელებმა მოსკოვი გადანვეს, თავად კი ხანძარს გადარჩენილი მოსკოვის ორ უბანში – კიტაი გოროდსა და კრემლში გამაგრდნენ. პატიმრობაში მყოფი პატრიარქი გერმოგენი პოლონელებმა ჯერ კირილე-ბელოზეროს მონასტერში გამოკეტეს, ხოლო შემდეგ ჩუდის მონასტერში გადაიყვანეს. რუსთა 100 ათასიანი ლაშქარი მოსკოვს მიადგა და ქალაქს ალყაშემოარტყა. შეშინებული ბოიარები პატრიარქს სთხოვდნენ: თუ

შიმშილით სიკვდილი არ გინდა ლაშქრის მოთავეებს სთხოვე მოსკოვს ალყა მოხსნანო. პატრიარქმა უპასუხა: „ნუ მაშინ ნებთ, მე მხოლოდ ღმერთის შიში მაქვს. თუ პოლონელები ლები დატოვებენ მოსკოვს მე კურთხევას მივცემ ლაშქარს მოსკოვიდან უკან დაიხიოს. თუ პოლონელები მოსკოვიდან არ წავლენ, მე ყველას კურთხევას მივცემ იბრძოლონ მართლმადიდებლური რწმენისათვის“.

რუსთა ლაშქრის მოთავეებს შორის უთანხმოება მოხდა. მოკლეს ერთ-ერთი მოთავე პროკოფი ლიაპუნოვი. კაზაკების ჯარის სარდალმა ატამანმა ზარუცკიმ მეფედ ცრუ დიმიტრისა და მარინა მნიშვერის (ცრუ დიმიტრი II ტუშინოში მარინა მნიშვერზე დაქორწინდა) მცირენლოვანი ვაჟი გამოაცხადა. ლაშქარში მომხდარი უთანხმოების შესახებ რომ გაიგო პატრიარქმა გერმოგენმა საიდუმლოდ წერილი გაუგზავნა ლაშქრის მოთავეებს. პატრიარქი ახალი ლაშქრის შეკრებისაკენ მოუწოდებდა ყველას, მათ შორის, ეპარქიების მმართველ ეპისკოპოსებსაც.

1612 წელს პატიმრობისაგან დასუსტებული მოხუცი პატრიარქი გერმოგენი ჩუდის მონასტერში გარდაიცვალა. იგი მოსკოვიდან პოლონელთა განდევნას ვერ მოესწრო. მოგვიანებით, პატრიარქ გერმოგენის ნეშტი ჩუდის მონასტრიდან მოსკოვში, მიძინების ტაძარში, გადაასვენეს. პატრიარქი რუსეთის ეკლესიის წმინდანად შეირაცხა.

პოლონელებმა გარდაცვლილი გერმოგენის ნაცვლად პატრიარქად მოიწვიეს ერთ დროს პატრიარქობიდან გადაყენებული და იმსანად ჩუდის მონასტერში მყოფი იგნატი. იგნატიმ მინვევა მიიღო, თუმცა კარგად გრძნობდა, რომ იგი უკანონოდ ავიდა პატრიარქის ტახტზე. მალე პატრიარქი იგნატი ლიტვაში გაიქცა და, როგორც ჩანს, კათოლიკურ ეკლესიასთან ადრე მიღწეული საიდუმლო შეთანხმებისამებრ კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა შორის დადებული უნია აღიარა. იგნატი ცხოვრობდა ვილნოს სამების მონასტერში, რომელიც უნიატებმა ჩაიგდეს ხელში. მას პოლონელები პოლიტიკური მოსაზრებით კარგად ეპყრობოდნენ. იგნატი 1640 წელს ვილნოს სამების მონასტერშივე გარდაიცვალა.

1612 წლის ნოემბრისათვის რუსთა ლაშქარმა უკვე ახალი მოთავეების თავად დიმიტრი პოჟარსკისა და ვაჭარ კოზმა მინინის ნინამძღოლობით პოლონელები მოსკოვიდან განდევ-

ნეს. რუსეთის საერობო კრებამ 1613 წლის 21 თებერვალს მეფედ მიტროპოლიტ ფილარეტის ვაჟი მიხეილ რომანოვი აირჩია. 11 ივლისს მოსკოვში, მიძინების ტაძარში, შედგა მიხეილ რომანოვის მეფედ კურთხევა. მიხეილ რომანოვს მეფის გვირგვინი ყაზანის მიტროპოლიტმა ეფრემმა დაადგა, რომელიც გერმოგენის სიკვდილის შემდეგ პატრიარქის მოვალეობას ასრულებდა.

ამ დროისათვის პირველი რომანვი მეფის მიხეილის მამა მიტროპოლიტი ფილარეტი მოსკოვიდან გაგზავნილ ელჩობის წევრებთან ერთად პოლონელებს ჰყავდათ ტყვედ. მიტროპოლიტი ფილარეტი ტყვეობიდან დაბრუნდა და რუსეთის ეკლესიის საჭეთმცყრობელი გახდა. მისი ოფიციალური ტიტული ასეთი იყო: „დიდი ხელმწიფე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი“.

ଟୀବ୍ ମେଡିଆ

საეპლოსიო განხილვის დრო 18 თებერვალი (XVII ს.)

XVII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ეკლესიაში მოხდა განხეთქილება, რომელიც ორი გამოჩენილი მოღვაწის მეფე აღექსი მიხეილის ძისა (1645-1676) და პატრიარქ ნიკონის (1652-1666) სახელს უკავშირდება. საეკლესიო განხეთქილებამ ღრმა კვალი დატოვა როგორც რუსეთის სულიერისე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1645 წელს რუსეთის ტახტზე ავიდა მეორე რომანოვი მეფე ალექსი მიხეილის ძე. ალექსი იყო ღრმადმორნმუნე მართლმადიდებელი, ჰქონდა ძალზე რბილი ხასიათი და ადვილად ექცეოდა თავისი გარემოცვის გავლენის ქვეშ. ახალგაზრდა ალექსის რბილ ხასიათს ანეიტრალებმა ბაბუამისი, რუსეთის პატრიარქი ფილარეტი. ფილარეტის გარდაცვალების შემდეგ ალექსის ცხოვრებაში ისეთივე როლი ვერ შეასრულა პატრიარქმა იოსებმა და ახალგაზრდა მეფე მალე მთლიანად გარე-მოცვის გავლენის ქვეშ მოექცა.

მეფე ალექსი მიხეილის ძის მეფობის დასაწყისშივე რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მომენტი დადგა – საერებო კრებას უნდა მიეღო ახალი ძეგლისდება (კანონთა კრებული). ძეგლისდება გარდა სახელმწიფო (საერო) ცხოვრებისა ეხებოდა ეკლესიასაც. მიუხედავად ამისა, პატრიიარქი იოსები საერებო კრების სხდომებზე მშვიდად გამოიყურებოდა და ეკლესიის უფლებათა დაცვისათვის თითქმის არაფერს აკეთებდა. საერობო კრება ბოიარ ოდოვცესკების და სხვა ძირძველი ბოიარების გავლენის ქვეშ მოექცა. პატრიარქ იოსების შემრიგებლურმა პოზიციამ დაბნეულობა შეიტანა საერობო კრების წევრ სასულიერო პირებში (იერარქებში). 1649

წელს საერობო კრების მიერ მიღებული ძეგლისდება უპირობოდ კრძალავდა საეკლესიო მამულების გაზრდას. უფრო მეტიც საეკლესიო მამულების ნაწილი სახელმწიფო ხაზინას გადასცეა ახალი ძეგლისდების შემდგენლებს აშკარად ამოძრავებდათ სურვილი: შეეზღუდათ ეკლესიის პრივილეგიები, ხელეყოთ ეკლესიის შეუვალობა, დაეკნინებინათ საეკლესიო სასამართლოს როლი და ეკლესია სახელმწიფო (საერო) სასამართლოსათვის დაექვემდებარებინათ. ეკლესიაში სასამართლოს ფუნქცია დაეკისრა საგანგებოდ შექმნილ ოროგანოს – სამონასტრო პრიკაზს. სამონასტრო პრიკაზი სახელმწიფო (საერო) ორგანო იყო, მაგრამ მას შეეძლო განეხილა საერო პირის ნებისმიერი საჩივარი საეკლესიო იერარქის მიმართ, ანუ შეეძლო გაესამართლებინა მიტროპოლიტი, არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსი. სამონასტრო პრიკაზი იხილავდა საჩივრებს თვით საეკლესიო იერარქებსა და საერთოდ, ლვთისმსახურთა შორის. ეკლესია უკმაყოფილო დარჩა სამონასტრო პრიკაზის შექმნით.

საბოლოო ჯამში სამონასტრო პრიკაზმა ნაშალა მკვეთრი ზღვარი სახელმწიფო (საერო) და საეკლესიო (სასულიერო) სფეროს შორის, რამაც ბიძგი მისცა ათასგვარ გაუგებრობას, რომელთა დაძლევასაც წლები სჭირდებოდა.

სამონასტრო პრიკაზით მთელი სამღვდელოება იყო უკმაყოფილო, მაგრამ ყველაზე მეტად აქტიურობდა მეფე ალექსის რჩეული, ნოვგოროდის მიტროპოლიტი ნიკონი.

ნიკონი (ერისკაცობაში ნიკიტა მილოვი) დაიბადა 1605 წელს ნიუნი ნოვგოროდის მახლობლად სოფელ ველდემანოვოში მორდველი გლეხის ოჯახში. 12 წლისა იყო მომავალი პატრიარქი, როცა შინიდან გაიცა და მონასტერს მიაშურა. მშობლებმა (მამამ და დედინაცვალმა) იგი მონასტრიდან ძალით გამოიყვანეს და დააქორწინეს. ოცი წლის ასაკში ნიკიტა ერთ-ერთი მეზობელი სოფლის მღვდელი გახდა. მალე იგი მოსკოველი ვაჭრების დახმარებით დედაქალაქში ჩავიდა. ქორწინებიდან ათი წლის შემდეგ ნიკიტას მოსკოვდა ყველა შვილი. ამ ტრაგედიიდან ცოტა ხნის შემდეგ მან მეუღლე აიძულა მოსკოვის ერთ-ერთ მონასტერში მონაზვნად აღკვეცილიყო, ხოლო თვითონ ჩრდილოეთში (თეთრი ზღვისაკენ) გაემგზავრა და ანზერსკის მონასტერში ბერად აღიკვეცა ნიკონის სახელით.

ანზერსკის მონასტერში ნიკონი ბერებს ვერ შეეწყო და მალე კოუეეზერსკის მონასტერში გადავიდა, სადაც 1643 წელს იღუ-მენად გამოარჩიეს. 1646 წელს მონასტრის საქმეთა გამო იღუ-მენი ნიკონი მოსკოვში იმყოფებოდა. წარმოსადევი გარეგნობისა და დიდი ორატორული ნიჭის მქონე იღუმენი მეფე ალექსის მოეწონა. მალე ღრმადმორნმუნე და სუსტი ხასიათის მეფე ნიკონის გავლენის ქვეშ მოექცა. ნიკონი ძლიერი პიროვნება იყო და მან ახალგაზრდა მეფეს მისცა ის, რაც ვერ მისცა სუსტი ხასიათის პატრიარქმა იოსებმა. მეფე ალექსიმ იღუმენი ნიკონი მოსკოვის მაცხოვრის მონასტრის არქიმანდრიტად გამოარჩევინა. კვირაში ერთხელ არქიმანდრიტი ნიკონი მეფეს-თან მიდიოდა სასაუბროდ. საღვთისმეტყველო საკითხებზე საუბრის გარდა, ნიკონი მეფეს მოახსენებდა უბედურებაში ჩავარდნილი, უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანებისა და ობ-ლების შესახებ და შემწეობას სთხოვდა. 1649 წელს არქიმან-დრიტი ნიკონი ნოვგოროდის მიტროპოლიტი გახდა.

მოსკოვში ნიკონის მოღვაწეობის დასაწყისს დაემთხვა რუ-სეთის ეკლესიაში დაწყებული მოძრაობა. XVII საუკუნის 40-იან წლებში მოსკოვში ჩამოყალიბდა სასულიერო პირთა ჯგუფი, რო-მელთაც ძველი საეკლესიო წესების თავგამოდებულ ქო-მაგებს უწოდებდნენ. ამ ჯგუფში შედიოდნენ: მეფის მოძღვარი სტეფანე ბონიფატიევი, მოსკოვის ყაზანის ტაძრის წინამდღვარი იოანე, კოსტრომელი დეკანზი დანიელი, მეფის მესაწოლე ბერი თევდორე რტიშევი, მომავალი პატრიარქი ნიკონი და დეკანოზი აბაკუმი. ძველი საეკლესიო წესების დამცველი სა-მი საკითხის გადაჭრას მოითხოვდნენ: პირველი. წირვისა და ლოცვის თვითნებურად შეკვეცის (შემოკლების) აკრძალვას; მეორე. საეკლესიო გალობაში მრავალხმიანობის დამკვიდრებას; მესამე. ღვთისმსახურების დადგენილი წესის აუცილებელი დაცვას. გარდა ამისა, ძველი საეკლესიო წესების დამცველები გამოდიოდნენ სამღვდელოებაში ფეხმოვიდებული ლოთობის, გარყვნილების, მექრთამეობის, ეკლესიაში საერო ცხოვრების ნორმების დამკვიდრების წინააღმდეგ. ამ მოთხოვნებს მხარს უჭერდა მეფე ალექსი მიხეილის ძეც.

მიტროპოლიტი ნიკონი მეფე ალექსის დაუინებით ურჩევდა სამონასტრო პრივაზის გაუქმებას. ნიკონმა სამონასტრო პრი-კაზის გაუქმებას ვერ მიაღწია. სამაგიეროდ, მეფემ მას უბოძა

შეუვალობის სიგელი, რომლის ძალითაც ნოვგოროდის სამიტ-როპოლიტოს ტერიტორიაზე სამონასტრო პრიკაზის უფლებამოსილება პრაქტიკულად შეწყდა. ეპარქიის საქმეებს ერთპიროვნულად განაგებდა მიტროპოლიტი ნიკონი.

1652 წელს მოსკოვის მიძინების ტაძარში უნდა გადმოესვენებინათ რუსეთის ეკლესიის სამი წმინდანის – იობის, გერმოგენისა და ფილიპეს – ნეშთი. მიტროპოლიტ ფილიპეს ნეშტი სოლოვეცკის მონასტრიდან უნდა გადმოესვენებინათ. სოლოვეცკის მონასტრეში თავად ნოვგოროდის მიტროპოლიტი ნიკონი გაემგზავრა. შორეულ მოგზაურობაში მყოფ ნიკონს წერილებს უგზავნიდა მეფე ალექსი. ამ წერილებში მეფე თავის მოძღვარს პირდაპირ აღმერთებდა. წერილებიდან ჩანს, რომ ბოიარები უკმაყოფილობი იყვნენ მეფის კარზე ნიკონის გავლენის ზრდით. მეფე ალექსი ნიკონს ურჩევდა დაეთმო ბოიარებისათვის, მაგრამ არა იმდენად, რომ მეფე ბოიართა ხელში ჩაევდო. რბილი ხასიათის მეფე ალექსის სურდა ისე ემოქმედა, რომ არც ნიკონი გაენაწყენებინა და არც ბოიარები. მეფე ალექსის ასეთი განწყობილება გამომჟღავნდა სამონასტრო პრიკაზთან დაკავშირებითაც: მეფემ ბოიარების გავლენით სამონასტრო პრიკაზი ვერ გააუქმა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ნიკონს ნოვგოროდის ეპარქიისათვის შეუვალობის სიგელი უბოძა.

ნიკონის სოლოვეცკის მონასტრიდან დაბრუნებამდე გარდა-იცვალა პატრიარქი იოსები. ცხადი იყო, რომ ახალი პატრიარქი ნიკონი გახდებოდა. თვით ნიკონს პატრიარქობა, ცხადია, სურდა, მაგრამ არა იმ უფლებებით, რა უფლებებიც ჰქონდა პატრიარქი იოსებს. იმხანად ბოიარებს პატრიარქის უფლებების გაზრდის გაგონებაც კი არ სურდათ, რის გამოც ნიკონმა უარი თქვა პატრიარქის ტახტის დაკავებაზე. მოსკოვში, მიძინების ტაძარში შეკრებილი სამღვდელოების, ბოიარებისა და ხალხის თანდასწრებით მეფე ალექსი თვალცრემლიანი და მუხლომოდრეკილი ევედრებოდა ნიკონს, რათა უარი არ უთქვა პატრიარქის ტახტზე. ნიკონმა მეფის მუდარა შეისმინა და შეკრებილთ ასეთი კითხვით მიმართ: აღიარებენ თუ არა მას როგორც მწყემსმთავარსა და მამას, შეისმენენ თუ არა მის ყოველ სიტყვას, მისცემენ თუ არა საშუალებას თავისი შეხედულებისამებრ მოაწყოს ეკლესია? შეკრებილებმა ყველაფერზე თანხმობა განაცხადეს. 1652 წელს მიტროპოლიტი

ნიკონი რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავარი – მოსკოვის პატ-
რიარქი გახდა.

პატრიარქად არჩევიდან მალე ნიკონმა პატრიარქ ფილარე-
ტის (მეცე ალექსის ბაბუის) მსგავსად მიიღო ტიტული – „დიდი
ხელმწიფე“. ასე უნოდებდა ნიკონს თვით მეცე ალექსი. ეს კი
იმას ნიშნავდა, რომ რუსეთში იყო ორი დიდი ხელმწიფე – მე-
ცე ალექსი და პატრიარქი ნიკონი. პრაქტიკულად პატრიარ-
ქის ძალაუფლება გაუტოლდა მეფის ძალაუფლებას. პატრი-
არქის გარეშე მეცე არც ერთ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო
სახელმწიფობრივ საკითხს არ წყვეტდა. პატრიარქის ძალაუფ-
ლება კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მეცე ალექსი
უკრაინის შემოერთების (1654 წ.) გამო პოლონეთთან დაწყებუ-
ლის ომის დროს არმიას სარდლობდა და დიდხანს (1654-1655
წწ.) არ იმყოფებოდა მოსკოვში. ომში ნასვლის წინ მეცემ მთელი
სახელმწიფო საქმეები პატრიარქს ჩააბარა. მართალია, ნიკონმა
სამონასტრო პრივაზი ვერ გააუქმა, მაგრამ მისი ყოვლისშემ-
ლეობა მინიმუმამდე შეზღუდა.

1649 წლის ძეგლისდების დარღვევით ნიკონმა პატრიარქის
კუთვნილი მამულები მნიშვნელოვნად გაზარდა. ნიკონმა დაინ-
ყო რამდენიმე ახალი მონასტრის – ივერიის, ჯვრის, აღდ-
გომის, – მშენებლობა. მეცემ მონასტრებს დიდი მამულები
უბოძა. ესეც 1649 წლის ძეგლისდების უგულებელყოფას ნიშ-
ნავდა. მეციისა და პატრიარქის მეგობრობის წყალობით რუსე-
თის ეკლესიამ დიდი სიმდიდრე (მამულები და გლეხები) შეი-
ძინა. პოლონეთთან ომის დროს პატრიარქმა თავის მამულე-
ბიდან რუსეთის არმიას 10 ათასი მებრძოლი მისცა, კიდევ 10
ათასი მებრძოლის გამოყვანა მონასტრებმა შესძლეს თავიანთი
მამულებიდან. ნიკონი საპატრიარქოს შემოსავლიდან უხვად
გასცემდა წყალობას, ეხმარებოდა ღარიბებს, ქვრივებს, ობ-
ლებსა და პატიმრებს.

ნიკონი პატრიარქი მეცე ალექსის წყალობით გახდა, მაგ-
რამ ნიშნავს თუ არა ეს რომ იგი არ იყო ღირსი პატრიარქო-
ბისა? ნიკონი იყო ძლიერი პიროვნება, მას გააჩნდა ყვე-
ლა ის თვისება, რაც აუცილებელი იყო დიდი საეკლეს-
იო მოღვაწისათვის. შეეძლო მიზნისათვის დაუცხრომე-
ლი ბრძოლა, ჰქონდა ადამიანებზე ზემოქმედების გან-
საკუთრებული ნიჭი, არასდროს კმაყოფილდებოდა მიღ-

წეულით და შეეძლო ყოველგვარი მერყეობის გარეშე დასახული მიზნისათვის ბრძოლაში გაეწირა ყველაფერი – კარიერა და სიცოცხლეც კი. ამავე დროს ნიკონი თვლის და, რომ პატრიარქს უნდა ჰქონოდა მისი ღირსების შესაფერისი რეზიდენცია, უძვირფასესი შესამოსელი, მის გარშემო ყველაფერი ბრწყინვალე უნდა ყოფილიყო. მართალია, ნიკონმა ვერ მიაღწია 1649 წლის ძეგლისდების გაუქმებას, მაგრამ ძეგლის-დების გვერდის ავლით მან შესძლო რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში პატრიარქის როლის არნახული გაძლიერება და საეკლესიო მამულების გაზრდა. ნიკონის პატრიარქობის პერიოდში რუსეთის ეკლესიამ დიდი ქონება შეიძინა. საეკლესიო მამულების ზრდა, ახალი ტაძრებისა და მონასტრების მშენებლობა ბოიარებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, მაგრამ პატრიარქის ნებას ნინ ვერავინ აღუდგა. ნიკონი იყო ძალაუფლების მოყვარე. იგი საეკლესიო იერარქებისაგან (მიტროპოლიტებისაგან, არქიეპისკოპოსებისაგან, ეპისკოპოსებისაგან) და საერთოდ, მთელი სამღვდელოებისაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. ბოიარები, რომლებიც მეფეს ეურჩებოდნენ, ნიკონის ნინაშე კრთოდნენ და სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდნენ მას.

პრაქტიკულად პატრიარქი ნიკონი მეფე ალექსიზე დიდ ძალაუფლებას ფლობდა. პატრიარქი სახელმწიფოებრივ (საერო) საქმეებს მეფესთან ერთად განაგებდა, ხოლო ეკლესიას ერთპიროვნულად მართავდა. სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში პატრიარქის როლის ზრდამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ძირძველ ბოიარებში და საერთოდ რუსეთის მთელს არისტოკრატიაში. ნიკონის დაუძინებელ მტრებად იქცნენ ბოიართა მთელი საგვარეულოები: სტრეშნევები (მეფის დედის ნათესავები), მილოსლავსკები (მეფის პირველი მეუღლის ნათესავები), მოროზოვები (მეფის უახლესი მეგობრები), ოდოევსკები, დოლგორუკები, ტრუბეცკოები, სალტიკოვები, დედოფალი მარია და სხვ. სემიონ სტრეშნევს იმდენად სძულდა პატრიარქი ნიკონი, რომ მისი სახელი დაარქვა თავის ძალებს.

ნიკონის მტრები გაფაციცებით ადგვნებდნენ თვალყურს პატრიარქის მოღვაწეობას, მის ყოველ ნაბიჯს, მხედველობიდან არ რჩებოდათ პატრიარქის მიერ ძალაუფლების გადამეტების არც ერთი შემთხვევა, გაცხარების დროს ნარმოთქმული არც



ერთი შეუფერებელი სიტყვა. პატრიარქის მტრები კარგად სარგებლობდნენ იმით, რომ ნიკონი არად აგდებდა მათ, არ აინტერესებდა თუ რას იტყოდნენ ან რას მოიმოქმედებდნენ მისი მტრები. ბოიარები კი შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან მეფის წინაშე ნიკონის დასასმენად.

პატრიარქ ნიკონს მტრები გაუჩნდა ეკლესიაშიც. ეს უკვე დაკავშირებული იყო რეფორმებთან, რომელსაც ნიკონი ეკლესიაში ნაჩეარევად და იერარქების აზრის გაუთვალისწინებლად ატარებდა. საეკლესიო რეფორმას მონინააღმდეგები ჰყავდა ბოიარებშიც და საერთოდ, მრევლში. ნიკონის მიერ დაწყებულ საეკლესიო რეფორმასთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო. ნიკონის ბრძანებით დაიწყო ძველი რუსული საეკლესიო წიგნების ბერძნულ წიგნებთან შედარება და არსებული განსხვავების ბერძნული ტექსტის მიხედვით შესწორება. რუსულ ეკლესიაში დამკვიდრებული ღვთისმსახურების წესიც ბერძნულთან უნდა შეედარებინათ და შეესწორებინათ. პატრიარქ ნიკონის აზრი სამღვდელოების და მრევლის მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ გაიზიარა. შეიქმნა განხეთქილების საშიშროება. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ რუსულ ენაზე არსებული საეკლესიო წიგნების (ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა, ფსალმუნი, ლოცვანი და სხვ.) ბერძნულ ტექსტთან შედარება და ბერძნულის მიხედვით შესწორება აუცილებული იყო, აუცილებელი იყო ღვთისმსახურების ზოგიერთი წესის შეცვლა-შესწორებაც. მეორენი ეწინააღმდეგებოდნენ ყოველგვარ ცვლილებას და მიიჩნევდნენ, რომ რუსული საეკლესიო წიგნების ტექსტი უცვლელად უნდა დარჩენილიყო, ღვთისმსახურებაც ისე უნდა აღსრულებულიყო, როგორც წინათ სრულდებოდა. ასე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს რუსეთში „ძველი“ და „ახალი“ რწმენის მიმდევრები. პატრიარქ ნიკონის რეფორმის მონინააღმდეგებს „ძველი რწმენის“ მიმდევრები (დამცველები) – „სტაროვერები“ ანუ „სტაროობრიადელები“ – ეწოდათ. პატრიარქ ნიკონის რეფორმის ყველაზე ცნობილი მონინააღმდეგები იყო ღეკანოზი აბაკუმი. აბაკუმი ბევრი რაიმეთი ჰგავდა ნიკონს. იგი იყო მართლმადიდებლობის შეუპოვარი დამცველი, ღრმად განათლებული, მაგრამ უაღრესად ჯიუტი და პატივმოყვარე ადამიანი. განათლებული ბოიარები მოროზოვების, რომანოვების და სხვა საგვარე-

ულოებიდან პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ნიკონს „ახალი წესები“ შემოაქვს ეკლესიაში, მაგრამ თავგამოდებით ერთნაბალმდება ყოველგვარ სიახლეს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. სტაროვერების შეხედულებას იზიარებდნენ არა მარტო ბიოართა რამდენიმე საგვარეულოს წარმომადგენლები, არამედ ცნობილი და გავლენიანი სასულიერო პირები: მეფის მოძღვარი სტეფანე ბონიფატიევი, მღვდელი იოანე ნერონვი და სხვ.

პატრიარქ ნიკონს დაუპირისპირდა თითქმის მთელი სამღვდელოება. მათი ნაწილი ნიკონს უპირისპირდებოდა რეფორმის გამო, ნაწილი კი მისი ხასიათის გამო. სამღვდელოება უკმაყოფილოყო იყო ნიკონის გადამეტებული სიმკაცრით, სიჯიუტით, უმკაცრესი სასჯელებით, პატრიარქის ხაზინის სასარგებლოდ გადასახადის ზრდით.

პატრიარქ ნიკონის მტრებმა თავიანთი განუწყვეტელი დასმენებით სუსტი ხასიათის მეფე ალექსის თანდათან შეაცვლევინეს აზრი ნიკონზე. გარდამტეხი მომენტი პატრიარქისა და მეფის ურთიერთობაში დადგა 1657 წელს. ამ წელს მეფე პოლონელთა წინააღმდეგ მეორე ლაშქრობიდან დაბრუნდა. ორმალაშქრობამ სუსტი ხასიათისა და გამოუცდელი ალექსი გამობრძედა, შედარებით მტკიცე ხასიათი ჩამოუყალიბა და უფრო დამოუკიდებელი გახდა. მეფის მოსკოვში არყოფნის პერიოდში პატრიარქი ნიკონი განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდა. როგორც ჩანს, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ბოიარებმა მეფე ამის თაობაზეც ჩააყენეს საქმის კურსში. ყველა გრძნობდა, რომ მოსკოვში დაბრუნებულ „დიდ ხელმინიფეს“ (მეფე ალექსის) დედაქალაქში დახვდა მეორე „დიდი ხელმნიფე“ (პატრიარქი ნიკონი).

ბოიარებმა იგრძნეს, რომ ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. ისინი მეფეს არწმუნებდნენ, რომ პატრიარქი მასზე მეტ ძალაუფლებას ფლობდა. აშკარა იყო, რომ მეფე ალექსი უკმაყოფილო იყო ნიკონით. მიუხედავად ამისა, ალექსი პატრიარქთან შეხვედრისა და ურთიერთობის გარკვევის ნაცვლად ნიკონის წინააღმდეგ ფარულად მოქმედებდა. პატრიარქი გრძნობდა, რომ მეფე მასზე განაწყენებული იყო. თავის მხრივ არც ნიკონს უცდია მეფესთან შეხვედრა და ურთიერთობის გარკვევა. პატრიარქი ჩაიკეტა და მეფის სასახლეში აღარ ჩნდებოდა. ამით ისარგებლეს ნიკონის მტრებმა და მარტო დარ-

ჩენილი მეფე საბოლოოდ მოაქციეს თავისი გავლენის ქვეშ. მეფისა და პატრიარქის შეჯახება გარდაუვალი გახდა.

მეფისა და პატრიარქის დაპირისპირებით კარგად ისარგებლა სამონასტრო პრიკაზმა და ნიკონის რამდენიმე განკარგულება გააუქმა. უფრო მეტიც, სამონასტრო პრიკაზი კიდევ უფრო შორს წავიდა და პატრიარქს რამდენიმე მამული ჩამოართვა. ნიკონმა უკან არ დაიხია და მეფეს მკვახე გამოთქმებით აღსავსე წერილები მისწერა. ეს წერილები ბოიარებმა კარგად გამოიყენეს ნიკონის წინაამდეგ.

1658 წელს მოსკოვში მეფე ალექსიმ საზეიმო მიღება მოუწყო მეფე თეიმარზ I-ს. პატრიარქი ნიკონი საზეიმო მიღებაზე არ მიუწვევიათ. გაბრაზებულმა ნიკონმა სასახლეში თავისი აზნაური გაგზავნა და დაავალა იმისი გარევევა თუ რატომ არ მიიწვიეს პატრიარქი უცხო ქვეყნის მეფის საზეიმო მიღებაზე. ნიკონის გაგზავნილ აზნაურს სასახლეში შეღწევის მცდელობისას ზემის გამრიგემ თავში ჯოხი ჩაარტყა. აღმფოოთებულმა ნიკონმა მეფეს ზემის გამრიგის გასამართლება მოსთხოვა. მეფე პატრიარქს დაპირდა, რომ ამ ინცინდენტის თაობაზე მათი შეხვედრისას ისაუბრებდნენ. მეფისა და პატრიარქის შეხვედრა არ შედგა და ამდენად ნიკონის მოთხოვნა რეაგირების გარეშე დარჩა. ნიკონის აღმფოოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

1658 წლის 10 ივლისს საუფლო დღე იყო. ნიკონი ვარაუდობდა, რომ მეფე საღმრთო ლიტურგიას დაესწრებოდა და პატრიარქს განმარტებასაც მისცემდა. მეფე ალექსი ტაძარში არ მისულა. მეფემ პატრიარქს ბოიარი იური რომოდანოვსკი გაუგზავნა. იური რომოდანოვსკიმ ნიკონს განუცხადა, რომ მეფე აღმფოოთებულია პატრიარქის მიერ „დიდი ხელმწიფის“ ტიტულის მითვისებით. ნიკონმა საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ ქადაგება დაიწყო. პატრიარქმა საჯაროდ განაცხადა, რომ მას აღარ სურს იყოს პატრიარქი. ნიკონმა პატრიარქის შესამოსელი გაიხადა, ბერის კაბით შეიმოსა და ტაძრიდან გასვლის წინ თავისი გადაწყვეტილების თაობაზე მეფეს წერილი მისწერა. პატრიარქის გადაწყვეტილებით გულდაწყვეტილი მრევლი თვალცრემლიანი ევედრებოდა ნიკონს დარჩენილი ყოველი პატრიარქის ტახტზე. მრევლმა ნიკონს ეტლში ჩაჯდომის საშუალება არ მისცა. პატრიარქი ფეხით მივიდა თავის რეზიდენციაში, იქიდან კი აღდგომის მონასტერში გაემგზავრა.

აღდგომის მონასტრიდან ნიკონმა მეფეს აცნობა, ორმ
დაეჩქარებინა ახალი პატრიარქის არჩევა, მანამდე კი ეკლესიის
საქმეები უნდა განეცო მიტროპოლიტ პიტირიმ კრუტიცელს.
ნიკონი ითხოვდა მისთვის დაეტოვებინათ აღდგომის, ივერი-
ისა და ჯვრის მონასტრები. ნიკონმა მეფეს მეორედაც დაუ-
დასტურა მისი სურვილი გადადგომის თაობაზე. ნიკონი ელოდა,
რომ მეფე არ მიიღებდა მის გადადგომას და ისევე თვალცრემ-
ლიანი შევეძრებოდა მას პატრიარქის ტახტზე დაბრუნებას,
როგორც ევედრებოდა 1652 წელს. მეფე ალექსიმ დაავამაყო-
ფილა ნიკონის თხოვნა სამი მონასტრის მისთვის გადაცემის
თაობაზე, მაგრამ პატრიარქის ტახტზე ნიკონის დაბრუნების
თაობაზე სიტყვაც არ დაუძრავს.

ნიკონმა მეფესთან ბრძოლა წააგო. მონასტერში მყოფი იგი
მეფე ალექსიმ და მიტროპოლიტმა პიტირიმმა კი არა საერთოდ
ყველა დაივინყა, მას აღარავინ არ აკითხავდა, აღარავის არ
ახსოვდა. ყოველივე ამან ნიკონი მძიმე დეპრესიაში ჩააგდო.

1660 წლის თებერვალში ძალზე გაჭიანურებული ნიკონის
საქმის გადასაწყვეტად მოწვეული იქნა რუსეთის საეკლესიო
კრება. კრებას დაესწრენ რუსეთში მყოფი ბერძენი საეკლესიო
იერარქები. საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის თითქმის არ
იყო არც ერთი რუსი სამღვდელო, რომელსაც თავის თავზე არ
გამოეცადა ნიკონის თვითნებობა. საეკლესიო კრების მხოლოდ
რამდენიმე მონაწილემ, მათ შორის, ცნობილმა მეცნიერმა ეპი-
ფანე სლავენიცკიმ, აღიმაღლა ხმა ნიკონის დასაცავად. საეკ-
ლესიო კრებამ ნიკონი პატრიარქობიდან გადაყენა. მეფე ალექ-
სიმ არ გაითვალისწინა კრების გადაწყვეტილება და გაიზიარა
კრების იმ მცირერიცხოვან მონაწილეთა აზრი, რომელთაც ნი-
კონი დაიცვეს. ნიკონი ძალზე აღაშფოთა საეკლესიო კრების
გადაწყვეტილებამ. იგი უდიერად იხსენიებდა კრებასა და მის
მონაწილეებს. განსაკუთრებით განრისხდა ნიკონი მას შემდეგ,
რაც მიტროპოლიტმა პიტირიმმა ლოცვებში მისი სახელის მოხ-
სენიება აკრძალა. ნიკონი აღაშფოთებას ვერ მალავდა იმის გა-
მოც, რომ დვოისმსახურების დროს მიტროპოლიტი პიტირიმი
პატრიარქისათვის განკუთვნილ ადგილზე დგებოდა. ნიკონი აპ-
როტესტებდა მიტროპოლიტ პიტირიმის მიერ მეთოდეს მსტის-
ლავსკელის ეპისკოპოსად ხელდასხმას. ნიკონი იქამდეც კი
მივიდა, რომ 1662 წელს ერთ-ერთ საუფლო დღეს მიტრო-

პოლიტიკი პიტირიმი ანათემას გადასცა. ანათემამ მოსკოვის მრევლზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

1662 წლის გაზაფხულზე მოსკოვს ენვია ღაზის მიტრო-
პოლიტიკი პაისი. ეს იყო თავისი დროის ერთ-ერთი უგანათ-
ლებულესი ბერძენი იერარქი. ამავე დროს პაისი იყო ადამიანი,
რომელიც პირადი კეთილდღეობის მიზნით ყველაფერზე მიღი-
ოდა. იერუსალიმის პატრიარქმა მას მართლმადიდებლობის
საზიანოდ კათოლიკური რწმენის გაზიარების ბრალდებით ღვ-
თისმსახურება აუკრძალა. მიტროპოლიტი პაისი ბევრს მოგ-
ზაურობდა საბერძნეთსა და იტალიაში. 1657 წელს მიტრო-
პოლიტიკი პაისი, როგორც განათლებული საეკლესიო იერარქი,
პატრიარქმა ნიკონმა მოსკოვში მიიწვია. მიტროპოლიტ პაისის
მოსკოვში ჩასვლის დროისათვის (1662 წ.) ნიკონი საეკლესიო
კრების მიერ პატრიარქობიდან გადაყენებული იყო. პაისიმ
მაშინვე აუღო ალლო შექმნილ ვითარებას და ნიკონის მტრების
მხარეზე დადგა. ბოიარმა სემიონ სტრეშნევმა მიტროპოლიტ
პაისის განსახილველად და მსჯავრის გამოსატანად გადასცა
ნიკონის მოღვაწეობიდან 30 შემთხვევა, რომელიც ძირითადად
მეფისა და პატრიარქის ურთიერთობას ეხებოდა. მიტროპოლიტ
ტრიტონი მითხვის სამღვდელოებისადმი მკაცრ მოპყრობაში, ანათემის, როგორც სასჯელის, ხში-
რად გამოყენებაში და სხვ. რაც მთავარია, პაისიმ მართებულად
მიიჩნია სამონასტრო პრივაზის შექმნა. პაისის აზრით, რუს
ეპისკოპოსებს უფლება ჰქონდათ განესაჯათ თავიანთი პატრი-
არქი. ბოიარ სემიონ სტრეშჩევის კითხვები და მიტროპოლიტ
პაისის პასუხები ნიკონს გაუგზავნეს. ნიკონმა ყურადღებით
შეისწავლა მიტროპოლიტ პაისის პასუხები და დიდის მონდო-
მებით შეუდგა მათ უარყოფას. ნიკონმა თავისი პოზიცია სქელ-
ტანიან ნიგბში ჩამოაყალიბა. ამ ნაშრომიდან კარგად სჩანს მისი
ღრმა და საფუძვლიანი განათლება და პოლემიკის დიდი ნიჭი.
ნიკონმა გაბედულად და მთელი სიცხადით ჩამოაყალიბა თავისი
შეხედულება პატრიარქის ძალაუფლებისა და ეკლესიისა
და სახელმწიფოს ურთიერთობაზე. გზადაგზა ნიკონი მკაც-
რად აკრიტიკებდა 1649 წლის ძეგლისდების მუხლებს, სამონას-
ტრო პრივაზისა და საერო სასამართლოს მიერ სასულიერო პირ-

თა გასამართლების პრაქტიკას. ნიკონმა არ დაინდო ბოიარები როდოვესკი და სტრეშნევი, განსაკუთორებული რისხვა დაატენა თავს მიტროპოლიტ პაისის. უფრო მეტიც, ნიკონმა არც მეფე ალექსი დაინდო. საბოლოო ჯამში ნიკონმა, როცა სამეფო (საერო) და საეკლესიო (სასულიერო) ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე მსჯელობდა, მხარი დაუჭირა პატრიარქისათვის, რაოდის პაპის ძაღლის ძაღლის ძაღლის მინიჭებას. ნიკონის აზრით, მოსკოვის (რუსეთის) პატრიარქი რუსეთის უკუნდებელი უნდა მდგარიყო და მეფე პატრიარქს უნდა დამორჩილებოდა.

მიტროპოლიტმა პაისიმ უკან არ დაიხია. 1662 წლის ბოლოს ნიკონის საქმესთან დაკავშირებით მან შეადგინა 25 კითხვა და თავადვე უპასუხა მას. კითხვები და პასუხები მსჯავრის გამოსატანად უნდა გაეგზავნათ აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქებისათვის. კითხვებსა და პასუხებში ნიკონი არ ისენიებოდა, თუმცა ყველა კითხვა მის მოღვაწეობასა და შეხედულებებს ეხებოდა. 1664 წლის მაისში მოსკოვში მიიღეს აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქების პასუხი. პატრიარქების პასუხიდან ჩანდა, რომ ისინი ნიკონის შეხედულებებს მცდარად მიიჩნევდნენ. იერუსალიმის პატრიარქმა მართალია ხელი მოაწერა აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქთა პასუხს, მაგრამ ამავე დროს ცალკე წერილი გამოუგზავნა მეფე ალექსის. პატრიარქი მეფეს სთხოვდა ნუ გაასამართლებდა ნიკონს და შერიგებოდა პატრიარქს.

მეფე ალექსისა და პატრიარქ ნიკონის შერიგება არ მოხერხდა. ჯერ კიდევ 1660 წელს აღდგომის მონასტრის მამულის მეზობლად მდებარე მემამულე სიტინის გლეხებს სადაო მინის გამო სცემეს ნიკონის კაცებმა. მეფის სამსახურში მყოფმა მოხელემ ბობარიკინმა მიიტაცა აღდგომის მონასტრის მამულის ნაწილი, რისთვისაც ნიკონის კაცებმა ისიც სცემეს. პატრიარქმა მეფესთან იჩივლა, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო. 1661 წელს ნიკონმა მეფე ალექსის მისწერა მეტად შეურაცხმყოფელი წერილი, რომელშიც სამეფო ხელისუფლების მიერ საეკლესიო ხელისუფლების დამცირებას აპროტესტებდა. ნიკონი მეფე ალექსის ღვთის რისხვით დაემუქრა. 1663 წელს სასამართლომ ბობარიკინი გაამართლა. განრისხებულმა ნიკონმა აღდგომის მონასტრის საძმო შეკრიბა, მონასტრისათვის მამუ-

ლების ბოძების თაობაზე მეფე ალექსის მიერ გაცემულ სიგელზე ჯვარი დასვენა, ლოცვა აღავლინა და 108-ე ფსალმუნით დაწყევლა მონასტრის შეურაცხმყოფელნი. ნიკონის მოქმედებაშ მეფე ალექსი ძლიერ აღაშფოთა. მეფემ დანიშნა გამოძება, რომელსაც უნდა გაერკვია, თუ კონკრეტულად ვინ დაწყევდა ნიკონმა. გამოძების ჩასატარებლად აღდგომის მონასტრში მივიდნენ ნიკონისათვის ყველაზე მეტად საძულველი ადამიანები: მიტროპოლიტი პაისი, ასტრახანის ეპისკოპოსი იოსები ბოიარები ოდოვესკი და სტრეშნევი. მეფის წარგზავნილები ნიკონმა ცუდად მიიღო: უყვიროდა მათ, არ აცლიდა ლაპარაკს, მიტროპოლიტ პაისის ქურდი და ძაღლი უნოდა, უდიერად იხსენიებდა საეკლესიო კრებას, ემუქრებოდა თვით მეფესაც კი. მეორე დღეს ქადაგებისას ნიკონმა ბოიარები ოდოვესკი და სტრეშნევი იროდსა და პილატეს შეადარა, ხოლო პაისი და იოსები – ანნასა და კაიაფას. ბოლოს ნიკონი იძულებული გახდა განმარტება მიეცა და განაცხადა, რომ მან დაწყევლა არა მეფე, არამედ ბობარიკინი. გამოძების პროცესში ნიკონმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ იგი არ სცნობს რუსეთის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას მისი პატრიარქობიდან გადაყენების თაობაზე და ითხოვს აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქების მიერ მსჯავრის გამოტანას.

1664 წლის მაისში მოსკოვში ჩაიტანეს აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქების მიერ ხელმოწერილი სიგელი ნიკონის პატრიარქობიდან გადაყენების თაობაზე. ნიკონმა სიგელი უკანონოდ მიიჩნია, რადგან მის ჩამოსატანად მოსკოვიდან გაგზავნეს ბერძენი ბერდიაკონი მელეტი, რომელიც მანამდე ნიკონმა ხელმოწერის გაყალბებასა და ყალბი ბეჭდის დამზადებაში ამხილა. 1664 წელსვე მეფე ალექსიმ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქებთან ელჩობა გაგზავნა. მოსკოვში ჩასვლაზე თანხმობა განაცხადეს იერუსალიმის პატრიარქმა პაისიმ და ანტიოქიის პატრიარქმა მაკარიოსმა. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა და ალექსანდრიის პატრიარქმა მოსკოვში გამგზავრებისაგან თავი შეიკავეს, მაგრამ თავიანთი რწმუნებები გადასცეს იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქებს.

იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქების მოსკოვში ჩასვლამდე ნიკონის ახლობელმა ბოიარმა ზოუზინმა გადან-

კვიტა კამოეყენებინა უკანასკნელი შანსი და მეფე და პატრი-
არქი უერიგებინა. ამისათვის აუცილებელი იყო ალექსისა და
ნიკონის პირისპირ შეხვედრა. ზიუნინის გეგმა ასეთი იყო. ნი-
კონი ურო-ერა საუცლო დღეს (წმინდა პეტრე სასწაულ-
მოქმედის ხსენების დღეს) მოსკოვში უნდა ჩასულიყო და მი-
ძინების ტაძარში ბაჟულს ლიცეიზე მიიწვია მეფე. ზიუზინი
ნიკონს არჩეულებდა, ომზ კატარქტან ამ გზით იეხვედოა
მეფის სურვილიც იყო.

1664 წლის 17-18 დეკემბერს მოსკოვის მიძინების ტა-
ძარში წმინდა პეტრე სასწაულმოქმედის ხსენების დღეს დათის-
მსახურება დამისთევით მიმდინარეობდა. მოულოდნელად 18
დეკემბერს გამოენისას, 3 საათზე, ტაძარში გამოცხადდა პატ-
რიარქი ნიკონი. მას თან ახლდნენ ბერები, რომელთაც ტაძარში
ჯვარი შემოასვენეს. ნიკონი სწრაფი ნაბიჯით მივიდა და დადგა
იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივ პატრიარქი იდგა ხოლმე და
ხელში აიღო წმინდა პეტრე სასწაულმოქმედის კვერთხი.
თანმხლები ბერების გალობის დასრულებისთანავე ნიკონი
დათისმსახურებას შეუდგა. ამ დროისათვის მიტროპოლიტი
პიტიონიმი ნოვგოროდის ეპარქიაში იყო გადაყვანილი და მის
მოვალეობას როსტოვის მიტროპოლიტი იონა ასრულებდა. ნიკო-
ნის მოულოდნელი გამოჩენით მიტროპოლიტი იონა და ტაძარში
მყოფი სამღვდელოება დაიბნა. ყველანი, არსებული წესის
თანახმად, მივიდნენ და პატრიარქს ხელზე ეამბორნენ. ტაძ-
რიდან ნიკონმა შერიგებისაკენ მოწოდებით მეფეს ნერილი
გაუგზავნა. მეფე ალექსი ყოყმანობდა, არ იცოდა რა მოე-
მოქმედა. ნიკონის მტრებმა მეფე დაიყოლიეს და სასახლიდან
ნიკონს შეუთვალეს: დაბრუნებულიყო იქ, საიდანაც მოვიდა.
განრისხებულმა ნიკონმა ხელში აიღო წმიდა პეტრე სასწაუ-
ლმოქმედის კვერთხი, ტაძრიდან გამოვიდა და ალდგომის
მონასტერში გაემგზავრა. გზაში ნიკონი დააკავეს, წმიდა პეტ-
რე სასწაულმოქმედის კვერთხი წაართვეს და მოსკოვში
ჩასვლის მიზეზი გამოკითხეს. ნიკონმა დაკითხვისას განაცხადა,
რომ იგი მოსკოვში ბოიარ ზიუზინის რჩევით ჩავიდა. დაპკით-
ხეს ზიუზინიც, რომელმაც წამებას ვერ გაუძლო და ნიკონის
ნათქვამი დაადასტურა. ზიუზინი ყაზანში გადასახლეს. მიტ-
როპოლიტი იონა, რომელიც მიძინების ტაძარში ნიკონს ხელზე

ემთხვია, გადააყენეს და პატრიარქის ტახტის მონაცელედ მიტროპოლიტი პავლე კრუტიცკელი დანიშნეს.

მეფესთან შერიგების წარუმატებელი ცდის შემდეგ ნიკონმა უკან დაიხია. მან მონასტრიდან მეფეს წერილი გაუგზავნა და სთხოვა აღარ მოეწვია მოსკოვში მართლმადიდებელი პატრიარქები. სამაგიეროდ, ნიკონი თანახმა იყო ეცნო რუსეთის საეკლესიო კრების მიერ ახალი პატრიარქის არჩევა. ამასთან ერთად, ნიკონი აყენებდა პირობას: მისთვის უნდა შეენარჩუნებინათ პატრიარქის ტიტული და მის დაქვემდებარებაში არსებული სამივე მონასტრის (აღდგომის, ივერიის, ჯვრის) პატრიარქისაგან დამოუკიდებლად მართვის უფლება. მეფე ალექსის ყურად არ უღია ნიკონის თხოვნა. მოსკოვში აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქების ჩამოსვლას ელოდნენ.

პატრიარქმა ნიკონმა უკანასკნელი საშუალება გამოიყენა. მან კონსტანტინეპოლის პატრიარქს დიონისეს და აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ პატრიარქებს წერილები გაუგზავნა და თავი იმართლა. ნიკონი მის წინააღმდეგ ინტრიგების მოწყობაში ბრალს სდებდა: სამონასტრო პრივაზს, ბოიარებს, განსაკუთრებით სემიონ სტრეშნევს, თვით მეფე ალექსისაც კი. ნიკონმა პატრიარქების წინაშე ამხილა მიტროპოლიტ პაისის ულირის საციიელი. ნიკონის წერილები ხელში ჩაუვარდა ხელისუფლებას და ერთი მათგანი (წერილი კონსტანტინეპოლის პატრიარქ დიონისესადმი) სასამართლოზე მის წინააღმდეგაც გამოიყენეს.

1666 წლის ნოემბერში მოსკოვში ჩავიდნენ იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქები. თითქმის ერთი თვე გრძელდებოდა პატრიარქების ჩასვლის აღსანიშნავად გამართული ზეიმი. იმავდროულად ბოიარებმა და საეკლესიო იერარქებმა მიტროპოლიტ პაისის მეშვეობით პატრიარქების ნიკონის საქმის მთელი ისტორია გააცნეს. 1666 წლის ნოემბრის ბოლოს ნიკონი მოსკოვში საეკლესიო კრებაზე გამოიძახეს.

რუსეთის საეკლესიო კრება გაიხსნა 1666 წლის 1 დეკემბერს. კრება მეფის სასახლეში მიმდინარეობდა. კრებას რუსი საეკლესიო იერარქების გარდა ესწრებოდნენ: მეფე ალექსი მიხეილის ძე, იერუსალიმის პატრიარქი პაისი, ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი, მიტროპოლიტი პაისი. სულ საეკლესიო კრებას ესწრებოდა: 2 პატრიარქი, 10 მიტროპოლიტი, 7 არქი-

ეპისკოპოსი, 4 ეპისკოპოსი და 30 არქიმანდრიტი, 9 ილუმინი, სულ 67 სასულიერო პირი (კრების ზოგიერთ სხდომას გაცილებით მეტი ადამიანი ესწრებოდა). ასეთი შემადგენლობით რუსეთში საეკლესიო კრება პირველად გაიმართა.

ნიკონი საეკლესიო კრებაზე გამოცხადდა პატრიარქის შესამოსელით, იგი მიაბიჯებდა ამაყად, თავის თავში დაჯერებული, ნინ მიუძღვდნენ ბერები ჯვრით. დარბაზში შესვლისას ნიკონმა შენიშნა, რომ მის დასაბრძანებლად ტრადიციული ადგილი მზად არ იყო. პატრიარქი ჩვეულებრივ სკამზე არ დაბრძანდა, ფეხზე იდგა მთელი სხდომის განმავლობაში, სხდომა კი ათ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

საეკლესიო კრებაზე პატრიარქ ნიკონის ბრალმდებლად თვით მეფე ალექსი მიხეილის ძე გამოვიდა. მეფე თვალცრუმლიანი იდგა და დიდი მღელვარებით მოუთხრობდა საეკლესიო კრებას მისი ყოფილი მეგობრის შეცოდებათა თაობაზე. ამავე დროს მეფე ალექსი ხაზს უსვამდა იმას, რომ არასდროს არანაირი მტრული გრძნობა პატრიარქ ნიკონის მიმართ არ გასჩენია. ნიკონი უკან დახევას არ აპირებდა, შერიგებაზე არც კი ფიქრობდა. მეფის ბრალდებას პატრიარქის ტახტის მიტოვებისა და მონასტერში წასვლის თაობაზე ნიკონმა ასე უპასუხა: მე გავერიდე მეფის რისხვას, პატრიარქობა კი არ დამიტოვებიაო. მეფემ საეკლესიო კრებას წარუდგინა ნიკონის წერილი კონსტანტინეპოლის პატრიარქ დიონისესადმი, რომელშიც ნიკონი მეფესა და საეკლესიო კრებას აუგად იხსენიებდა და თავს იმართლებდა. საეკლესიო კრება დიდხანს იხილავდა ნიკონის წერილს პატრიარქ დიონისესადმი. წერილის კითხვას თან ახლდა მეფისა და კრების მონაწილეთა შენიშვნები. ისინი პატრიარქ ნიკონს ბრალს სდებდნენ ზედმეტ სიამაყეში, ძალაუფლების გადამეტებაში, მეფისადმი ცრუ ბრალდებებში, რუსეთის ეკლესიის დამცირებაში. ნიკონის პასუხები იყო გაბედული და მკვახე. ნიკონს განსაკუთრებით შეუტიეს იმის გამო, რომ პატრიარქ დიონისესადმი გაგზავნილ წერილში მიტროპოლიტ პაისის მართლმადიდებლობის მოღალატე უწოდა. წერილის ეს ადგილი უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა რუსეთის ეკლესიას, რადგან მიტროპოლიტი პაისი იქ დიდ პატივში ჰყავდათ და მას მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას ანდობდნენ.

საეკლესიო კრების მორიგი სხდომა 5 დეკემბერს გაიმართა. ამ სხდომაზე პატრიარქი ნიკონი მისი ბრალმდებლების დაუნიდობელი კრიტიკით გამოვიდა. ნიკონმა ეჭვს ქვეშ დააყენა მათი უფლებამოსილება, ვინც მის გასამართლებას ცდილობდა. ნიკონმა არც ბერძნული ეკლესია დაინდო, რომლის ავტორიტეტს ხშირად იმოწმებდნენ მის ნინააღმდეგ. იერუსალიმისა და ანტიოქიის მართლმადიდებელმა პატრიარქებმა საეკლესიო კრებაზე განაცხადეს: „როცა სჭირდება ეშმაკიც კი ჭეშმარიტებს ქადაგებს, ნიკონი კი ჭეშმარიტებას არ ქადაგებს“.

პატრიარქ ნიკონის საქმეს საეკლესიო კრების კიდევ რამდენიმე სხდომა მიეძღვნა, თუმცა ამ სხდომებზე თვით ნიკონი არ მიუწვევიათ.

1666 წლის 12 დეკემბერს ჩუდის მონასტრის ხარების ეკლესიაში პატრიარქ ნიკონს წაუკითხეს საეკლესიო კრების მიერ შემუშავებული ბრალდების პუნქტები. ნიკონს ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან:

- 1) თვითნებურად მიატოვა პატრიარქის ტახტი,
- 2) პატრიარქის ტახტის მიტოვების შემდეგ თვითნებურად ეწეოდა ღვთისმსახურებას მისდამი დაქვემდებარებულ მონასტრებში,
- 3) ერთ-ერთ მონასტრებს უწოდა იერუსალიმის მონასტერი,
- 4) მის დაქვემდებარებაში არსებული მონასტრების შემოგარენში ადგილებს უწოდა სახელები: ბეთლემი, გოლგოთა, ოირდანია და სხვ.,
- 5) სხვა მონასტრებს წაართვა მამულები და მინები საკუთარ მონასტრებს გადასცა,
- 6) ხელი შეუშალა ახალი პატრიარქის არჩევას,
- 7) ბოროტად გამოიყენა ანათემის უფლება,
- 8) მართლმადიდებულობის ზეიმის კვირაძალში ანათემას გადასცა რუსეთის ეკლესიის იერარქები,
- 9) მეფის მიერ მასთან გაგზავნილ საეკლესიო იერარქებს შეურაცხყოფა მიაყენა, უწოდა მათ ანნა და კაიაფა, ხოლო ბოიარებს – იროდი და პილატე,
- 10) უდიერად მოიხსენია მსოფლიო მართლმადიდებელი პატრიარქები,
- 11) არ სცნო არც ერთი საეკლესიო კრება, რომელიც VII მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ მოიწვიეს,

- 12) რუსეთის ეკლესიას ბრალი დასდო მართლმადიდებლობის ღალატში და კათოლიკური რჩმენის გაზიარებაში;
- 13) მეფეს უწოდა მტანჯველი და უსამართლო,
- 14) თვითნებურად გადააყენა და ფიზიკური სასჯელი დაადო (გააროზვინა) ეპისკოპოს პავლე კოლომენსკოელს, რის შედეგადაც ეპისკოპოსი ჭკუიდან შეიშალა და გარდაიცვალა,
- 15) მიტროპოლიტ პაისის უწოდა ერეტიკოსი,
- 16) ორი წელი ციხეში სტანჯა მისივე მოძღვარი ლეონიდი,
- 17) აღდგომის მონასტერში ბერებისა და თეთრი სამღვდელოების მიმართ აამოქმედა საერო პირთათვის განკუთვნილი სასჯელი.

პატრიარქ ნიკონის მიმართ წაყენებული ბრალდებები საეკლესიო კრებამ დადასტურებულად მიიჩნია. ნიკონი გადააყენეს პატრიარქობიდან და აუკრძალეს მღვდელმსახურება. ნიკონს შეუნარჩუნდა მხოლოდ ბერობის უფლება. პატრიარქის ლირსების აყრის შემდეგ ნიკონმა საეკლესიო კრებას ასეთი კითხვით მიმართა: „რატომ აკეთებთ ამას აქ, მონასტრის ეკლესიაში, ფარულად, როგორც ქურდები? ტაძარში ხალხის თანდასწრებით მეხვენებოდით მე მიმედო პატრიარქობა, ნავიდეთ ახლაც იმავე ტაძარში“. იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქებმა პირადად განმოსეს ნიკონი ბარტყულისაგან და ახსნეს პანალია. ნიკონმა პატრიარქებს მიმართა: „მარგალიტი გაიყავით! მოიპოვებთ რამდენიმე ოქროს და სულთანს ხარქს გადაუხდით“.

პატრიარქობის პატივის აყრის შემდეგ ნიკონი თერაპონტებს მონასტერში გაგზავნეს.

პირველი წლები განსაკუთრებით მძიმე იყო ნიკონისათვის. მას თავი მაინც ამაყად ეჭირა, ნიკონმა უკან დაპირუნა მეფის მიერ მისთვის გაგზავნილი საჩუქრები. მხოლოდ 1667 წლის აღდგომის დღესასწაულზე მიიღო მან მეფის მიერ გამოგზავნილი დვინო და ალექსი მიხეილის ძის სადღეგრძელო შესვა. ამის შემდეგ მეფის ბრძანებით ნიკონს პატიმრობის პირობები გააუმჯობესეს. მას ნება დართეს გამოსულიყო მონასტრიდან, კვებავდნენ კარგად, მონასტრის კომპლექსში მისთვის საგანგებოდ შეარჩიეს ეკლესია. ყოველივე ამის შემდეგ ნიკონს პატივისცემით ეცყვრობოდნენ მონასტერში. უამრავი ხალხი მიდიოდა ნიკონთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად და მისი ლოცვის

მოსასმენად. ნიკონი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მოსკოვში ჭორი გავრცელდა: ნიკონი მონასტრიდან გაქცევას და ხალხის დახმარებით პატრიარქობის დაბრუნებას პირებს. მეფის კარზე შემინდნენ. სტეფანე რაზინის ამბოხების დროს (1670-1671 წწ.) ნიკონი კიდეც დაჰკითხეს, მაგრამ სამხილი ვერაფერი უპოვეს.

1676 წელს მეფე ალექსი მიხეილის ძე გარდაიცვალა. მეფემ თავის ანდერძში ნიკონის შენყალება ითხოვა. ნიკონმა ეს რომ შეიტყო იტირა.

ალექსი მიხეილის ძის გარდაცვალების შემდეგ ნიკონის მდგომარეობა გაუარესდა. ტახტზე თევდორე ალექსის ძის ასვლის (1776 წ.) შემდეგ სასახლის კარზე გავლენა დაჰკარგა ნიკონის მეგობარმა ბოიარმა მატვეევმა, შეირყა ნიკონის კეთილისმყოფელი ბოიარის – ნარიშეინის (მეფე ალექსის მეორე მეუღლის ნატალიას ძმის) მდგომარეობა. სასახლის კარზე დიდი გავლენა მოიპოვეს მეფე ალექსის პირველი მეუღლის ნათესავებმა, მილოსლავესკებმა და ხიტროვოებმა, რომლებიც ნიკონის დაუძინებელი მტრები იყვნენ. ნიკონს ნაუყენეს ახალი ბრალდებები (საეკლესიო კრების მონაწილე პატრიარქების უდიერად მოხსენიება, საეკლესიო კრების მიერ გამოტანილი განაჩენის უსამართლოდ მიჩნევა, პატრიარქობიდან გადაყენების შემდეგაც თავისი თავის პატრიარქად მოხსენება, მის გარშემო მყოფი ადამიანებისადმი სასტიკი მოპყრობა) და კირილეს მონასტერში პატიმრობა მიუსაჯეს. მეფე თევდორე ალექსის ძემ თავის მეფობის დასასრულს (გარდაიცვალა 1682 წელს), მას შემდეგ, რაც სასახლის კარზე მილოსლავესკებისა და ხიტროვოების გავლენა შესუსტდა, გაიხსენა ნიკონი. ტატიანა რომანოვას თხოვნის შემდეგ მეფემ ნიკონის მისთვის საყვარელ აღდგომის მონასტერში დაბრუნების ბრძანება გასცა. ნიკონმა მისივე აგებულ აღდგომის მონასტერში ველარ ჩააღნია. იგი 1681 წელს გზაში, იაროსლავლის ახლოს, გარდაიცვალა. მეფემ, მიუხედავად პატრიარქ იოაკიმეს წინააღმდეგობისა, ბრძანება გასცა პატივაყრილი პატრიარქი, უბრალო ბერი ნიკონი, მღვდელმთავრის პატივით დაეკრძალათ. მეფე თევდორეს თვითონ მიჰქონდა ნიკონის კუბო და განსვენებული სამარემდე მიაცილა. მაღვე მეფემ აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქების წინაშე იშუამდგომლა, რათა ნიკონი

შეეწყალებინათ და მისი სახელი რუსეთის სხვა პატრიარქთა
გვერდით მოეხსენიებინათ.

1666 წელს რუსეთში პრაქტიკულად ორი საეკლესიო კრება
გაიმართა. პირველი საეკლესიო კრება 1666 წლის თებერვალში
გაიხსნა. ამ კრებას მხოლოდ რუსეთის სამღვდელოების ნარმო-
მადგენლები ესწრებოდნენ. კრებამ განიხილა ნიკონის საეკ-
ლესიო რეფორმისა და საეკლესიო განხეთქილების საკითხი.
მეორე საეკლესიო კრება გაიხსნა 1666 წლის დეკემბერში, რო-
მელმაც მუშაობა 1667 წელს დაასრულა. ამ კრებას, როგორც
აღვნიშნეთ, ესწრებოდნენ იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრი-
არქები. კრებამ პირველ რიგში განიხილა ნიკონის პატრიარ-
ქობიდან გადაყენების საკითხი, ხოლო შემდეგ რუსეთის ეკლე-
სიისათვის ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი.

პატრიარქ ნიკონის საეკლესიო რეფორმამ დიდი წინააღ-
მდეგობა წარმოშვა. სამღვდელოება და მრევლი გაიყო ძველი და
ახალი რწმენის მიმდევრებად. ყოველივე ამას შეიძლებოდა
რუსეთის სახელმწიფო და ეკლესია დიდ განსაცდელში ჩაეგდო.
1666 წლის დეკემბერში შეკრებილი, თავის შემადგენლობით
ძალზე ავტორიტეტული, საეკლესიო კრება ამას ცხადად გრძ-
ნობდა და საეკლესიო განხეთქილების დაძლევის გზებს ეძი-
ებდა. საეკლესიო კრებამ, მართალია ნიკონი პატრიარქობიდან
გადააყენა, მაგრამ ნიკონის მიერ ჩაფიქრებული და განხორ-
ციელებულ საეკლესიო რეფორმას მხარი დაუჭირა: პირველი.
საეკლესიო კრებამ სწორად მიიჩნია ნიკონის შეხედულება
სახელმწიფოში ეკლესიის როლის შესახებ; მეორე. საეკლესიო
კრებამ სწორად მიიჩნია ნიკონის უარყოფითი დამოკიდებულება
სამონასტრო პრივაზისადმი; მესამე. საეკლესიო კრებამ დაა-
დასტურა ნიკონის შეხედულება იმის თაობაზე, რომ ეკლესია
სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია და საერო სამართალი
ეკლესიას არ შეიძლებოდა შეხებოდა, სასულიერო პირი არ
შეიძლებოდა საერო სასამართლოს გაესამართლებინა. ეს ეხე-
ბოდა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებს.
სასულიერო პირი უნდა გაესამართლებინა ეპარქიის მღვდელ-
მთავრის სასამართლოს; მეოთხე. საეკლესიო კრებამ პრაქტი-
კულად დაადასტურა ნიკონის შეხედულება იმისა თაობაზე, რომ
რუსეთში სუსტი იყო საეკლესიო ხელისუფლება და აუცილე-
ბელი იყო მისი გაძლიერება. საეკლესიო კრებამ ამავე დროს

მიუღებლად მიიჩნია პატრიარქის მიერ „დიდი ხელმწიფის“ ტი-
ტულის ტარება და საერო საქმეებში პატრიარქის ჩარევა.
საეკლესიო კრებამ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტი-
ლებები:

1. აუცილებლად იქნა მიჩნეული სამღვდელოების განათლე-
ბისათვის ზრუნვა,

2. დიდი სიმკაცრით უნდა შერჩეულიყო ხელდასასხმელი
სასულიერო პირი,

3. სასულიერო პირებს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოთ
შვილების აღზრდისა და განათლებისათვის,

4. საეკლესიო კრებამ მკაცრად დაგმო ეკლესიაში ფეხმო-
კიდებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ თითქოს საეკლესიო
ქონება სამღვდელოების კერძო საეუთრება იყო,

5. სამღვდელოების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით საეკ-
ლესიო კრებამ აუცილებლლად მიიჩნია:

ა) სამღვდელოება შემოსილი უნდა ყოფილიყო ლაზათიანად,

ბ) სამღვდელოებას მონაწილეობა არ უნდა მიეღო აღვი-
რახსნილ ღრეობაში (ლოთობაში) გადაზრდილ ქორწილებში,

გ) სამღვდელოებას ეკრძალებოდა ბილნისტყვაობა,

დ) სამღვდელოებას მონაწილეობა არ უნდა მიეღო ვაჭრო-
ბასა და რენვაში,

ე) სამღვდელოებას ეკრძალებოდა მაწანწალის მსგავსი
ცხოვრება, ერთი ადგილიდან მეორე ადგილს გადასვლა, რად-
გან მოხეტიალე სამღვდელოება შემჩნეული იყო არაკანონიკურ
ღვთისმსახურებასა და საეკლესიო განხეთქილების წახალი-
სებაში,

ვ) მოხეტიალე სამღვდელოებას ნება დაერთო ღვთის-
მსახურება ენარმოებინა ერთ რომელიმე ეკლესიაში და ამ-
დენად უარი ეთქვა მოხეტიალე ცხოვრებაზე,

6. საეკლესიო კრებამ ზომები მიიღო ბერ-მონაზონთა რაო-
დენობის ზრდის შესაჩერებლად. აიკრძალა ზარმაცებისა და
უქნარების აღვეცა. მამაკაცი, რომ ბერად აღვეცილიყო აუცი-
ლებელი იყო საეკლესიო ხელისუფლებისა და მეუღლის (ცოლის)
ნებართვა. ქალის მონაზონად აღვეცისათვის აუცილებელი იყო
საეკლესიო ხელისუფლებისა და ქმრის ნებართვა. აიკრძალა
აღვეცა ეკლესისა და მონასტრის გარეთ, თუნდაც აღვეცის
მთხოვნელი მძიმე ავადმყოფი ყოფილიყო,

7. აიკრძალა აღსაკვეცელის მიერ ეკლესიისა და მონასტრისათვის მისი კუთვნილი მამულის შენირვა,
8. აღკვეცილს აღარ ჰქონდა მამულის ფლობის უფლება,
9. აიკრძალა აღკვეცის საფასურად შესანირავის გაღება,
10. დადგინდა მეაცრი წესები მოხეტიალე ბერებისა და მონაზვნებისათვის, აიკრძალა მოხეტიალე ბერებისა და მონაზვნების ცხოვრება საერო პირებთან ერთ ჭერქვეშ, ლოთობა და ა.შ.

1666-1667 წლების საეკლესიო კრებებმა ძირეულად შეცვალეს რუსეთის ეკლესიის ცხოვრება.

ეკლესიის მიმართ სახელმწფო (საერთო) ხელისუფლების მიერ 1666-1667 წლების საეკლესიო კრებებზე გაკეთებული დათმობები მნიშვნელოვანნილად განაპირობა 1667 წელს საეკლესიო კრების მიერ არჩეული მოსკოვის (რუსეთის) ახალი პატრიარქის იოასაფ II-ის პიროვნებამ. პატრიარქი იოასაფ II იყო პატრიარქ ნიკონის სრული ანტიპოდი – თავმდაბალი, უკონფლიქტო, შემწყნარებელი ადამიანი. პატრიარქობის ხუთი წლის განმავლობაში მუდამ კარგი ურთიერთობა ჰქონდა მეფესთან, სამეფო ხელისუფლებისაგან იმ დადგენილებების შესრულების თანხმობით ეკლესიის სასარგებლოდ 1666-1667 წლების საეკლესიო კრებებზე იქნა მიღებული. ასევე მშვიდად ჩაიარა შემდეგი პატრიარქის – პიტირიმის ათოვიანმა მმართველობამ (გარდაიცვალა 1673 წელს). რუსეთის ეკლესიაში ვითარება კვლავ დაიძაბა ნიკონის შემდეგ მესამე პატრიარქის – იოაკიმეს მმართველობის წლებში. პატრიარქი იოაკიმე იყო ძლიერი ხასიათის მქონე ენერგიული პიროვნება, ჰქონდა ადმინისტრაციული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ტალანტი. პატრიარქი ცნობილი იყო როგორც მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი.

პატრიარქი იოაკიმე აზნაურთა წოდებიდან იყო, იგი ბერად 1655 წელს აღიკვეცა, ცხოვრობდა კიევის ახლოს მეუიგორსკის მონასტერში. იოაკიმე მეუიგორსკის მონასტრიდან პატრიარქმა ნიკონმა გადაიყვანა ივერიის მონასტერში. 1664 წლიდან არქიმანდრიტი იოაკიმე ჩუდის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა, ხოლო 1673 წელს ნოვგოროდის მიტროპოლიტი გახდა. 1674 წელს მიტროპოლიტი იოაკიმე მოსკოვის (რუსეთის) პატრიარქად აირჩიეს. პატრიარქ იოაკიმეს დროს ძველი და ახალი რწმენის მიმდევართა შორის დაპირისპირება ისევ გამ-

წვავდა, რასაც ძველი რწმენის მიმდევართა (სტაროვერთა) დევნის გაძლიერება მოჰყვა.

1666-1667 წლების საერთო კრებებმა საეკლესიო ორფორმის მოწინააღმდეგები ანათემას გადასცა. რეფორმის მოწინააღმდეგებს 1649 წლის ძეგლისდების შესაბამისი მუხლის მიხედვით ასამართლებდნენ, ძეგლისდება კი ღვთისმგმობელთა კოცონზე დაწვას ითვალისწინებდა. სულ მაღლე კოცონზე დაწვეს ძველი რწმენის მრავალი მიმდევარი. 1682 წელს კოცონზე დაწვეს დეკანოზი აბაკუმიც.

1666-1667 წლების საეკლესიო კრებების შემდეგ უთანხმოება საეკლესიო რეფორმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის მორწმუნეთა ფართო მასებში გადავიდა და მრევლიც ორად გაიყო. მართალია, 1666 წელს ნიკონი პატრიარქობიდან გადააყენეს, მაგრამ მეფე ალექსის საეკლესიო რეფორმის გატარება არ შეუწყვეტია. რუსეთში ძველი რწმენის დამცველებს – „სტაროვერებს“ („სტარობრიადელებს“) დიდი სიმკაცრით ეპროდნენ. ეს კარგად ჩანს 1674-1676 წლებში სოლოვეცის მონასტერში დატრიალებული ამბებიდან. მონასტრის ბერებმა სასტიკი ნინააღმდევობა გაუზიეს საეკლესიო რეფორმას – არ მიიღეს პატრიარქ ნიკონის მიერ შესწორებული საეკლესიო წიგნები. მეფის მიერ გაგზავნილმა ჯარმა ალყა შემოარტყა მონასტერს, მაგრამ ბერებმა ძლიერი გალავნის წყალობით ჯარი მონასტერში არ შეუშვეს. დაიწყო მონასტრის ალყა. მონასტრის ბერებმა დაადგინეს ლოცვებში მეფე ალექსის სახელი აღარ მოეხსენიებინათ. მეფის ჯარი ალბათ მონასტერს დიდხანს ვერ აიღებდა, რომ არა ღალატი. მოღალატემ ჯარი მონასტერში საიდუმლო გვირაბით შეიყვანა. დაიწყო ხოცვა-შლეტა. 500 ბერიდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 60. სტაროვერების დარბევები მთელს რუსეთში მიმდინარეობდა.

საბოლოოდ საეკლესიო რეფორმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შერიგება ვერ მოხერხდა. რუსეთში პატრიარქობა ისე გაუქმდა (1700 წ.), რომ რუსეთის ეკლესიაში ერთიანობა აღდგენილი არ ყოფილა.

პატრიარქ ნიკონის (1652-1662) მოღვაწეობას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და რუსეთის სახელმწიფოსათვის. მართალია ნიკონი პატრიარქობიდან გადააყენეს, მაგრამ

ეს პოლიტიკური დაპირისპირების შედეგი იყო და ნიკონის, როგორც დიდი საეკლესიო მოღვაწის, მარცხენა სულაც არ ნიშნავდა. პატრიარქ ნიკონის შეურიგებულია მოწინააღმდეგებმა (მეფემ, საეკლესიო იერარქებმა და ბოიარებმა) ნიკონის მიერ დაწყებული საეკლესიო რეფორმა, რუსეთის ეკლესიის მოწყობის მისეული გეგმა ბოლომდე მიიყვანეს და ამით ცხადად დაადასტურეს თუ ვის მხარეზე იყო სიმართლე.

ଟୀବି ରାଜ୍ୟ

პეტრე დიდის სახელმწიფო რეზონა (1700-1721)

პეტრე დიდის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ძირეულად შესცვალა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. პეტრე დიდმა საფუძველი ჩაუ-ყარა ზესახელმწიფოს, რომლის არსებობის წესად იქცა ექსპენსია მეზობელი ერებისა და სახელმწიფოების მი-მართ, როგორც ევროპაში ისე აზიაში. პეტრე დიდმა შეპ-ქმნა უზარმაზარი არმია და ძლიერი სამხედრო ფლოტი, რომლის მიზანს ექსპენსიური პოლიტიკის ნარმოება შეადგენდა. რუსული ისტორიოგრაფია დღემდე ცდილობს პეტრე დიდი ნარმოად-გინოს რუსეთის სახელმწიფოს, რუსული სამყაროს ევრო-პეიზაციის იდეოლოგიად და პრაქტიკულ განმახორციელებ-ლად. სინამდვილეში პეტრე დიდს მსგავსი რამ აზრადაც არ მოსვლია. მის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად რუსე-თი განვითარების ევროპულ გზას არ დასდგომია, რუ-სეთში არ დამკვიდრებულა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სის-ტემა. პეტრე დიდი რუსეთს განაგებდა როგორც ტიპი-ური აზიელი დესპოტი და დასავლეთ ევროპის მეფეებსა და იმპერატორებზე მეტად როგორც სახელმწიფო მოლ-ვანე ირანის შაჰებსა და ოსმალეთის სულთნებს ემს-გავსებოდა. ყოველივე ეს ცხადად დადასტურდა პეტრე დიდის დამოკიდებულებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესი-ისადმი და იმ საეკლესიო რეფორმით, რომელიც რუსეთში 1700-1721 წლებში გატარდა.

პეტრე I-ის რეფორმებს რუსეთის სხვადასხვა სოციალურ ფენებში სერიოზული მოწინააღმდეგები გაუჩინდნენ. რეფორ-

მებს მონინაალმდეგები ჰყავდა ეკლესიაშიც. რეფორმების მონინაალმდეგე საერო და საეკლესიო ელიტას სხვადასხვა მიზანი ჰქონდა. საერო ელიტას პოლიტიკური ძალაუფლების და კარგვისა და ეკონომიკური დაუძლურების შიში ამოძრავებდა, ხოლო საეკლესიო ელიტა რუსული სამყაროს, ტრადიციული რუსული სულიერი ღირებულებების ნგრევისაგან მომდინარე მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას ცდილობდა. რუსეთის პატრიარქი ადრიანი (1690-1700) არ მაღავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას იმ ექსპერიმენტებისადმი, რომელსაც პეტრე I ატარებდა მეფობის დასაწყისში. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის საეკლესიო ელიტის ნაწილი ლოუალურად იყო განწყობილი პეტრე I-ის რეფორმატორული მოღვაწეობისადმი. რეფორმებს მხარს უჭერდნენ: პატრიარქი იოაკიმე (გარდაიცვალა 1690 წ.), ხოლმოგორის არქიეპისკოპოსი ათანასე, ვორონეჟის ეპისკოპოსი მიტროფანე, ყაზანის მიტროპოლიტი ტიხონი, ნოვგოროდის მიტროპოლიტი იობი, რიაზანის მიტროპოლიტი სტეფანე და სხვა იერარქები.

საინტერესოა თვით პეტრე I-ის ეკლესიურობის საკითხი. პეტრე I აღზრდილი იყო ძველი რუსული ტრადიციის მიხედვით. ცნობილია, რომ პეტრე ხშირად კითხულობდა წმიდა წერილს, კარგად ერკვეოდა ღვთისმსახურებაში, უყვარდა საეკლესიო გალობა. პეტრე I-ის მიერ ხელმოწერილ ბევრ სახელმწიფო დოკუმენტში ვხვდებით უმნიშვნელოვანესი პრობლემების ეკლესიურ გააზრებას. მიუხედავად ამისა, პეტრე I საჭიროდ არ თვლიდა მის მიერ ჩაფიქრებული რეფორმების ეკლესიური თვალსაზრისით შეფასებას. პეტრე I-ის დამოკიდებულება მართლმადიდებელი რელიგიისადმი კარგად სჩანს ორი მაგალითიდან. დასავლეთ ევროპაში მოგზაურობისას პეტრე I-ს საუბარი ჰქონდა ფრანგ კათოლიკე ღვთისმეტყველებთან. საუბრისას კათოლიკე ღვთისმეტყველებმა განაცხადეს, რომ კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამის საპასუხოდ პეტრე I-მა ხაზი გაუსვა რომის პაპის პრიმატისა და ფილიოკვეს პრობლემის თაობაზე მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შორის არსებულ უთანხმოებას. ამასთან ერთად მან აღნიშნა, რომ მისი, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის, საქმე არ იყო მართ-

ლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების გაერთიანების საკითხის გადაჭრა. პეტრე I-მა შესაძლებლად მიიჩნია ამ საკითხზე ემსჯელათ სორბონის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველებს და რუს ეპისკოპოსებს. ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსებმა პეტრე I-ს მიმართავს თხოვნით ხელი შეეწყო ანგლიკანური და მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანებისათვის. პეტრე I მიესალმა ამ ინიციატივას, ოღონდ მისი მოგვარება ეკლესიების ავტორიტეტების საქმედ მიიჩნია.

რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა პეტრე დიდი როცა საეკლესიო რეფორმის გატარება გადაწყვიტა? რეფორმას არ პქონია რაიმე ეკლესიური (თეოლოგიური) საფუძველი, იგი სახელმწიფო (საერო) პოლიტიკით იყო გაპირობებული. პირველი. რუსი ხალხი, მისი ყველა სოციალური ფენა პატრიარქში ხედავდა მეორე მეფეს (ხელმწიფეს) და კიდევ უფრო დიდსაც. პეტრე I-ს ეშინოდა, რომ პატრიარქთან დაპირისპირებისას მარტო არ დარჩენილიყო, მხარდაჭერა არ დაეკარგა. მეორე. პეტრე I-ს ეშინოდა, რომ პატრიარქი არ აღმოჩენილიყო რეფორმებით უკმაყოფილო ძალების სათავეში, მის გარშემო არ დარაზმულიყო ოპოზიციური განწყობილი საერო და საეკლესიო ელიტა, ეკლესიის მრევლი.

პეტრე I-ის შიში საფუძველს მოკლებული არ იყო. ახალგაზრდა მეფეს კარგად უნდა სცოდნოდა იმ კონფლიქტის ისტორია, რომელიც მამამისს, მეფე ალექსი მიხეილის ძესა (1645-1676) და პატრიარქ ნიკონს (1652-1662) შორის დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა. პატრიარქი ნიკონი საჯაროდ აცხადებდა, რომ საეკლესიო ხელისუფლებას უდავო პრიორიტეტი აქვს სახელმწიფო (სამეფო) ხელისუფლებაზე. პეტრე I-ს ამინებდა ის, რომ მისი თანამედროვე პატრიარქი ადრიანი შეიძლებოდა პატრიარქ ნიკონის გზას დასდგომოდა.

პეტრე დიდის საეკლესიო რეფორმის სახელმწიფოებრივ (საერო) მიზნებზე მეტყველებს ისიც, რომ რეფორმა არ ეხებოდა თეოლოგიურ-საღვთისმეტყველო საკითხებს. პეტრე I-ს სურდა: პირველი. თავიდან აეცილებინა საეკლესიო ელიტის დაპირისპირება სახელმწიფო პოლიტიკასთან (რეფორმებთან); მეორე. რეფორმების მონინააღმდეგე საერო ელიტასთან ბრძოლაში პქონდა ეკლესიის მხარდაჭერა; მესამე. რეფორმების პროცესში დაუბრკოლებლად

გამოეყენებინა ეკლესიის განკარგულებაში არსებული ფინან-
სები, მატერიალური და ადამიანთა რესურსები.

მეფობის პირველ წლებში პეტრე დიდი მოსკოვის გერმა-
ნელთა კოლონიის (დასახლების) ხშირი სტუმარი იყო. პეტ-
რე I-მა ბევრი რამ ისნავლა გერმანელებისაგან. აქვე მან ყურად-
ღება მიაქცია პროტესტანტული თემის საეკლესიო მართვე-
ლობის კოლეგიალურ ფორმას. ალბათ გერმანელთაგან შეიტ-
ყო პეტრე დიდმა რეფორმაციის შემდგომი პერიოდის ევროპის
ქვეყნების ეკლესიების (კათოლიკურის, ლუთერანულის, პრო-
ტესტანტულის, აგლიკანურის) ორგანიზაციის შესახებ. ამავე
საკითხით პეტრე I დაინტერესდა ევროპის ქვეყნებში (გერ-
მანია, პოლანდია, ინგლისი) მოგზაურობის დროს. გაერკვა რე-
ფორმაციის, ლუთერანობის, ანგლიკანიზმის, პროტეს-
ტანტიზმის არსში, საგანგებოდ შეისწავლა ცნობილი ღვთის-
მეტყველებისა და იურისტების ნაშრომები. პეტრე დიდი სა-
ფუძვლიანად ერკვეოდა მარტინ ლუთერის საეკლესიო
რეფორმის არსში, არ მაღავდა თავის დადებით დამო-
კიდებულებას მარტინ ლუთერის სწავლებისადმი.

1700 წლის 15 ოქტომბერს გარდაიცვალა რუსეთის პატრი-
არქი ადრიანი. ამ დროისათვის პეტრე I-ს უკვე განსაზღვრული
ჰქონდა საეკლესიო რეფორმის ძირითადი მიმართულებანი. ცხა-
დია, საეკლესიო რეფორმას პეტრე დიდი ვერ გაატარებდა
თვით ეკლესიის მხარდაჭერის გარეშე. პირველ რიგში პეტრე
დიდს ესაჭიროებოდა თუნდაც ერთი დიდი საეკლესიო იერარქის
(მიტროპოლიტის, არქიეპისკოპოსის, ეპისკოპოსის) აშკარა და
აქტიური მხარდაჭერა. ასეთი მხარდაჭერი კი 1700 წლისათვის
პეტრე I-ს არ ჰყავდა.

პატრიარქ ადრიანის გარდაცვალების (1700 წ.) შემდეგ პეტ-
რე I-მა ვერ გაბედა საეკლესიო კრების მოწვევა. მეფემ
პატრიარქის მოვალეობის შესრულება დაავალა რიაზანისა და
მურომის მიტროპოლიტს სტეფანეს (იავორსკის). პეტრე I-ის
ნების თანახმად, მიტროპოლიტმა სტეფანემ მიიღო ტიტული:

„უნმიდესი საპატრიარქო ტახტის ეგზარქოსი, მონაცევლე, ადმინისტრატორი და აკადემიის პროტექტორი“

მიტროპოლიტი სტეფანე თავდაპირველად აქტიურად უჭერდა მხარს პეტრე I-ის რეფორმებს. ამასთან ერთად იგი არ იზიარებდა საეკლესიო რეფორმის პრინციპებს და მალე საეკლესიო რეფორმის მოწინააღმდეგე იერარქების ლიდერის გახდა. მიუხედავად ამ მარცხისა, პეტრე დიდმა მალე იპოვა თანამოაზრე. ეს იყო კიევში მოღვაწე ილუმენი თეოფილე (პროკოპოვიჩი). 1716 წელს პეტრე I-მა ილუმენი თეოფილე კიევიდან პეტერბურგში ჩაიყვანა. 1718 წელს ილუმენი თეოფილე ფსკოვის ეპისკოპოსად აკურთხეს (პეტრე I-ის ნების თანახმად ახლადნაკურთხი ეპისკოპოსის რეზიდენცია პეტერბურგში უნდა ყოფილიყო), ხოლო 1720 წელს არქიეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს. ეპისკოპოსი თეოფილე პეტრე I-ის საეკლესიო რეფორმის აქტიურ მხარდამჭერად იქცა.

1718 წლის დეკემბრიდან ეპისკოპოსი თეოფილე უკვე მუშაობდა სასულიერო კოლეგიის პროექტზე. სასულიერო კოლეგიის პროექტ-რეგლამენტი (წესდება) 1720 წლის 11 თებერვალს განიხილა და შეასწორა პეტრე I-მა. 1720 წლის თებერვლის დამლევს პროექტ-რეგლამენტი განიხილა პეტერბურგში შეკრებილმა საეკლესიო იერარქების კრებამ. სასულიერო კოლეგიის პროექტ-რეგლამენტი (წესდება) მოიწონეს და კოლეგიის შექმნას მხარი დაუჭირეს: რიაზანის მიტროპოლიტმა სტეფანემ (იავორსკიმ), სმოლენსკის მიტროპოლიტმა სილვესტრმა (ხოლმსკიმ), ნიჟნი ნოვგოროდის არქიეპისკოპოსმა პიტიონიმმა (პოტიომკინმა), ტვერის ეპისკოპოსმა ვარლამმა (კოსოვსკიმ), კარელის ეპისკოპოსმა აარონმა (ეროპკინმა), ფსკოვის ეპისკოპოსმა თეოფილემ (პროკოპოვიჩმა). ამის შემდეგ პროექტი-რეგლამენტი (წესდება) განიხილა და მოიწნა სენატმა. 1720 წლის 27 თებერვალს პეტრე დიდის ნინადადებით სასულიერო კოლეგიის პროექტ-რეგლამენტის (წესდების) ორი ეგზემპლარი ხელმოწერილი იქნა საეკლესიო იერარქებისა და სენატის წევრების მიერ.

სასულიერო კოლეგიის დაარსების საკითხი არ განუხილავს რუსეთის საეკლესიო კრებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი დაარსება უკანონო იყო. პეტერბურგში გამართული საეკლესიო იერარქების კრება ვერ შეცვლიდა საეკლესიო კრე-

ბას, ხოლო სენატი სახელმწიფო (საერო) ხელისუფლების ორგანო იყო და მის კომპეტენციაში არ შედიოდა რუსეთის ეკლესიის მმართველობის ფორმის განსაზღვრა, მით უფრო მმართველი ორგანოს შექმნა. ყოველივე ეს კარგად ესმოდა პეტრე დიდსაც. ამიტომ იყო, რომ სენატმა პოდპოლკოვნიკ სემიონ დავიდოვს და ზლატოუსტის მონასტრის არქიმანდრიტს ანტონს დაავალა სასულიერო კოლეგიის პროექტ-რეგლამენტზე (წესდებაზე) ხელი მოეწერინებინათ რუსეთის ეკლესიის სხვა იერარქებისათვისაც. ხელმოწერების შეგროვება შვიდი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა (სიშორის გამო ხელი ვერ მოაწერინეს ტობოლსკის ეპისკოპოსს). სულ სასულიერო კოლეგიის პროექტ-რეგლამენტს (წესდებას) ხელი მოაწერა 19 მიტროპოლიტმა, არქიეპისკოპოსმა და ეპისკოპოსმა, ასევე სხვადასხვა ნოდებისა და ხარისხის მქონე 68 სასულიერო პირმა. 1721 წლის 25 იანვარს გამოიცა პეტრე დიდი მანიფესტი სასულიერო კოლეგიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. 26 იანვარს სენატმა დაამტკიცა სასულიერო კოლეგიის შემადგენლობა: პრეზიდენტი – რიაზანის მიტროპოლიტი სტეფანე, ვიცე-პრეზიდენტები – ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი თეოდოსი, ფსკოვის არქიეპისკოპოსი თეოფილე. სასულიერო კოლეგიაში ასესორებისა და სხვა თანამდებობები დაიკავეს შავი და თეთრი სამღვდელოების ნარმომადგენლებმა. 1721 წლის 25 იანვრიდან 14 თებერვლამდე სასულიერო კოლეგიის წევრები სენატში გამოცხადნენ და ფიცი დადეს.

1721 წელსვე სასულიერო კოლეგია გარდაიქმნა უწმიდეს მმართველ სინოდად, რომელიც უშუალოდ მეფეს (1721 წლის 25 ოქტომბრიდან იმპერატორს) ექვემდებარებოდა. სინოდის წევრები ფიცს სდებდნენ არა ეკლესიის, არამედ იმპერატორის ერთგულებაზე, ე. ი. პრაქტიკულად საეკლესიო იერარქები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) გაუთანაბრეს საერო (სახელმწიფო) მოხელეებს. ფიცის ტექსტი, მხოლოდ 1901 წელს, ე. ი. 180 წლის შემდეგ შეიცვალა.

იმპერატორის უზენაესი როლი რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგებაში სავსებით ნათლად იყო გამოკვეთილი რუსეთის იმპერიის კანონმდებლობაში. 1832 წელს გამოცემული „რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონების“ ორმოცდამეორე მუხლში აღნიშნულია: „იმპერატორი, როგორც ქრისტიანი

ხელმწიფე“ არის ქრისტიანობის, მისი დოგმატებისა და ეკლესიის უზენაესი დამცველი. იმავე მუხლის ძალით იმპერატორი იწოდებოდა „ეკლესიის მეთაურად“. ორმოცდამესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ იმპერატორი (თვითმპურობელი) ეკლესიის მართვას ახორციელებდა უნმიდესი მმართველი სინოდისა და მისი დაწესებულებების მეშვეობით.

სასულიერო კოლეგიის (უნმიდესი მმართველი სინოდის) მოღვაწეობა დაიწყო 1721 წლის 14 თებერვალს. პეტერბურგში. სამების ტაძარში ლოცვის შემდეგ სასულიერო კოლეგიის წევრები შეიკრიბნენ მათვის გამოყოფილ რეზიდენციაში (გენერალ-ლეიტენანტ რ. ბრიუსის კუთვნილ ხის სახლში). სხდომას ესწრებოდა იმპერატორი პეტრე დიდი. საეკლესიო იერარქებმა იმპერატორს დაუსვეს კითხვა: როგორ უნდა მოვიხსენიოთ ლოცვის დროს უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება? „კოლეგიის“ მოხსენიება იერარქებმა შეუძლებლად მიიჩნიეს. პეტრე დიდი დასთანხმდა, რომ ლოცვის დროს უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება ასე მოეხსენიებინათ: „უნმიდესი სინოდი ან უნმიდესი მმართველი სინოდი“. ასე შეეცვალა სახელწოდება სასულიერო კოლეგიას და ეწოდა „უნმიდესი მმართველი სინოდი“.

სხდომაზე მეორე საკითხად განხილული იქნა დამოკიდებულება სენატსა და სინოდს შორის. სინოდის წევრი საეკლესიო იერარქები სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ იმისა, რომ იმპერატორის გარდა სინოდი ვინმეს დაქვემდებარებოდა. პეტრე დიდმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: სენატი და სინოდი თანაბარუფლებიან ორგანოებს წარმოადგენდნენ. სამაგიეროდ, სინოდის წევრი საეკლესიო იერარქები დაეთანხმენ იმას, რომ სინოდი იყო სახელმწიფო ორგანო და მოქმედებდა იმპერატორის ბრძანებების თანახმად. 1721 წლიდან ორასი წლის განმავლობაში უნმიდესი მმართველი სინოდი მოქმედებდა „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანების თანახმად“.

1721 წლის 14 თებერვალსვე, უნმიდესი მმართველი სინოდის დაარსების დღესვე, დაისვა საკითხი: დვოთისმსახურების დროს რუსეთის ეკლესიას უნდა მოეხსენიებინა თუ არა აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქები. სინოდის პრეზიდენტი მიტროპოლიტი თეოფილე ესწრაფოდა იმას,

რომ რუსეთის ეკლესიის მრევლს რაც შეიძლება მაღლე დაეკინებებინა თვით სიტყვა „პატრიარქი“. გამომდინარე აქედან იგრძნინაალმდეგი იყო დვთისმსახურების დროს აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქების მოხსენიებისა. აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქები მოხსენიებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთ შემთხვევაში – როცა სინოდის პრეზიდენტი (შემდგომში: სინოდის უპირველესი წევრი) პეტერბურგის ჯვრის სინოდალურ ტაძარში საღვთო ლიტურგიას აღასრულებდა.

1721 წლის 21 სექტემბერს პეტრე დიდმა წერილით მიმართა კონსტანტინეპოლის პატრიარქს, რათა მას ეცნო რუსეთის ეკლესიის უწმიდესი მმართველი სინოდი. 1723 წლის 23 სექტემბერს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იერემიამ სცნო რუსეთის ეკლესიის უწმიდესი მმართველი სინოდი. იმავდროულად სინოდი სცნო ანტიოქიის პატრიარქმა ათანასემ.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უწმიდესი მმართველი სინოდი 1721 წლიდან 1917 წლამდე განაგებდა. ორი საუკუნეზე მეტი (1700-1917 წნ.) რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყოლია.



თავი მეცნერი

რუსეთის ეკლესიის უნიტარესი სიცოდი 1725-1801
ნლეგვი

პეტრე დიდის გარდაცვალების (1725 წლის იანვარი) შემდეგ რუსეთის იმპერიის ტახტზე მოკალათებული მედროვეების ხელში ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამ გავლენა იქონია რუსეთის ეკლესიის უნიტარეს სინოდზეც. მედროვეთა ეპოქის პირველი მსხვერპლი გახდა უნიტარესი სინოდის ვიცე-პრეზიდენტი, ნოვგოროდის მიტროპოლიტი თეოდოსი.

პეტრე დიდის გარდაცვალების შემდეგ მიტროპოლიტი თეოდოსი სულ უფრო აშკარად ილაშქრებდა პეტრე დიდის საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ. თეოდოსი ამტკიცებდა, რომ რეფორმის შედეგად დაკინინდა ეკლესიის როლი სახელმწიფოში, შეილახა საეკლესიო იერარქების (მიტროპოლიტების, არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების) უფლებები, გაღატაკდა მონასტრები და ა. შ. თეოდოსი პეტრე დიდის საეკლესიო პოლიტიკას ივანე IV მრისხანის საეკლესიო პოლიტიკას ადარებდა. ამავე დროს თეოდოსი არ ერიდებოდა იმპერატორ ეკატერინე I-ისა (1725-1727) და მის ფავორიტის, ყოვლისშემძლე თავადის ალექსანდრე მენშიკოვის მხილებას. 1725 წელს მიტროპოლიტი თეოდოსი დააპატიმრეს, გაასამართლეს და კარელის მონასტრეში გამოკეტეს. ცივ საკანში ხუთი თვის ტანჯვის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ ნოვგოროდის მიტროპოლიტი და უნიტარესი სინოდის უპირველესი ნევრი გახდა თეოდოსი. იმავდროულად უნიტარესი, სინოდის მეორე ნევრად დანიშნული იქნა მიტროპოლიტ თეოფანისათვის ძალზე არასასურველი პიროვნება – თეოფანეს ლოპატინსკი). მალე

იმპერატორმა ეკატერინე I-მა ძველი ბოიარული საგვარეულო-ების გულის მოგების მიზნით, უნმიდესი სინოდის მესამე წევრად დანიშნა როსტოკის არქიეპისკოპოსი გიორგი (დაშვილი) უნმიდესი სინოდის წევრი გახდა აგრეთვე არქიმანდრიტი ლევი (იურლოვი). ამ დანიშვნების შემდეგ უნმიდეს სინოდში ერთ-სულოვნება დაიკარგა. სინოდი ორად გაიყო, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მიტროპოლიტ თეოფანისა და არქიეპისკოპოს გიორგის მომხრები. 1726 წელს უნმიდესი სინოდი ოფიციალურად გაიყო ორ აპარტამენტად – სასულიერო აპარტამენტად და იერარქთა აპარტამენტად. უნმიდეს სინოდში შეიქმნა ეკონომიკური კოლეგია, რომელიც ხუთი საერო პირისაგან შედგებოდა. ეკონომიკური კოლეგია განაგებდა საეკლესიო ქონებას (მამულებს და სხვ.). ეკონომიკური კოლეგია უნმიდეს სინოდს არ ექვემდებარებოდა და მის ზემდგომ ორგანოდ სენატი ითვლებოდა. უნმიდესი სინოდის ასეთი რეორგანიზაციის შემდეგ შეიცვალა მისი სახელწოდებაც. ამიერიდან უნმიდესი სინოდი იწოდებოდა სასულიერო სინოდად.

სასულიერო სინოდის პირველი აპარტამენტში მხოლოდ საეკლესიო იერარქები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) შედიოდნენ. სასულიერო სინოდის ყველა წევრი თანასწორი იყო.

იმპერატორ ეკატერინე I-ის დროს გატარებულმა უნმიდესი სინოდის რეფორმამ დააკინა ამ ორგანოს სახელმწიფო-აღმინისტრაციული მნიშვნელობა. უნმიდესი სინოდი, ისევე, როგორც სენატი, მეორეხარისხოვან სახელმწიფო დაწესებულებებად იქცნენ. ეს იმაშიც გამოიხატა, რომ არც ერთ მათგანს აღარ ჰქონდა „მმართველის“ ტიტული. რუსეთის იმპერიაში მთელი ძალაუფლება უზენაესი საიდუმლო საბჭოს ხელში აღმოჩნდა. სინოდი და სენატი მხოლოდ უზენაესი საიდუმლო საბჭოს გადაწყვეტილებებს აღასრულებდნენ.

უნმიდესი სინოდის როლი კიდევ უფრო დაკნინდა მცირენლოვანი პეტრე II-ის (1727-1730) იმპერატორობის დროს. პეტრე II-ის დროს რუსეთის იმპერიის მმართველობა მთლიანად მედროვეების (მენშიკოვის, დოლგორუკოვის) ხელში აღმოჩნდა.

უნმიდესი სინოდის წევრმა, არქიეპისკოპოსმა გიორგი დაშვილმა მოახერხა ლევ იურლოვის ვორონეჟის ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსოდან გადაყვანა, ხოლო მის ნაცვლად

სინოდის წევრად წინათ დევნილი მიტროპოლიტი იგნატი სმოლი დაანიშვნინა (იგნატი სმოლი კოლმენსკოეს მიტროპოლიტიც გახდა). არქიეპისკოპოსმა გიორგი დაშვილმა და მიტროპოლიტმა იგნატი სმოლიმ ერთობლივი ძალით შეუტიეს მიტროპოლიტ თეოფანს. სინოდის გავლენიანი წევრი თეოფილაქტი მართალია გიორგი დაშვილმა ვერ მიიმხრო, მაგრამ თეოფილაქტმა თეოფანი მწვალებლობაში ამხილა. თეოფანის მდგომარეობა შეირყა. თეოფანი მწვალებლობაში ჯერ კიდევ 1726 წელს არქიმანდრიტმა მარკელ (როდიშველი) ამხილა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია – თეოფანმა თავისი სიმრავლე დაამტკიცა. 1728 წელს თეოფილაქტის მიერ თეოფანის მხილებას ისევ გამოეხმაურა არქიმანდრიტი მარკელი და თეოფანს კვლავ მწვალებლობა დასდო ბრალად. თეოფანს ბრალი ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ მისი მდგომარეობა მერყევი გახდა.

1730 წლის იავარში მოულოდნელად გარდაიცვალა იმპერატორი პეტრე II. რუსეთის იმპერატორი გახდა პეტრე დიდის ძმის შვილი, კურლანდიის ჰერცოგის ქვრივი ანნა ივანეს ასული (1730-1740). ანნა ივანეს ასულის იმპერატორობის დროს რუსეთს პრაქტიკულად მისი ფავორიტი გერმანელი ბირონი განაგებდა. მედროვე ბირონმა გარს გერმანელები შემოიკრიბა. დაინტყო პეტრე დიდის დროინდელი რუსი სახელმწიფო მოღვაწეებისა და სასულიერო პირების დევნა. საფრთხე დაემუქრა მართლმადიდებლობასაც. ახალი იმპერატორის ტახტზე ასვლისთანავე დაიშალა უზენაესი საიდუმლო საბჭო. მიტროპოლიტ თეოფანის მოწინააღმდეგებებმა ამჯერად დასმენები ანნა ივანეს ასულს მიართვეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ანნა ივანეს ასულის მმართველობის წლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა მართლმადიდებლობის დაცვას. დიდი მნიშვნელობა პოლიტიკურ ბრძოლებს მიენიჭა. თეოფანს კი პოლიტიკურ დაპირისპირებებში გარკვევის დიდი ნიჭი აღმოანჩდა.

უზენაესი საიდუმლო საბჭო დაშლას მალე უწმიდესი სინოდიდან საიდუმლო საბჭოს მომხრე წევრების გამოყვანა მოპყვა. სინოდიდან გაიწვიეს ყველა წევრი გარდა მიტროპოლიტ თეოფანისა. უწმიდესი სინოდის ახალი წევრები გახდნენ იერარქები: ლეონიდ კურტიცკელი, იოაკიმ სუზდალელი და პიტირიმ ნიჟნი ნოვგოროდელი. სამივე იერარქი მიტროპოლიტ

თეოფანის მომხრე და მიმდევარი იყო. ამჯერად ალდგა პეტრე დიდის დროინდელი წესი და უნმიდეს სინოდში შეიყვანეს არქიმანდრიტები და დეკანოზები. უნმიდესი სინოდის ძველი წევრების: ლევ იურლოვის, გიორგი დაშვილის და იგნატი სმოლის მიმართ დაინიშნა ძიება. ისინი დამნაშავედ სცნეს, თანამდებობიდან გადააყენეს და სხვადასხვა მონასტერში გააგზავნეს.

1730 წლიდან უნმიდესი სინოდის მოღვაწეობას მიტროპოლიტი თეოფანი განსაზღვრავდა. თეოფანის ინიციატივით დაიწყო მწვალებლობაში მისი დამსმენების საქმეთა ძიება, ასევე არაკეთილსინდისიერი სასულიერო პირების საქმის ძიება.

მიტროპოლიტი თეოფანი მეგობრობდა იმპერატორ ანნა ივანეს ასულის ფაროვიტებთან – ბირონთან და ოსტიერ-მანთან. იგი მფარველობდა ნიჭიერ ადამიანებს. თეოფანის დიდი მადლიერი იყო მიხეილ ლომონოსოვი.

თეოფანი გარდაიცვალა 1736 წელს. საეკლესიო იერარქების საქმის ძიება მისი გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა. ძიების შედეგად ეპარქიების კათედრები დაკარგეს: დოსითეოზ კურსეკლმა (1736 წ.), ილარიონ ჩერნიგოვეკლმა (1738 წელს), ვარლამ ფსკოველმა (1739 წელს). თეოფანის მწვალებლობაში მამხილებელი თეოფილაქტი მისი საქმის ძიების პროცესში 1738 წელს საიდუმლო კანცელარიაში მოხვდა, სადაც იგი ბევრი აწამეს. საბოლოოდ თეოფილაქტმა თანამდებობა დაკარგა და ვიბორგის ციხეში იქნა გამოკეტილი.

ანნა ივანეს ასულის იმპერატორობის წლებში ბევრი სასულიერო პირი აღმოჩნდა სამონასტრო ციხეებსა და ციმბირის გადასახლებაში. ამ სასულიერო პირთა დიდი ნაწილი საერთოდ უდანაშაულო იყო. ისინი პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი გახდნენ.

ანნა ივანეს ასულისა და მისი გერმანელი ფავორიტების ათწლიანი ბატონობა დასრულდა. 1741 წელს რუსეთის იმპერატორი გახდა პეტრე დიდის ასული ელისაბედ I (1741-1761).

ეკლესიებში ახალ იმპერატორს ადიდებდნენ, როგორც რუსეთისა და მართლმადიდებლობის მხსნელს. სამღვდელობა ელოდა, რომ ელისაბედ I სათანადო ყურადღებას დაუთმობდა იმ მწვალებლობათა აღმოფხვრას, რომელიც ანნა ივანეს ასულის მმართველობის დროს დამკვიდრდა. ელისაბედ I-ის რუსუ-

ლი ხასიათი, სიყვარული და პატივისცემა სამღვდელოებისადმი, რუსული ტრადიციებისადი გერმანელთა პარპაშისაგან. შენუახებულ რუსებს დიდ იმედებს ალუარავდა.

ანა ივანეს ასულისაგან განსხვავებით, ელისაბედ I ლრმადმორნმუნე მართლმადიდებელი იყო. იგი ბევრს მოგზაურობდა ეკლესიებისა და მონასტრების მოლოცვის მიზნით, მეტწილად დადიოდა ფეხით. იმპერატორი ეკლესიებსა და მონასტრებს დიდალ სიმდიდრეს სწირავდა.

ელისაბედ I-ის მოძღვარი დეკანოზი თევდორე დუბიანსკი დიდი გავლენით სარეგბლობდა იმპერატორის კარზე. მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი მფარველი იყო იმპერატორის ფავორიტი ალექსი რაზუმოვსკი. ელისაბედ I-ის მმართველობის პირველ ხანებშივე ციხეებიდან და გადასახლებიდან დააბრუნეს უსამართლოდ დასჯილი სასულიერო პირები. 1742 წელს ელისაბედ I-მა გამოსცა ძალზე მნიშვნელოვანი ბრძანება. სასულიერო პირი, თუნდაც პოლიტიკურ დანაშაულში ყოფილი ყო მხილებული, პირველად უნმიდეს სინოდს უნდა გაესამართლებინა. პეტრე დიდის გარდაცვალების შემდეგ უნმიდესი სინოდი ხან უზენაესი საიდუმლო საბჭოს და ხან მინისტრთა კაპინეტის დაქვემდებარებაში იყო. ელისაბედ I-მა სინოდი პეტრე დიდის დროინდელ უფლებებში აღადგინა.

ელისაბედ I-ის მფარველობით გამნევებულმა უნმიდესი სინოდის წევრებმა, თეოფანის მემკვიდრემ ამბროსი ნოვგოროდელმა და არსენი როსტოველმა იმპერატორს მიართვეს შემდეგი შინაარსის თხოვნა: 1) თუ რუსეთში პატრიარქობის აღდგენა შეუძლებელი იყო, მაშინ უნმიდესი სინოდისათვის დაენიშნა პრეზიდენტი, როგორც საეკლესიო მოხელე; 2) უნმიდესი სინოდის წევრებად დაენიშნათ მხოლოდ სასულიერო პირები: მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები, დეკანოზები; 3) გაუქმებულიყო უნმიდესი სინოდის ობერ-პროკურის თანამდებობა და სინოდის ეკონომიკური კოლეგია, რადგან უნმიდესი სინოდის უმაღლესი საეკლესიო (სასულიერო) ორგანო იყო და მასში საერო პირები არ უნდა ყოფილიყვნენ. იმპერატორმა ელისაბედ I-მა არ ისურვა პეტრე დიდის მიერ დადგენილი წესის დარღვევა. თუმცა ზოგიერთი ცვლილება განახორციელა. მაგალითად, ეკონომიკური კოლეგია უშუალოდ უნმიდეს სინოდს დაექვემდებარა. ობერ-

პროკურორის თანამდებობის გაუქმების ნაცვლად იმპერატორმა უშმიდესი სინოდის ობერ-პროკურორად დანიშნა სახელმწიფო ინტერესებისა და კანონების დაცვით ცნობილი თავადი მ. შა-ხოვსკი.

ელისაბედ I-ის შემდეგ ტახტზე ასულმა, წარმოშობით გერმანელმა, პეტრე III-მ (1761-1762) თავისი წინდაუხედავი და პროგრემანული პოლიტიკის წყალღილი სერიოზული საფრთხე შეუქმნა მართლმადიდებელ ეკლესიას.

ახალი იმპერატორი ეკატერინე II (1762-1796) ეკლესია-სათან მიმართებაში დასავლეთ ევროპის მეფეებს, იმპერატორებსა და პოლიტიკოსებს ბაძავდა. დასავლეთ ევროპაში კი ეკლესიას მიმართ ასეთი მიღომა იყო გაბატონებული: 1) ეკლესია წარმოადგენდა სახელმწიფო დაწესებულებას; 2) ეკლესიაში დაუშვებელი იყო კლერიკალიზმის გამოვლინება; 3) ეკლესია უნდა ყოფილიყო რჯულთშემწყარებელი; 4) სახელმწიფო უნდა ყოფილიყო ყველა რელიგიისადმი ერთნაირად გულგრილი; 5) რომის პაპის ძლიერება უნდა შერყეულიყო, ინკვიზიციის ტრიბუნალები, კლერიკალური სკოლები და სამონასტრო ორდენები უნდა გაუქმებულიყო; 6) მონასტრების რიცხვი უნდა შემცირებულიყო, უნდა მომხდარიყო ეკლესიის საკუთრების (მიწების) საკულარიზაცია.

ეკატერინე II-მ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საეკლესიო ქონებას, პირველ რიგში მიწების, სეკულარიზაციას. 910866 სული მამრობითი სქესის საეკლესიო გლეხი სახელმწიფო გლეხის თანრიგში ჩარიცხეს, რითაც სახელმწიფო ხაზინამ 1366000 მანეთის ოდენობის ყოველწლიური შემოსავალი მიიღო. ამ შემოსავლიდან მხოლოდ მესამედი ხმარდებოდა ეკლესიას.

ეკატერინე II აკრძალა არაქრისტიანი ხალხების ძალით გაქრისტიანება. 1773 წლიდან რჯულთშემწყნარებლობა სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადდა. ჯერ კიდევ იმპერატორმა პეტრე III-მ სტაროვერებს (სტარობრიადელებს) საჯარო ლვ-თისმსახურების უფლება მისცა. ეკატერინა II-მ გააუქმა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან გამოყოფილი რასკოლნიკების ორმაგი დაბეგვრა. ორმაგი დაბეგვრისაგან განთავისუფლდნენ სტარობრიადელებიც.

იმპერატორის ასეთმა პოლიტიკამ დიდი მოწონება დაიმსახურა დასავლეთ ევროპის მონარქთა და პოლიტიკოსთა შორის.

ეკატერინე II-მ გააუქმა უნმიდესი სინოდის ეკონომიკური კოლეგია, რომელიც საეკლესიო ქონებას განაგებდა.

იმპერატორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ უნმიდეს სინოდში, ასევე რუსეთის ეკლესის იერარქთა შორის, სჭარბობდნენ მალოროსები (უკრაინელები). ეკატერინე II-ემ იერარქთა შორის რუსების დაწინაურება გადაწყვიტა და ამის თაობაზე სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა. ეკატერინე II-ის გამეფების დროს უნმიდესი სინოდის უპირველესი წევრი იყო ეროვნებით რუსი ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი დიმიტრი (სეჩენოვი). სინოდის წევრი იყო ასევე არქიმანდრიტი გედეონ (კრინიცესკი), რომელიც ეკატერინე II-მ ფსკოვის ეპისკოპოსად დანიშნა. არქიეპისკოპოს დიმიტრისა და ეპისკოპოს გედეონის მხარდაჭერით მალე უნმიდესი სინოდის წევრები გახდნენ მოსკოვის სასულიერო აკადემიის აღზრდილები: გავრილ პეტროვი (1763 წლიდან ფსკოვის ეპისკოპოსი, 1770 წლიდან პეტერბურგის არქიეპისკოპოსი), პლატონ ლევშინი (1770 წლიდან ტვერის ეპისკოპოსი). 1763 წელს ფსკოვის ეპისკოპოსის გავრილის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა ასევე რუსმა ინოკენტი წეჩავემა. ზემოთ ხსენებული იერარქები გახდნენ ეკატერინე II-ის საეკლესიო პოლიტიკის გამტარებლები. არქიეპისკოპოსმა დიმიტრიმ და ეპისკოპოსმა გედეონმა წარმატებით განახორციელეს საეკლესიო მამულების სეკულარიზაცია; ეპისკოპოსები გავრილი, ინოკენტი და პლატონი იმპერატორის დავალებით მუშაობდნენ სასულიერო; განათლების რეფორმის პროექტზე (ეს პროექტი არ განხორციელებულა).

ეკატერინე II მუდამ ეჭვის თვალით უყურებდა მალოროსიდან გამოსულ საეკლესიო იერარქებს. როსტოვის ეპისკოპოსი არსენი მაცეევიჩი სავკლესიო მამულების სეკულარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას შეენირა. თავისი გადამეტებული სიმკაცრით ცნობილმა მალოროსიელმა იერარქმა ამბროსი ზერტისკიმენსკიმ მართალია მოსკოვის მიტროპოლიტობას მიაღწია, მაგრამ 1771 წელს შავი ჭირის გავრცელებასთან დაკავშირებით დაწყებული არეულობის დროს ბრძომ ჩაქოლა. 1768 წელს სამღვდელოებისა და მრევლის საჩივრის საფუძველზე გადა-

აყენეს მალოროსიელი იერარქი, ტობოლსკის მიტროპოლიტი პავლე კონიუსკევიჩი. ეკატერინე II-ის ტახტზე ასვლის დროს მალოროსიელი ვენიამინ პუცეკა-გრიგოროვიჩი პეტერბურგის არქიეპისკოპოსი იყო. იმპერატორმა იგი დაუყოვნებლივ გადაიყვანა ყაზანში. არქიეპისკოპოსი ვენიამინი ემილიანე პუგაჩივის ამბოხების დროს ხალხს განუმარტავდა, რომ იმპერატორი პეტრე III მკვდარი იყო და მის სახელს თვითმარქვია პუგაჩივი იყო ამოფარებული. მიუხედავად ასეთი დიდი დამსახურებისა, არქიეპისკოპოსი ვენიამინი ცრუ დასმენის საფუძველზე დაპატიმრეს. მოგვიანებით, იმპერატორი მიხვდა, რომ არქიეპისკოპოს ვენიამინს ცილი დასწამეს. ეკატერინე II-მ ვენიამინს მიტროპოლიტობა უბოძა, მაგრამ იგი უკვე მძიმედ იყო ავად და მალე გარდაიცვალა. ეკატერინე II-ის წყალობით მხოლოდ ორი მალოროსიელი იერარქი სარგებლობდა: გიორგი (კონისკი) და სამუილი (მსტისლავსკი).

უნმიდესი სინოდის ობერ-პროკურორებად ინიშნებოდნენ რელიგიასა და ეკლესიაზე მოდური (დასავლეთ ევროპული) შეხედულების მატარებელი ადამიანები. XVIII საუკუნის 60-იან წლებში უნმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი იყო მელისინო. მელისინო ითხოვდა: მარხვის რაოდენობის შემცირებას, წმიდა ხატების თაყვანისცემისა და წმინდანთა ხსენების დღეების შემცირებას, ღვთისმსახურების ხანგრძლივობის შეკვეცას, ბერ-მონაზონთა შესანახი ხარჯების შემცირებას, ბერობის გარეშე ეპისკოპოსად ხელდასხმას, ღვთისმსახურების დროს გარდაცვლილთა ხსენების აკრძალვას, განქორნინების პროცესის გამარტივებას და სხვ. უნმიდესმა სინოდმა მელისინოს პროექტი დაიწუნა. მელისინოს შემდეგ უნმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი იყო ჩებიშევი (1768-1774 წ.). ჩებიშევი ათეიისტური იდეების მატარებელი იყო. იგი ხელს უშლიდა ისეთი თხზულებების გამოცემას, რომელიც ამხელდა მწვალებლობას.

უნმიდესი სინოდის მხარდაჭერით 1782 წელს გაუქმდა სასულიერო უნყებაში არსებული სასამართლო, რომელიც განიხილავდა ღვთისმგმბელთა მიერ დადგენილი საეკლესიო წესების დარღვევის შემთხვევებს, ჯადოქრობაში შემჩნეულთა საქმეებს და ა. შ.

ეკატერინე II უნმიდესი სინოდის წევრების აზრს ანგარიშს არ უნევდა. იმპერატორი სინოდის წევრთაგან მხოლოდ მასთან დაახლოებული მიტროპოლიტ გავრილის აზრს ითვალისწინებდა. სასახლის კარზე დიდი გავლენით სარგებლობდა იმპერატორის მოძღვარი დეკანოზი იოანე პამფილოვი. დეკანოზი იოანე ტიპოური მედროვე იყო. მისი საციცილი ღამე აღმფოთებას იწვევდა უნმიდესი სინოდის წევრთა შორის. 1786 წელს ეკატერინე II-მ დეკანოზ იოანეს, რომელიც თეთრ სამღვდელოებას ეკუთვნიდა, არქიეპისკოპოსობა და მოსკოვის კათედრა უბორა. ამ ფაქტმა რუსეთის მთელი სამღვდელოება აღაშფოთა. არქიეპისკოპოსი იოანე იშვიათად ესწრებოდა უნმიდასი სინოდის სხდომებს, ხოლო ბოლოს საერთოდ განყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა სინოდთან. ეკატერინე II არქიეპისკოპოს იოანეს ჯილდოებსა და საჩუქრებს არ აკლებდა, ხოლო 1787 წელს მიტროპოლიტობა უბორა.

უნმიდეს სინოდში თავისი გავლენა მიტროპოლიტმა გაყრილმა ეკატერინე II-ის მეფობის ბოლომდე შეინარჩუნა. მის მდგომარეობა შეირყა იმპერატორ პავლე I-ის (1796-1801) დროს. 1800 წელს გავრილი გადააყენეს. მის ნაცვლად დაინიშნა ყაზანი არქიეპისკოპოსი ამბროსი. მიტროპოლიტი პლატონი იმპერატორ პავლე I-ის მასწავლებელი იყო, თუმცა მალე ისიც შერისხულთა შორის აღმოჩნდა. 1797 წელს იმპერატორისაგან შერისხულ მიტროპოლიტ პლატონს მოსკოვიდან გასვლა აკერძალა.

რუსეთის ეკლესის უნმიდესი სინოდის ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო იმპერატორ ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ.



ნინასიტყვა	30
თავი პირველი	
რუსეთის გაქრისტიანება. კიევის სამიტრო- პოლიტოს დაარსება (X ს.)	4
თავი მეორე	
რუსეთის ეკლესია მონღოლთა ბატონობის პერიოდში (XIII-XV სს.)	10
თავი მესამე	
კიევის სამიტროპოლიტო. უნიატური ეკლესიის შექმნა (1459-1654)	25
თავი მეოთხე	
რუსეთის ეკლესია XVI საუკუნეში	38
თავი მეხუთე	
ავტოკეფალიის მოპოვება რუსეთის ეკლესიის მიერ და მოსკოვის საპატრიარქოს დაარსება (1586-1593 წ.)	43
თავი მეექვსე	
რუსეთის ეკლესია. რიურიკების დინასტიის დასასრულიდან რომანოვების გამეფებამდე (1598-1613)	48
თავი მეშვიდე	
საეკლესიო განხეთქილება რუსეთში (XVII ს.)	59
თავი მერვე	
პეტრე დიდის საეკლესიო რეფორმა (1700-1721)	83
თავი მეცხრე	
რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი 1725-1801 წლებში	91



საგამოხვევლო პრეზი

ეთერ ბაიდოშვილი
ეთერ კვანტიანი
მართა წიკლაური
ნინო ყულოშვილი
ილია ხელაია

ინდიცია დოკუმენტი

ს. 14 იმპორტ მისამართი თბილისი
სს-20-22 (ცხ) ს, სს-22-19, სს-20-22
e-mail: info@lmu.edu.ge e-mail: www.lmu.edu.ge

ნინახისტევა	
თადე მარიამი	
რესტორანის ვაჭრის ტიპიზება. კეცის სიმიზნის- მოძრავის დარწევა (X ს.)	4
თადე მერიე	
რესტორანის ვაჭრის ტიპიზება. მარტონიშვილის პერიოდში (XIII-XV სს.)	10
თადე მესამე	
კეცის სიმიზნის მოძრავი. უნიატური კულტურა შექმნა (1459-ჩრდილო მოხატვის ხელი)	12
თადე მერისმე იუდენიზაციის სცირკ	14
რესტორანის ვაჭრის სიმიზნის მოძრავი	18
თადე მეტერე იღრღუნის რობიტი	
არმან კუჭალის მისურნის უსუფურის დაცვის მიზანი და მის მიზანი სპირიტუალური რეაქციის გამოსახვა (1585-1590 წ.)	43
თადე მეტერე	
არმან კუჭალის მისურნის დაცვის მიზანი და მის მიზანი სპირიტუალური რეაქციის გამოსახვა (1598-1613)	48
თადე მეტერე	

გამოიცემობა პრტეზი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17 ა.

25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22

www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge

თადე მეტერე	
არმან კუჭალის ვაჭრის მიზანი და მის მიზანი სპირიტუალური რეაქციის გამოსახვა (1700-1721)	83
თადე მეტერე	
არმან კუჭალის ვაჭრის მიზანი და მის მიზანი სპირიტუალური რეაქციის გამოსახვა (1701-ნებისმე��)	91

K 256.952
3
ବିଭାଗ
ପ୍ରକାଶକାଳ



ଓଡ଼ିଶା ସାହିତ୍ୟ ଏକାଡେମୀ